ლიბერალი
№ 49 / 25 - 31 ოქტომბერი / 2010

ურუსო პერევი გვ. 08
ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობა იზღუდება გვ. 06
გამარტივებული სავიზო რეჟიმი ჩრდილოეთ კავკასიასთან გვ. 10
მარკ მალენი: მიჰყევი ფულის მოძრაობას გვ. 16
სინგაპურის „რბილი ავტორიტარიზმი“ გვ. 19
ჩეჩნეთი: არასტაბილურობის ახალი ტენდენციები გვ. 21
რეკლამა - კანონს მიღმა გვ. 26
მეჩეთის წინააღმდეგ გვ. 33
ალკოჰოლის ეპოქა გვ. 37

ფასი 2 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008

ბავთავისუფლდით თუ არა საბჭოთა მემკვიდრეობისგან?

გვ. 12

FM
ცნობი
98.0

ლიბერალი

№ 49 / 25 - 31 ოქტომბერი / 2010

სტალინის მუზეუმი გორში

ფოტო: ეთემ ბაღიროვი(ეპა)

ნომერში:

02 ფოსტა
04 მოკლედ
06 ვრცლად
08 **ორი აზრი**
გამართლებულია თუ არა ჩრდილოეთ კავკასიასთან გამარტივებული სავიზო რეჟიმის შემოღება?
გიგა ბოკერია VS მარგარიტა ახვლედიანი
10 **მთავარი თემა**
საბჭოთა მემკვიდრეობა
16 **თვალსაზრისი**
ვინ ისარგებლებს ამით?
მარკ მალენი
მსოფლიო
17 როგორ მოვიპაროთ დემოკრატია
კომენტარი
19 სინგაპურის „რბილი ავტორიტარიზმი“

მეზობლები
21 ჩეჩნეთი: არასტაბილურობის ახალი ტენდენციები
კონფლიქტები
24 ორი ალანია
ჟურნალისტური გამოძიება
26 რეკლამა - კანონს მიღმა
საზოგადოება
31 ოცი წელი უშუქოდ
რელიგია
33 მეჩეთის წინააღმდეგ
37 ალკოჰოლის ეპოქა
მედიაკრიტიკა
39 PRIME TIME
კულტურა
41 წერილი გერმანიის დასაცავად
თვალსაზრისი
43 პასპორტი
დავით ქართველიშვილი
თვალსაზრისი
44 საბჭოური ტრადიცია: ბრძოლა სიმბოლოებთან
ლაშა ბუღაძე
სპორტი
46 „ქართული ფეხბურთის განვითარებას 300 მილიონი სჭირდება“
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
48 ანდერძი

გარეკანზე:

გავთავისუფლდით თუ არა საბჭოთა მემკვიდრეობისგან?
ფოტო: სერგეი კარპუხინი / Reuters

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

უნდა აიკრძალოს თუ არა საბჭოთა სიმბოლიკა საჯარო ადგილებში?

სრულიად ვიზიარებ, დავით გოგიშვილის პოზიციას. რატომ გვაშინებს ასე ეს შენობები თუ ბიუსტები? იმიტომ, რომ მენტალური პრობლემები გვაქვს. გვინდა, რომ გავექცეთ და დავემალოთ წარსულს, ნაცვლად იმისა, რომ ის გავაანალიზოთ და მივიდეთ რაციონალურ დასკვნამდე, რომ კომუნისტური რეჟიმის იდეოლოგია დამანგრეველი იყო ჩვენთვის. კი არ უნდა დავივიწყოთ, ძალიან კარგად უნდა გვახსოვდეს, რადგან სწორედ ეს იქნება გარანტია იმისა, რომ აღარასოდეს განმეორდეს წარსული. რა მნიშვნელობა აქვს გორის ცენტრიდან, სტალინის ძეგლის აღებას, თუ გორის მაცხოვრებელთა უმეტესობის გონებაში, მას ჯერ კიდევ არ მორყევია ფეხები? არ ჯობია, ჯერ იმაზე ვიზრუნოთ, რომ ჩვენს გონებაში დავანგრიოთ ისინი? იქნებ, მერე მათი ბიუსტებისათვის ასეთი დიდი იდეოლოგიური მნიშვნელობა აღარ მიგვენიჭებინა, ხოლო სიმბოლიკა სხვადასხვა შენობაზე არქიტექტურულ მემკვიდრეობათ აღგვექვა.

გიორგი ხვედელიანი, 18 ოქტომბერი, www.liberali.ge

ერთობა უძლურებაშია

...კითხვა – რომელ დროში ყოფნა ჯობდა, ჩემთვის სრულიად უადგილოა. ვერასოდეს გავიგებ ნოსტალგიას წყეული 90-იანების – ნგრევის, ომის, შიმშილის, სიკვდილის და სასოწარკვეთის ხანის ნოსტალგიას, რაკი, თურმე, ნუ იტყვით და, მაშინ ადამიანები უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან... ახლოს კი არა, ძმა ძმას აღარ ინდობდა, ვიღაც პოლიტიკოსის გამო ოჯახები იხლიჩებოდა... მოკლედ, ჩემი შეფასება ცალსახად უარყოფითია.

შოლვეიგ, 20 ოქტომბერი www.liberali.ge

გთხოვთ ადგეთ ფეხზე, ნაფიცი მსაჯულები მოდიან

სამწუხაროა, რომ ამ სტატიაში ყველაფერი დეტალურად არ არის აღწერილი. მაგალითად, ის, თუ რამდენად დაბალ დონეზე იყო სასამართლო პროცესის სიმულაცია გაკეთებული. ის, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავე გაამართლეს, მხოლოდ ჰუმანურობის დამსახურება არ იყო. ბრალდების მხარეს ფაქტობრივად არც ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი არ გააჩნდა. აქ ისე გამოვიდა, თითქოს იმ 12 ადამიანიდან არც ერთს არ უფიქრია საქმის

ვითარებაზე და მხოლოდ ემოციებით გადაწყვიტეს ყველაფერი, რაც არ იყო ასე. თუმცა მსჯელობის დროს იყო ფრაზები: „ცოდოა ახალგაზრდა კაცი, ამით მკვდარს ველარ გავაცოცხლებთ" და ა.შ.

აქვე ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული ნაფიც მსაჯულთა შესარჩევ კითხვარზე, რომელიც არაფრისმომცემი აღმოჩნდა, რადგან ის მხოლოდ ზედაპირული კითხვებისგან შედგებოდა და თუ კრიმინალი არ იყავი, აუცილებლად დააკმაყოფილებდი მათ კრიტერიუმებს. ეს კი ნაფიცი მსაჯულისთვის საკმარისი ნამდვილად არაა.

თათია, 16 ოქტომბერი, www.liberali.ge

ყალბი ყალიბი – ქარხნული განათლება

სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებასთან საერთო ინფორმაციული სივრცე გვაქვს და ჩვენი რეალობის დახასიათებისთვის ადრეული ინდუსტრიალიზმის, ლამის ორასი წლისწინანდელი მეტაფორებით ვცდილობთ პრობლემის წარმოჩენას, მაგრამ სხვა გზა არაა. განათლების სფეროში დღეს მართლაც ყველაზე უფრო თავხედური ყეყეჩობით ცდილობენ იმ ნეობოლშევიკური პარადიგმისა და იდეოლოგიის გატარებას, რაც რეალურად მხოლოდ პუტინიზმის პაროდიაა. გასაგებია, რომ სტატიის ავტორს უფრო მწვავე მეტაფორებისგან თავის შეკავება უწევს, მაგრამ ის, რაც დღეს განათლების სისტემაში, ხოლო უფრო კონკრეტულად, ზოგადი განათლების სფეროში ხდება, ძალიან მკაფიო ილუსტრაცია და საგანგაშო სიგნალია ყველასთვის, ვისაც რეალობის ადეკვატურად აღქმის უნარი აქვს.

გიორგი ბერიძე, 22 ოქტომბერი www.liberali.ge

მიმდინარე რეფორმის მთავარი პრობლემა არაკვალიფიციური და დაბალი ინტელექტის მქონე მუშახელი (მასწავლებელი), მართლაც რომ მუშახელი და არა მასწავლებელია. ეს რეფორმა არაფრის მომტანი იქნება, გარდა რაღაც მომენტალური შედეგისა. შედეგად საბჭოთა წარსულის პაროდიას მივიღებთ და გავზრდით საშუალო სტატისტიკური ადამიანების უუნარო და უინიციატივო თაობას, რომელსაც არ შეუძლია პასუხისმგებლობის აღება და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

ირაკლი საღინაძე, 22 ოქტომბერი www.liberali.ge

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი, ნანა საჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანაზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, ლევან იზორია, ნანა საჯაია, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, მოლი კორსო, ვალერი ძუცევი, ლექსო ჩქარეული, ემილ სულეიმანოვი, ირაკლი კობახიძე
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ღონღაძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი". მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი", „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა", „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები".
„ლიბერალის" საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „ფავორიტი". მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს სოციალურ მეცნიერებებში

რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აკადემიური კვლევების ჩატარებას.

პროგრამის ამოცანებია:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ხელშემწყობი ინდივიდუალური და ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარებას;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესიონალების რეგიონალური ქსელის განვითარებას.

კონკურსის პირობები

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1975–1987 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევარებს, რომლებსაც გააჩნიათ სრული უმაღლესი განათლება და ამავე დროს მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ინგლისური და რუსული ენების მაღალ დონეზე ფლობა. პრიორიტეტი მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც თემატურ სიახლეს, სოციოლოგიური და თვისობრივი კვლევის ინოვაციური მეთოდებს გვთავაზობენ.

ფონდი აფინანსებს აკადემიურ კვლევებს შემდეგი მიმართულებებით:

1. სამხრეთ კავკასიის ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ ახლებური ხედვის შემუშავება.
2. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ კავკასიაში: გადარჩენის სტრატეგიები.
3. საბჭოთა რეჟიმისათვის გაწეული წინააღმდეგობისა და რეპრესიების ისტორია.
4. უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები სამხრეთ კავკასიაში.
5. გენდერული როლების ტრანსფორმაცია.

სტიპენდიის ხანგრძლივობა და მოცულობა

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება თორმეტი თვით (01.01.2011–31.12.2011). სტიპენდიის მოცულობა ყოველთვიურად 250.00 ევროს შეადგენს. ასევე შესაძლებელია ფონდის მიერ ორგანიზებული თანმდევი პროგრამა-სემინარებით, საზაფხულო სკოლითა და პუბლიკაციებით მხარდაჭერა.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ მოიძიეთ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე:

www.boell.ge

სარკოზი ჩესეთის გადაწყვეტილებას მიესალმება

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი საქართველოს ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისკენ მოუწოდებს. ეს განცხადება მან ქალაქ დოვილში ფრანგულ-რუსულ-გერმანული მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

„ვთვლი, რომ დიპლომატიამ ყოველთვის უნდა იზეიმოს ძალადობაზე გამარჯვება. ჩემი აზრით, ახლა საჭიროა ზრუნვა ტყვეების დაბრუნებაზე. საქართველომ უნდა აიღოს ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის გარანტიების შესახებ", – განაცხადა სარკოზიმ და დასძინა, რომ კონფლიქტის მოგვარება არ გულისხმობს სამხედრო დაპირისპირების მეთოდებს, – „სწორედ დისკუსიების, ურთიერთგაგებისა და მოლაპარაკებების გზით არის შესაძლებელი მსგავსი კონფლიქტების მოგვარება – მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული".

თემურ იაკობაშვილის განცხადებით, საქართველომ ეს ვალდებულება ჯერ კიდევ 2008 წლის 18 აგვისტოს შეთანხმებით აიღო: „ჩვენ ახლაც მზად ვართ, ხელი მოვაწეროთ ასეთ ვალდებულებას, ოღონდ რუსეთის ფედერაციასთან და არა ოკუპირებულ რეგიონებთან", – განაცხადა თემურ იაკობაშვილმა.

ამავე პრესკონფერენციაზე სარკოზიმ მადლობა გადაუხადა დიმიტრი მედვედევს პერევიდან რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანის გამო და განაცხადა, რომ ეს იყო „მნიშვნელოვანი ნაბიჯი" და „მნიშვნელოვანი პროგრესი". სარკოზიმ ასევე დასძინა, რომ კარგი იქნება, თუ რუსეთი დათანხმდება საერთაშორისო დამკვირვებლების მონაწილეობას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ოფიციალური თბილისის განცხადებით, პერევიდან გასვლა რუსეთის ვალდებულების მხოლოდ მცირე ნაწილია. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის – გიგა ბოკერიას განცხადებით, პერევი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მხოლოდ 1 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს.

რუსეთის მცდელობა, რომ პერევიდან გასვლა შეფასდეს, როგორც მის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, განწირულია მარცხისთვის, – განაცხადა საქართველოს საგარეო უწყებამ და დასძინა: „საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან უკვე გაკეთდა განცხადებები, სადაც რუსეთს ცალსახად მიუთითეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების სრული იმპლემენტაციის საჭიროებაზე და ასე გაგრძელდება საქართველოს სუვერენული ტერიტორიის სრულ დეოკუპაციამდე."

ვიზიტი ირანთან

3-4 ნოემბერს საქართველოში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩერ მოტაკის ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერება დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც საქართველო-ირანს შორის უვიზო მიმოსვლის რეჟიმი იმოქმედებს.

„ეს ვიზიტი... მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომ განვითარებას,"— ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების საინფორმაციო შეტყობინებაში. თბილისსა და თეირანს შორის შორის მჭიდრო პარტნიორობის დაწყებას იანვარში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიგოლ ვაშაძის, ირანში ვიზიტმა შეუწყო ხელი. ჯერ კიდევ მაისში პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო და ირანი სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე შეთანხმდნენ. „ეს არის კარგი, რადგან მოიზიდავს მეტ ირანელ ტურისტს საქართველოში. ჩვენ, რა თქმა უნდა, გავააქტიურებთ სავაჭრო ურთიერთობებს, რაც შეეხება პოლიტიკურ ურთიერთობებს, ეს ბევრ საერთაშორისო ფაქტორზეა დამოკიდებული," – განაცხადა მაშინ პრეზიდენტმა.

ციფრები

4,19 მილიონი iPad-ი გაიყიდა წლის განმავლობაში მთელს მსოფლიოში.

84,8 მილიონი დოლარი შეადგინა სექტემბერში რუსეთიდან გზავნილებმა, რაც შარშანდელ მონაცემზე 5,5 პროცენტით მეტია.

ამეხიტა ჩუსეთის და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოლაპარაკებების დასასრულს ხედავს

17 წლიანი მცდელობის შემდეგ, შესაძლოა, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ერთი წლის ვადაში გაწევრიანდეს, – ამის შესახებ განცხადება პრეზიდენტ ობამას ეკონომიკურმა მრჩეველმა გააკეთა:

„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დღეიდან 12 თვეში ეს პროცესი დასრულდება," – განაცხადა ლარი სამერსმა. სამერსმა დასძინა, რომ ჯერ მოსკოვისთვის წარმატების აღნიშვნა ნაადრევია, თუმცა ამერიკა პროგრესით კმაყოფილია. სამერსის თქმით, რუსეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან, იგორ შუვალოვთან შეხვედრისას საუბარი იყო რუსეთის მსო-ში გაწევრიანებისთვის საჭირო საქართველოს ხმაზეც. სამერსის განცხადებით, რუსი დიპლომატი აცნობიერებს საქართველოსთან არსებული ჩიხიდან გამოსვლის აუცილებლობას. რუსეთი მსო-ში გაწევრიანებას 1993 წლიდან ცდილობს. ამერიკის მხრიდან სრული მხარდაჭერის პირობებში, მსო-ს წევრობა რუსეთისთვის მნიშვნელოვნად გაადვილდება. თუ ეს მართლაც მოხდა, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის თავზე რუსეთის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებას შეძლებს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, თუ მოსკოვი „გამჭირვალეს" გახდის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მდებარე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებს.

აშშ-ს საქართველოში მეტი დამკვირვებლის ყოფნა სურს

აშშ-ს საქართველოში მეტი დამკვირვებლის ყოფნა სურს. ამის შესახებ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის მოადგილემ, მარკ ტონერმა ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. კითხვაზე, თუ როგორ აფასებს თეთრი სახლი რუსეთის ჯარების პერევიდან გაყვანას, ტონერმა უპასუხა, რომ ჯარების გაყვანა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ უნდა შეაფასოს, რომელიც მოვლენებს ადგილზე ადევნებს თვალს: „გვსურს, საქართველოში მეტი მეთვალყურე იყოს... ასევე, მხარს ვუჭერთ ეუთოს დაბრუნებას, რომელიც მონიტორინგს გაუწევს იქ მიმდინარე მოვლენებს, რათა თავიდან ავიცილოთ დაძაბულობა". ტონერმა ასევე დაადასტურა ობამას ადმინისტრაციის პოზიცია, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაუბრუნდნენ 2008 წლის აგვისტოს ომამდელ დისლოკაციის ადგილს.

სიტყვები

„10-15 წლის შემდეგ რუსეთსა და ევროკავშირს ერთიანი ეკონომიკური სივრცე, უსაფრთხოების ერთიანი კონცეფცია და უვიზო რეჟიმი ექნებათ".

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი რუსეთ-ევროკავშირის სამომავლო ურთიერთობებზე.

„ღირებულებითი პრობლემები არ ჰქონდა, თუმცა „რესპუბლიკურმა პარტიამ" სახე დაკარგა".

თინა ხიდაშელი „რესპუბლიკური პარტიის" გამოწვევებზე „რადიო თავისუფლებასთან" საუბრისას.

„ოქრუაშვილი საქართველოს ხელისუფლების მიერ იძებნება და მას ქართული კანონმდებლობით 11 წელი აქვს მისჯილი. ოქრუაშვილი, საქართველოში დაბრუნებით, ძალიან დაეხმარება ქართველ სამართალდამცავებს".

შოთა უტიაშვილი ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში შესაძლო დაბრუნების შესახებ.

„ეს არის ქართული ანბანის მონუმენტი. ქართული ანბანი არის ჩვენი გენეტიკური კოდი, ანძა გაკეთდება, როგორც გენეტიკური კოდი".

პრეზიდენტი სააკაშვილი ბათუმის „ანბანის კოშკის" საფუძვლის ჩაყრისას.

750 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს წლის ბოლოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოს ეკონომიკაში.

500 მილიონი დოლარის სესხს გამოყოფს აზიის განვითარების ბანკი საქართველოში წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის.

მთავრობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების კონტროლს ამყარებს

ეკა ჭითანავა

ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში კონფლიქტების საკითხზე მუშაობს, ვალდებულია, პროექტის შინაარსი რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან შეათანხმოს.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, აქტი ჯერ კიდევ 13 ოქტომბრის სხდომაზე მიიღეს. თუმცა მთავრობა ამ დოკუმენტის შინაარსს დღემდე ასაიდუმლოებს. აქტი არც ამ ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა ახალი ვალდებულების ამოქმედების შესახებ პირველად „ლიბერალისგან" შეიტყო.

„მთავრობა უამრავ მსგავს აქტს იღებს. გვიკვირს, რატომ შეაჩერეთ თქვენი ყურადღება მაინცდამაინც ამ დოკუმენტზე. ძალიან სათუთი თემაა და მისი წამოწევა მედიაში ჯერ არ გვინდა. როცა საჭირო იქნება, მინისტრი თავად გააკეთებს კომენტარს", — ამ პასუხით, სახელმწიფო მინისტრის აპარატში უარი გვითხრეს თემურ იაკობაშვილთან ინტერვიუზე, თუმცა დოკუმენტის ელექტრონული ვერსია მოგვანოდეს.

აქტის მიხედვით, იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც კონფლიქტურ რეგიონებში მუშაობას აპირებენ, თავიანთი პროექტი სამინისტროს უნდა წარუდგინონ. მინისტრი პროექტს განიხილავს და ავტორებს შენიშვნებს 21 დღეში გააცნობს. უარის შემთხვევაში, ორგანიზაციებს შეუძლიათ, სასამართლოში იჩივილონ. თუკი სამინისტრო პროექტს მოიწონებს, ორგანიზაციები ვალდებული იქნებიან, პროექტის ანგარიში მთავრობას ყოველ ექვს თვეში ერთხელ წარუდგინონ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დირექტორი თამარ ხიდაშელი ამბობს, რომ მთავრობა ამ დადგენილებით, არასამთავრობო ორგანიზაციების სრულ გაკონტროლებას ცდილობს. „ეს ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ჩვენს პროექტებში ოკუპირებული ტერიტორიებიც შედის, სადაც ადამიანთა უფლებებს ვიცავთ, ხშირად ადამიანთა უფლებებს სწორედ სახელმწიფო არღვევს და როგორ ფიქრობთ, მთავრობა მოგვცემს ნებართვას, რომ ეს პროექტები განვახორციელოთ?", – აცხადებს ხიდაშელი.

„აბსურდია! ჩემს კოლეგებთან ურთიერთობის ნებართვა რატომ უნდა ვთხოვო იაკობაშვილს?" — ამბობს სტუდია „თვითმხილველის" დირექტორი მარგარიტა ახვლედიანი, – „ეს ხომ სიტყვის თავისუფლების დარღვევაა".

სტუდია "თვითმხილველი" უკვე ორი წელია, მოკლე დოკუმენტურ ფილმებს ამზადებს. ავტორების უმრავლესობა მოქალაქე ჟურნალისტია.

„თვითმხილველი" აფხაზურ „სტუდია აბრეკთანაც" (Abkhazia Reconsidered) თანამშრომლობს. საქართველოსა და აფხაზეთში მცხოვრები ადამიანები თავიანთ ცხოვრებაზე ფილმებს იღებენ, შემდეგ აფხაზები ქართველების გადაღებულს თავიანთ ვებ-გვერდზე ათავსებენ, ქართველები კი – აფხაზებისას. თუმცა, სიტყვა „ოკუპირებულს" აქ არცერთი მხარე არ იყენებს. „გოუ ჯგუფის"

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების მიზანი

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების (შემდგომში – წესები) მიზანია უზრუნველყოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის" ფარგლებში საქმიანობის კოორდინირებისათვის გამჭვირვალე, ეფექტური მექანიზმის შექმნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა მზარს უჭერს და ცდილობს, მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეუქმნას აღნიშნულ რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებს. ნებისმიერი საქმიანობის წარმართვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოხდება საქართველოს მთავრობასა და ჩართულ მხარეებს შორის კონსტრუქციული დიალოგის საფუძველზე.

ვებ-გვერდზე, სამაჩაბლოს ნაცვლად, სამხრეთ ოსეთი წერია, ცხინვალის ნაცვლად კი, რუსულ და ინგლისურ ენებზე – Цхинвал/и და Tskhinval/i.

მარგარიტა ახვლედიანის თქმით, ახალი დადგენილება მოქალაქე ჟურნალისტებს სწორედ ტერმინოლოგიის კუთხით შეზღუდავს:

„პროექტის დოკუმენტაციაში გამოყენებული ტერმინები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მისაღებ ქართულ ტერმინებს და ადეკვატურად ითარგმნოს სხვა ენებზე“, – წერია მინისტრის დადგენილებაში.

„ეს არის მოგუდვის პოლიტიკა!“, - თითქმის იგივეს იმეორებს სტუდია „რე“-ს რეჟისორი მამუკა ყუფარიძე. „მაშინ ყველა პროექტი გააკონტროლონ საქართველოს მასშტაბით, საქმე ისაა, რომ მთავრობამ არ უნდა განიხილოს ეს მიწები, როგორც მტრის ტერიტორია.“

საინტერესოა, როგორ გამოეხმაურებიან უკვე ძალაში შესულ აქტს საერთაშორისო დონორები და ორგანიზაციები.

მათი უმრავლესობა უკმაყოფილებას მაშინაც კი ვერ მალავდა, როცა ტექსტის სამუშაო ვარიანტი დამტკიცებამდე წინასწარ გააცნეს.

თუმცა, ორგანიზაცია „ქეარ“-ის საერთაშორისო პროექტების დირექტორი ენთონი ფორმანი მიიჩნევს, რომ საზოგადოებას შეშფოთების მიზეზი არ აქვს. „საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ იმ კანონებთან შესაბამისობაში, რომლებიც ქვეყანაში მოქმედებს“, – ამბობს ფორმანი, „მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ქვეყნაა, სადაც გაცილებით მეტად ზღუდავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველო მათ რიცხვს არ მიეკუთვნება“.

სანამ დოკუმენტი ოფიციალურად შევიდოდა ძალაში, მთავრობა ორი თვის განმავლობაში ქართულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციებს გადიოდა. თუმცა, ეს განხილვა საჯარო არ გამხდარა. „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესები“-ს ამოქმედების შესახებ დაინტერესებული მხარეების უმრავლესობამ პოსტ-ფაქტუმ შეიტყო.

სამი მეგობარი

დიანა ჩაჩუა

საფრანგეთის ზღვისპირა ქალაქ დოვილის სანაპიროზე მათი სხვა გამვლელი წყვილებისგან გარჩევა გაგიჭირდებოდათ. თუმცა, პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის და კანცლერ ანგელა მერკელის ურთიერთობა არასოდეს ყოფილა იოლი. გერმანელი პოლიტიკოსი ფრანგ კოლეგას მერყევად და არასანდოდ მიიჩნევს. სარკოზი კი, მერკელს გერმანული ინტერესების ევროპულ სოლიდარობაზე მაღლა დაყენებაში ადანაშაულებს.

განსხვავებების მიუხედავად, ისინი ერთ საკითხზე მუდამ თანხმდებოდნენ: თუ ევროპას მსოფლიოში რელევანტურობის შენარჩუნება და სამეზობლოში მშვიდობის ხელშეწყობა სურს, მას ამისთვის რუსეთი სჭირდება.

დოვილში, სანაპიროზე სეირნობისას, ისინი რუსეთის პრეზიდენტს – დიმიტრი მედვედევს – სამმხრივი სამიტის გასამართად ელოდნენ.

რუსეთის მთავარ ევროპელ ლიდერებთან ურთიერთობა, ტრადიციულად, გაცილებით ჰარმონიულია, ვიდრე – მთლიანად ევროკავშირთან.

დოვილში გამართულ საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის სამიტზე ლიდერები უსაფრთხოების ახალ კონცეფციაზე მსჯელობდნენ და თან ირწმუნებოდნენ, რომ ამ სამმხრივ შეხვედრას ევროპის დანაწევრების მცდელობასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

საერთაშორისო მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაზე მსჯელობას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს რუსეთი, ისევე როგორც – თურქეთი და ევროკავშირი, ოღონდ არა მხოლოდ ფრანკო-გერმანული გუნდით. ევროკავშირის ბევრ წევრს არ სურს, რომ მათ ბერლინი და პარიზი წარმოადგენდეთ. უფრო ლოგიკური იქნებოდა, საკუთარ წარმომადგენლად ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ბარონესა ეშტონი აერჩიათ. ეს ლისაბონის შეთანხმების ლოგიკური განვითარება იქნებოდა.

ორდღიან სამიტზე, რომელსაც კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების ნაცვლად „ბრეინსტორმინგის“ მიზანი უფრო ჰქონდა, გერმანია და საფრანგეთი ამერიკელების მიერ ინიცირებულ ანტისარაკეტო ფარის პროექტთან დაკავშირებული რუსული შეშფოთების განეიტრალებას ცდილობდნენ. ამ პროექტის დამტკიცება ნატოს ნოემბრის სამიტზე იგეგმება, სადაც ყველასთვის მოულოდნელად მონაწილეობას პრეზიდენტი მედვედევიც მიიღებს.

დოვილის შეხვედრა ერთი თვით უსწრებს წინ ლისაბონის ნატოს სამიტს, რომლის ანალოგი 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ არ გამართულა. ლისაბონში ალიანსმა ახალი სტრატეგიული დოქტრინა უნდა დაამტკიცოს.

აშშ-მ რუსეთთან უსაფრთხოების საკითხებზე დიალოგის მის გარეშე გამართვა არ მოიწონა. თუმცა, პარიზი და ბერლინი ეჭვების გაქარვებას შეეცადნენ, აღნიშნეს რა, რომ რუსეთთან შეხვედრას ანტიამერიკული სარჩული არ ჰქონია, როგორც ეს 2003 წელს პარიზის, ბერლინის და მოსკოვის ერაყის ომის წინააღმდეგ გამოსვლისას მოხდა.

დასკვნით პრესკონფერენციაზე ყველაზე ხშირად სიტყვა „მეგობრული“ იხმარებოდა.

თუმცა სამიტზე ევროკავშირის ლიდერებმა უყურადღებოდ დატოვეს რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხი, რაც რუსეთისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. ამ საკითხის ნელი პროგრესი არც არის გასაკვირი. ბიუროკრატიული და სხვა პოლიტიკური მოსაზრებების გარდა ვიზების გაუქმება ხომ პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ რუსული პასპორტების მფლობელი აფხაზები და ოსები ევროკავშირში უვიზოდ იმოძრავებენ. ეს საქართველოსთან მიმართებაში, რომელიც ჯერ არ სარგებლობს მსგავსი პრეფერენციებით, ექსპერტების შეფასებით, პოლიტიკურად არაკორექტული და მცდარი ნაბიჯი იქნებოდა.

ᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲔᲠᲔᲕᲘ

რუსმა ჯარისკაცებმა პერევი დატოვეს. თუმცა, მათი დაბრუნების შიში სოფელში ისევ აქვთ.

ოლესია ვართანიანი, „რადიო თავისუფლება“ სპეციალურად „ლიბერალისთვის“

თითქმის ერთი კვირაა, პერევის მაცხოვრებლებს რაიონულ ცენტრ საჩხერეში გამგზავრების წინ აღარ სჭირდება იმაზე ნერვიულობა, აქვთ თუ არა თან საზღვარგარეთის პასპორტი.

აქამდე, თითქმის ორი წლის განმავლობაში, მათ დოკუმეტების გარეშე საკუთარი სოფლიდან არც გასვლა შეეძლოთ და არც უკან დაბრუნება.

რუსი მესაზღვრეები სამარშრუტო ტაქსებს ხშირად ნახევარი საათითაც აჩერებდნენ. თითოეულ ადამიანს, რომელიც საკონტროლო გამშვებ პუნქტს კვეთდა, საგულდაგულოდ ამოწმებდნენ და არეგისტრირებდნენ.

აგვისტოს ომის შემდეგ, პირველ პერიოდში, რუსი ჯარისკაცები, ქართული ანბანის არცოდნის გამო, პირადობის მოწმობის ფოტოზე დახედვით შემოიფარგლებოდნენ.

მოგვიანებით მოვიდა ბრძანება და პერეველებს დაჩქარებულ ვადაში საზღვარგარეთის პასპორტების გაკეთება მოუწიათ.

„ინგლისურ ასოებს უკეთ ართმევდნენ თავს,“ – ყვება ადგილობრივი მაცხოვრებელი.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ზოლიანი შლაგბაუმი, უკვე ერთი კვირაა, პერევში თავისუფალ მოძრაობას აღარ ზღუდავს, ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლე საზღვარგარეთის პასპორტის გადამალვას არ ჩქარობს.

პერეველი ეთერ ქუსიანი სოფლიდან გასვლისას ჯერ ისევ თან ატარებს ამ დოკუმენტს.

„კიდევ არ მჯერა, რომ ისინი გზას აღარ გადაგვიკეტავენ," – ამბობს ეთერი.

მას, თავის ხუთ შვილთან ერთად, ომის შემდეგ სოფლისთვის ყველაზე დაძაბულ დღეებშიც კი არ დაუტოვებია პერევი.

2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე ეს სოფელი დიპლომატებისთვის „სავაჭრო თემად" იქცა.

პოლიტიკური მიზნების გარდა, პერევის გაკონტროლება რუსი სამხედროებისთვის სხვა, სტრატეგიული ინტერესების გამოც იყო მნიშვნელოვანი.

საქმე ის არის, რომ ეს სოფელი განლაგებულია გზაზე, რომელსაც პირდაპირ სამხრეთ ოსეთის შუაგულისკენ მიჰყავხართ.

აგვისტოს ომის დროს ქართველი სამხედროები ამ გზას ჯავას სამხედრო ბაზაზე შეტევის განსახორციელებლად იყენებდნენ.

როგორც კი ქართულმა არმიამ უკან დახევა დაიწყო, რუსულმა სამხედრო დანაყოფებმა პერევი და სამხრეთ ოსეთის ირგვლივ სხვა ბუფერული ზონები დაიკავეს.

ეს რუსების პირველი გასვლა არ არის პერევიდან. ნახევარი წლის განმავლობაში მათ ორჯერ დატოვეს სოფელი, თუმცა, ყოველ ჯერზე – სხვადასხვა მიზეზებით, ისევ ბრუნდებოდნენ.

როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, უკვე ერთი თვეა, რაც რუსმა მესაზღვრეებმა თანდათანობით დაიწყეს მძიმე ტექნიკის გაყვანა.

ჟენევის მოლაპარაკებების ბოლო რაუნდამდე ცოტა ხნით ადრე მათ კარვები აშალეს და ახალი პუნქტების შენება დაიწყეს. თუმცა, ამჯერად ამ პუნქტებს ისინი არა პერევის მთავარ გზაზე, არამედ 50 მეტრის რადიუსში, სოფელ ქვემო კარდზმანის გადასახვევთან ამონტაჟებდნენ. ეს ადგილი ყველა რუკაზე სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას წარმოადგენს.

„პატარა მიზეზი უნდათ და ისევ დაბრუნდებიან. ისევ მთავარ გზას დაიკავებენ," – ამბობს ეთერ ქუსიანის მეუღლე გიორგი.

„ერთადერთი, რაც შეიცვალა, არის ის, რომ მთავარ გზაზე აღარ იდგებიან და დოკუმენტებს აღარ მოგვთხოვენ. სხვა მხრივ, ჩვენთვის სიტუაცია აბსოლუტურად იგივეა. გზიდან 50 მეტრში გადაინაცვლეს, შორს კი არსად წასულან," – აგრძელებს ის.

სოფლის გასასვლელში მცხოვრები ალიკ ჯოხაძე დარწმუნებულია, რომ ზამთარში რუს სამხედროებს პერევის მთავარი გზის გამოყენება ისევ მოუწევთ.

რამდენიმე თვის წინ რუსებმა ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა დაიწყეს.

ალიკამ ეს გზა კარგად იცის და ამბობს, რომ ზამთარში იგი ყველაზე გამავალი სამხედრო ტექნიკისთვისაც კი სრულიად გაუვალი იქნება.

„ეს გზა ასფალტითაც კი არ არის დაფარული, – ამბობს ალიკა, – უბრალოდ, ტრაქტორით გაწმინდეს, ცოტა მოასწორეს და ეგაა. ერთხელ მე თვითონ ავედი იქ და ისეთი ციცაბო აღმართია, ეჭვი მეპარება, ზამთარში იქ რამე მანქანამ ასვლა შეძლოს. ისევ ჩვენი გზის გამოყენება მოუწევთ, აბა, სად წავლენ?!"

როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგორი კარასინი პერევიდან სამხედროების გაყვანის გადაწყვეტილებაზე საუბრობდა, მან ხაზი გაუსვა, რომ ეს თავისებური „გამოცდა" იქნებოდა თბილისის ძალოვანი უწყებებისთვის. კარასინი მიანიშნებდა იმაზე, რომ მოსკოვი არ მიესალმება საკუთარი პოსტების სიახლოვეს ქართული სპეცრაზმელების გამოჩენას.

თბილისის რეაქცია თავშეკავებული, მშვიდი და ფრთხილი გამოდგა. საქართველოს ხელისუფლებამ ამჯერად გადაწყვიტა, მოსკოვთან ურთიერთბრალდებების ბრძოლაში არ ჩაბმულიყო.

აქ მხოლოდ კერძო საუბრებში ამბობენ, რომ „რუსების პერევიდან გასვლა საბოლოოა" და არავინ მისცემს უკან დაბრუნების საშუალებას.

რუსეთის დიპლომატიურ გადაწყვეტილებას, რომელიც ცხინვალში აშკარად არ მოეწონათ, ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელი ბორის ჩოჩიევი ირიბად ასე გამოეხმაურა: „სინაგური-ქარძმანის გზის მშენებარე სტრუქტურებმა დეზინფორმაციაში შეიყვანეს როგორც მოსკოვი, ასევე – ჩვენც", – განაცხადა ჩოჩიევმა და ამით მიანიშნა, რომ პერევის მთავარი გზის განთავისუფლება მიზანშეწონილი არ იყო.

გასულ კვირას ჩოჩიევმა ამ გზის მშენებლობის ტემპებითა და ხარისხით უკმაყოფილება საგანგებო პრესკონფერენციაზე გამოხატა. მან განაცხადა, რომ იქ სპეციალისტები გააგზავნა, რომელთაც მოახსენეს, რომ გზა მოძრაობისთვის უვარგისია.

პერევიდან ბოლო სამი რუსი ჯარისკაცის გასვლიდან მალევე ქართველი პოლიციელები პატრულირებას შეუდგნენ.

რამდენიმე დღეში „რუსთავი2"-მა გადმოსცა, რომ პერევში სპეცრაზმელების არა მარტო ბლოკ-პოსტი, არამედ ტრადიციად ქცეული შუშისკედლებიანი პოლიციის განყოფილებაც გაჩნდება.

მომხრე
გიგა ბოკერია
საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

საქართველოს გადაადგილების მიმართულებით ყოველთვის ლიბერალური პოლიტიკა ჰქონდა. ოკუპაციის მიუხედავად, რუსეთთან მაინც გამარტივებული სავიზო რეჟიმი დავტოვეთ, თავად რუსეთის ფედერაციისგან განსხვავებით, რომელმაც ეს რეჟიმი პირიქით – გაგვირთულა.

რუსეთის გარდა, გამარტივებული სავიზო რეჟიმი საქართველოს სხვა ქვეყნებთანაც აქვს. თუმცა, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ამას სხვა მოტივაციაც დაემატა: ვიცით, რა პროპაგანდას ეწევა რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში, როგორი წნეხის ქვეშ ჰყავს ეს მოქალაქეები და როგორ გამოიყენეს ისინი საქართველოს წინააღმდეგ 90-იან წლებში.

რუსეთის ხელისუფლებისგან განსხვავებით, მისი მოქალაქეების მიმართ ჩვენ საპირისპირო მიზნები გვამოძრავებს. გვინდა, რომ მათ საქართველოში ადვილად მოგზაურობის, უმაღლესი განათლების მიღების, ჯანდაცვის ქართულ დაწესებულებებში მკურნალობის შესაძლებლობა ჰქონდეთ. გვინდა, მათ საქართველოზე ადეკვატური წარმოდგენა შეექმნათ და დაინახონ, რომ ეს მტრული ქვეყანა კი არა, ისეთი ადგილია, სადაც მათ ბევრი შესაძლებლობა აქვთ.

ამ ნაბიჯით რუსეთთან რა ურთიერთობის დაძაბვაზეა საუბარი მაშინ, როცა რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტის ოკუპაციას და არ ცნობს ჩვენს სახელმწიფოებრიობას. ჩვენ რუსეთთან არანაირი დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს.

ეჭვის ქვეშ არ ვაყენებთ იმას, რომ ეს რესპუბლიკები რუსეთის ტერიტორიაა, ისევე – როგორც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონია საქართველოს ნაწილი. თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკაში არის მაგალითები, როცა ქვეყნებს მოსაზღვრე რეგიონებისთვის უფრო გამარტივებული სავიზო რეჟიმი აქვთ, ვიდრე მთლიანად მეზობელი ქვეყნისთვის. ამ პრაგმატულ მოსაზრებას ჩვენი პოლიტიკურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული მიზნებიც ემატება.

არასერიოზული ილუზიაა, თითქოს ვიზები უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ინსტრუმენტია. ნებისმიერი მხრიდან პოტენციური საფრთხეების კონტროლი სამართალდამცავი ორგანოების საქმეა და ამას ჯერჯერობით ეფექტურად აკეთებენ. ვიზები მიგრაციის კონტროლის ინსტრუმენტია და არა – უსაფრთხოების.

სავიზო რეჟიმის გამარტივება ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან ეკონომიკურადაც მომგებიანი იქნება. ჩვენი ოპონენტები ხშირად გვაკრიტიკებდნენ იმისათვის, რომ რუსულ ბიზნესს საქართველოში გზას არ ვუკეტავდით. პოლიტიკური პროცესის მიუხედავად, ჩვენ ინვესტიციებში არავის ვზღუდავთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საბაზრო ურთიერთობები არ მუშობს (მაგალითად, გაზსადენის გაყიდვის შემთხვევა). კონკრეტულ კალკულაციას, თუ რამდენი ინვესტიცია ჩაიდება ახალი სავიზო რეჟიმის შემდეგ მეორე დღესვე, ვერ მოგცემთ. თუმცა, საქართველოში ჩადებული ნებისმიერი ინვესტიცია ჩვენს ინტერესებში შედის.

ბამპოთლებელია თუ პრა ბამპოტივებელი სავიზო

■ გვინდა, რომ ჩრდილო კავკასიელებს საქართველოში მოგზაურობის, უმაღლესი განათლების მიღების, მკურნალობის შესაძლებლობა ჰქონდეთ... საქართველოზე ადეკვატური წარმოდგენა შეექნათ. ნახონ, რომ ეს მტრული ქვეყანა კი არა, ისეთი ადგილია, სადაც მათ ბევრი შესაძლებლობა აქვთ.

ფოტო: თემურ ბარიშევი

ლარსი, 2010

ჩრდილოეთ კავკასიასთან ო რეჟიმის შემოღება?

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები, დიდი ხანია, უკვე რუსეთის შემადგენლობაშია. მათ მინიმალური პოლიტიკური დამოუკიდებლობაც კი არ აქვთ და შესაბამისად, არ შეუძლიათ ლოიალურობა გამოიჩინონ ან არ გამოიჩინონ იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც მათი ცენტრი მტრად მიიჩნევს.

მოწინააღმდეგე
მარგარიტა ახვლედიანი
ექსპერტი კავკასიის საკითხებში, ჟურნალისტი

რა მიზნები შეიძლება, ჰქონდეს საქართველოს და რა სარგებელს მოუტანს ქვეყანას ჩრდილოეთ კავკასიასთან გამარტივებული საავიზო რეჟიმი?

შესაძლოა, ეს მიზანი მეზობლებთან ურთიერთობების გაუმჯობესება ყოფილიყო. თუმცა, რა გზით? როგორიც უნდა იყოს მათი წარსული, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები, დიდი ხანია, უკვე რუსეთის შემადგენლობაშია. მათ მინიმალური პოლიტიკური დამოუკიდებლობაც კი არ აქვთ და შესაბამისად, არ შეუძლიათ ლოიალურობა გამოიჩინონ ან არ გამოიჩინონ იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც მათი ცენტრი მტრად მიიჩნევს.

ეს დაახლოებით იგივე იქნებოდა, ვინმეს კახეთის ან იმერეთისთვის თბილისის საპირისპირო პოლიტიკური მისწრაფებების გამოვლენა რომ შეეთავაზებინა.

მეზობლებთან ურთიერთობებში პროგრესის მიღწევის მცდელობა არარეალისტურად გამოიყურება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაგალითად, თავს მოვიტყუებთ და რუსეთის მოქალაქეების ნაცვლად უბრალოდ ჩრდილოკავკასიელებს წარმოვიდგენთ. საქმე ისაა, რომ ზოგ მათგანს საზღვარს ვუხსნით, სხვებს კი (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს) ბლოკადაში ვამყოფებთ. ეს ორმაგი სტანდარტია.

კიდევ ერთი სარგებელი, რაც შესაძლოა, ამ გადაწყვეტილებას მოჰყოლოდა, ეკონომიკური მოგებაა. საზღვრის ქართულ მხარეს მცხოვრები გლეხებისთვის, წლების მანძილზე, მეორე მხარეს პროდუქციის გაყიდვა შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. თუმცა, იმისთვის, რომ ეს სისტემა კვლავ ამუშავდეს და ადგილობრივ მეურნეობას ბაზარი გაუჩნდეს, ვიზების ორივე მხრიდან გაუქმებაა საჭირო. რაც შეეხება პროდუქტების რუსული მხრიდან შემომტანებს, ესენი, ძირითადად, შუამავლები არიან. მათ საქართველოში შემოსასვლელად ვიზები არ სჭირდებოდათ, რადგან დიდი ხანია ეს პრობლემა სხვადასხვა გზებით მოაგვარეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ქართული ვიზა ძვირი არ ღირს და მისი მიღება ძალიან ადვილია. ამიტომ, ვიზების გაუქმებით მათ მცირედი სარგებელი ელით.

საზღვრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. როცა ქართული ვიზის აღების დროს ჩრდილოკავაკსიელები საქართველოს საზღვარზე საფუძვლიან შემოწმებას გადიოდნენ, ეს საქართველოს უსაფრთხოებას ვნებდა? რა გამოდის? – რომ ახლა ამ მეტად არასტაბილური, კრიმინალური და კბილებამდე შეიარაღებული რეგიონიდან ნებისმიერი ადამიანის საქართველოში თავისუფლად გადმოსვლით თავს უფრო უსაფრთხოდ ვიგრძნობთ?

თუ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროგრესს არ მოგვიტანს და საზღვრის უსაფრთხოებას მეტად არ გააძლიერებს, გამოდის, რომ ამ ინიციატივის ავტორებს სხვა მიზნები ჰქონდათ. რაში უნდა გვჭირდებოდეს მიზნები, რომელთაც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებასთან არანაირი კავშირი არ აქვს?

ფოტო: ეთერი ბაინდურაშვილი

სტალინის მუზეუმი გორში

პოლიტიკა

საბჭოთა მემკვიდრეობა

გავთავისუფლდით თუ არა საბჭოთა მენტალობისგან?

თამარ ბაბუაძე

ძალიან მალე საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში აქა-იქ შემორჩენილი წითელი ვარსკვლავის, ნამგლისა და ურის გამოსახულებებს, ლენინისა და სტალინის ბიუსტებს, ღერბებს, დროშებსა და მედლებს აკრძალავენ – მოხსნიან, დაანგრევენ, გადაფხეკენ, წაშლიან.

ახალი კანონის ძალით, თანამედროვე საქართველო გაანადგურებს 70-წლიანი საბჭოთა ისტორიის ყველა გარეგნულ ნიშანს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე გახსნა საბჭოთა არქივი და მოაწყო გამოფენა სახელწოდებით „წითელი ისტორია“, სადაც სტალინის, ბერიას და სხვა პარტიული ლიდერების აქამდე უცნობი ფოტოები და ხელმოწერებია გამოფენილი.

2003 წელს სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დაწყებული ბრძოლა საბჭოთა წარსულის წინააღმდეგ გრძელდება.

7 წლის წინ კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა პრეზიდენტმა მიზნად დაისახა, ერთი ხელის მოსმით დაენგრია საბჭოთა მენტალობა, რომელიც 70 წლის მანძილზე ისე შეიჭრა ქართულ ცნობიერებაში, რომ ქართული ყოფისა და ეროვნული ტრადიციების ბუნებრივ ნაწილად იქცა.

მაგალითად ის, რომ 37 მანეთად მოსკოვში გადაფრენა – საზღვრების გახსნილობას არ ნიშნავდა, რომ ქრთამის აღება მოხერხებულობა კი არა – დანაშაულია, ქურდობა კაი-ბიჭობა კი არა – სირცხვილია; რომ ნორმალურ საზოგადოებაში პრივილეგირებული მოქალაქეები არ არსებობენ და კანონი ყველასთვის უზენაესია; უმაღლეს სასწავლებელში კი არ უნდა მოეწყო, უნდა ჩააბარო.

აგვისტოში ჟურნალ „ეკონომისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში არკადი ოსტროვსკი წერდა, რომ საქართველოში ეს მენტალური რევოლუცია შედგა.

„ვერცერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა ვერ გათავისუფლდა ბოლომდე საკუთარი წარსულისგან, მაგრამ საქართველომ ეს სხვებზე უკეთ მოახერხა“, – ასკვნის ავტორი.

საქართველოს მიღწევები, რომელთა მთავარი მამოძრავებელი ძალა სააკაშვილი და მისი გუნდია, გარედან მართლაც შთამბეჭდავია:

საქართველოს ყველა სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყანასთან შედარებით, ნაკლებად ეთქმის კორუფციული. მსოფლიო ბანკის თანახმად, ის ერთ-ერთი პირველია იმ ქვეყნებს შორის, სადაც ბიზნესის კეთება იოლად შეიძლება. ეკონომიკამ, რომელიც ლიბერალურ პრინციპებს ეფუძნება, ასე თუ ისე, რუსულ ემბარგოსაც გაუძლო და რუსეთთან ომსაც. ქართველი პოლიცია ქრთამს აღარ იღებს. ელექტროენერგია ფუფუნებად აღარ ითვლება.

მას შემდეგ, რაც სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტია, მართლაც ბევრი რამ შეიცვალა. თუმცა, არის კი ამ ცვლილებებს შორის მენტალური რევოლუცია?

მართლაც იყო თუ არა ხელისუფლების რეალური პოლიტიკა მიმართული ამ მიზნის მისაღწევად?

მთელი მმართველობის განმავლობაში, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელიდან არ გაუშვა შანსი, გამოეყენებინა სახელმწიფოს ყველა რესურსი.

თვითმმართველობა, რომელმაც ერთი ადამიანის ხელში კონცენტრირებული ძალაუფლება უნდა შეასუსტოს და პოლიტიკურ პროცესებში ხალხის ჩართულობა უზრუნველყოს, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან შვიდი წლის თავზე თითქმის არც ერთ დონეზე არ მუშაობს.

საქართველოში თითქმის ერთპარტიული პარლამენტი თითქოს იმისთვის არსებობს, რომ პრეზიდენტს პირადი ინიციატივების განხორციელება გაუადვილოს და საბჭოთა დროის პრივილეგიების გაუქმებაც კანონმდებლობით გაამყაროს.

რეიტინგის დაკარგვის შიშით, ყველაზე მტკივნეულ ცვლილებებს ხელისუფლება კონსპირაციულ ბურუსში ხვევს. საბჭოთა მენტალიტეტის შეცვლის პროცესში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც სტალინის ძეგლის მოხსნაა, ხელისუფლების ფარული ოპერაცია იყო და არა – ხალხის არჩევანი. ქუთაისში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის დემონტაჟი ისე ნაჩქარევად დაიგეგმა, რომ აფეთქება ტრაგედიად იქცა.

ეს გადაწყვეტილებები იმის ნიშანია, რომ ხელისუფლება კარგად ხვდებოდა, როგორი მტკივნეული და არაპოპულარული იყო ბრძოლა საბჭოთა მენტალობის დასანგრევად.

ჯერ კიდევ 2004 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ, „ნაციონალური მოძრაობის“, ანუ უმრავლესობის მომავალმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ მის გუნდს კარგად ესმოდა, რამდენად სწრაფად და რადიკალურად უნდა ემოქმედა, რომ შეუქცევადი ცვლილებების განხორციელება პოპულარობის დაკარგვამდე მოესწრო.

ამიტომ სააკაშვილმა, გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი ცვლილებებისთვის საფუძვლის ჩაყრის ნაცვლად, ამბიციური მიზნების განხორციელება მოინდომა, რომელთაც მყისიერად უნდა მოჰყოლოდა შედეგი. მას სურდა ყველაფერი – ტვინების გარდაქმნის მტკივნეული პროცესით დაწყებული, საქართველოს გაერთიანების ხელშეუხებელი იდეით დასრულებული, ორ საპრეზიდენტო ვადაში, პირადად მოესწრო.

დღეს უკვე, ნათელია, რომ ეს მიზანი არარეალური იყო.

2007 წელს სამხედრო ხარჯების ზრდის თვალსაზრისით საქართველო მსოფლიო ლიდერი გახდა. უკვე მოდერნიზებული თავდაცვის სფეროს განვითარებისთვის საქართველოს ბიუჯეტის ერთი მესამედი (1 494 526 400 ლარი) გამოიყო. ისევ საბჭოთა რეალობაში ჩარჩენილ განათლების სისტემას კი სამჯერ ნაკლები ერგო.

განათლების სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმირების მიუხედავად, ქვეყნის გამთლიანების იდეით შეპყრობილი და გარე საფრთხეებთან მებრძოლი ხელისუფლების პრიორიტეტების ჩამონათვალში იგი პირველ ადგილზე მაინც არ აღმოჩნდა.

ახალი ტიპის მოქალაქეების შექმნის იდეა, რომლებიც არ გაივლიდნენ წითელზე და პოლიციასთან თანამშრომლობას „ჩაშვებას“ არ დაარქმევდნენ, პირველ რიგში, სწორედ პოსტსაბჭოთა, ცენტრალიზებული განათლების სისტემის გარდაქმნას ითხოვდა.

დღეს იმ მიღწევებსაც, რომლებიც ამ სფეროში პირველ წლებში განხორციელდა, საფრთხე ემუქრება.

„24 საათთან“ ინტერვიუში გიგი თევზაძე ამბობს: „ხელისუფლება უკან იხევს იქ, სადაც მიზანი ცხადი არაა. თუ მიზანი ცხადი არ არის, ერთ დღეს შეიძლება თქვა, რომ სკოლა დემოკრატიული უნდა იყოს, მეორე დღეს თქვა, რომ ცოტა ცენტრალიზებულიც შეიძლება“.

განვითარების გრძელვადიანი გეგმის არარსებობის გამო 2008-დან დღემდე რეფორმატორული კურსის გაგრძელების ყველა მცდელობა გაუთვლელ ექსპერიმენტს დაემსგავსა. რეფორმა უკან წავიდა იმიტომ, რომ არ არსებობდა წინსვლის კონცეფცია.

2007 წლის 7 ნოემბრის პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, რომელიც ბევრად უფრო გადამწყვეტ დღედ იქცა საქართველოს ხელისუფლებისთვის, ვიდრე - 2008 წლის 8 აგვისტო, ხელისუფლება ისევ საზოგადოებაში არსებულ რადიკალურ და ძველმოდურ განწყობებს დაეყრდნო და ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა დათმო.

წითელი ინტელიგენცია ახალმა ელიტამ ჩაანაცვლა, რომლებიც წინასაარჩევნოდ მღეროდნენ სიმღერას „მიშა მაგარია“. იწერებოდა ლოზუნგები: „მიშა ქვეყნის ნამდვილი შვილია, მიშას რუსეთის არ ეშინია“, „მე და მიშა გპირდებით: მალე სოხუმში ვიქნებით“.

2008-2009 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა გასართობი ღონისძიებების დასაფინანსებლად 8 მილიონამდე ლარი გამოიყო. უმეტეს შემთხვევაში, ეს თანხა კონცერტების ორგანიზატორებსა და არტისტებს ტენდერებისა და კონკურსების გარეშე გადაეცათ. რჩეულები პრეზიდენტის მხარდამჭერები იყვნენ.

„საბჭოთა კავშირი დამთავრდა სიმბოლურად იმ დროს, როცა ქართული საბჭოთა მილიციელის ქუდი, საბჭოთა მილიციელის ფორმა ჩაანაცვლა ხუთჯვრიანი დროშით ამაყად შემკობილმა ახალმა ქართულმა ფორმამ, ახალმა ადამიანებმა, ახალმა თაობამ, რომელიც აღარასდროს აღარ დაუშვებს წარსულის დაბრუნებას. და რაც მთავარია, ახალმა აზროვნებამ“, – განაცხადა 2010 წელს სააკაშვილმა პოლიციელების წინაშე გამოსვლისას.

„ეკონომისტში“ დაბეჭდილი სტატიის ბოლოს მოყვანილია შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის სიტყვები, რომელიც მთლიანად თავდაყირა აყენებს იდეას – საქართველოში საბჭოური მემკვიდრეობის დასრულებისა და ახალი აზროვნების დამკვიდრების შესახებ.

მერაბიშვილის სიტყვების პერიფრაზი ასეთია: საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების სრულფასოვნად ამუშავებისთვის, საჭიროა ეს ინსტიტუტები მთელმა ქართულმა საზოგადოებამ აღიაროს. მანამდე კი, ვიდრე ეს მოხდება, მისი რწმენით, სწორედ მთავრობამ უნდა მართოს ისინი.

ქვეყნის მართვაზე დაახლოებით იგივე შეხედულება ჰქონდათ მათაც, ვის ძეგლებსა და ბიუსტებს ებრძვიან დღევანდელ საქართველოში.

პოსტსაბჭოთა საქართველოს მკვლევარი ჩარლზ ფერბენქსი თავის ერთ-ერთ სამეცნიერო სტატიაში წერდა: „თითქმის მთელ პოსტკომუნისტურ სივრცეში მთავრობები შეიცვალა,მაგრამ ისინი მაინც ჰგვანან სტალინურ (და შემდეგ საბჭოთა) რეჟიმებს იმით, რომ ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელშია კონცენტრირებული, რომელიც მორჩილი სამთავრობო პარტიის ან პარტიების, საკანონმდებლო ორგანოსა და სასამართლოს საშუალებით მართავს ქვეყანას“.

ამ მთავრობის ყველაზე დიდი სისუსტე სწორედ ის აღმოჩნდა, რომ ახალი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის გზაზე, მან უარი ვერ თქვა საბჭოურ მეთოდებზე. პოლიციელის ახალი ფორმის დამზადება ბევრად უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე ინსტიტუციების რეალურად გარდაქმნა. ძირეული ცვლილებები, გრძელვადიანი გეგმები და სტრატეგია ამ ხელისუფლების კულტურის ნაწილი ვერ გახდა.

ხოლო თუ გამართლდა მათი ვარაუდი, ვინც ფიქრობს, რომ სააკაშვილიც პუტინის გზას გაჰყვება და ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების წყალობით ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრად დარჩება, მაშინ ამ ქვეყნის მომავალი ბევრად უფრო ბუნდოვანი შეიძლება იყოს, ვიდრე მანამდე, როცა გორის ცენტრალურ მოედანზე სტალინის ძეგლი იდგა.

პოლიციელის ახალი ფორმის დამზადება ბევრად უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე ინსტიტუციების რეალურად გარდაქმნა. ძირეული ცვლილებები, გრძელვადიანი გეგმები და სტრატეგია ამ ხელისუფლების კულტურის ნაწილი ვერ გახდა.

ლიბერალი

იკითხეთ ლიბერალის პორტალზე www.liberali.ge

ნინო გელიშვილის ბლოგი

ხუმრობად შემოსაღებული სიძულვილის ენა

„ერთი ამბავი გავიგე, რომელმაც ძალიან შემაშინა! არ ვიცი, რატომ შემეშინდა, მაგრამ ძალიან შემეშინდა, ძალიან შემეშინდა, ძალიან შემეშინდა! გავიგე, რომ ასათიანზე ფსიქიატრიული იხურება და ძალიან შემეშინდა!" იკითხავთ, ვის შეეშინდაო და გიპასუხებთ: ნანუკას შეეშინდა. აი, იმას, გაუგებარი შოუ რომ მიყავს „იმედზე". ვერ გეტყვით, იქნებ არც არის ეს შოუ გაუგებარი. თავიდან ბოლომდე არასდროს მინახავს. ნანუკა პრეზიდენტს რომ ჩუსტებზე ეჭუკჭუკებოდა, მარტო ეგ ვნახე, ისიც მოგვიანებით, ინტერნეტში. სულაც არ ვფიქრობ, რომ ამგვარი გადაცემები არ უნდა არსებობდეს. ვიღაცას, ალბათ, ეს სიყვითლეც სჭირდება. ისე, რაღა ყვითელი გამოდის, როცა ქვეყნის პირველ პირთან ექსკლუზიურ ინტერვიუს წერს?!

მულტიმედია

უნდა აიკრძალოს თუ არა საბჭოთა სიმბოლიკა?

გიორგი ცხადაიას ბლოგი

ჩვენი დროის გმირები

ერთ საინტერესო რამეს ვაკვირდები ხოლმე: როდესაც ადამიანები ისეთ პრობლემაზე საუბრობენ, რომელიც წარსულში მოხდა, თავისუფლდებიან და ცდილობენ, რაც შეიძლება კრიტიკულად გაანალიზონ მომხდარი. როდესაც იგივე ტიპის პრობლემა თანამედროვეობაში არსებობს, ყველა დუმს და ერთმანეთს ეთანხმება. არგუმენტი ყოველთვის ერთია: სინამდვილეში ეს პრობლემა პრობლემა არაა და თითიდან გამოწოვილია.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესები შემოდის.

ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში კონფლიქტების საკითხზე მუშაობს, ვალდებულია პროექტის შინაარსი რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან შეათანხმოს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, აქტი ჯერ კიდევ 13 ოქტომბრის სხდომაზე მიიღეს. თუმცა მთავრობა ამ დოკუმენტის შინაარსს დღემდე ასაიდუმლოებს.

თემო ბარქიმაშვილის ფოტო-პროექტი

იმპერიის ნამსხვრევები: საბჭოთა სიმბოლიკა საქართველოში

როგორ შევაყვაროთ ბავშვებს წიგნები?

ერთ-ერთი ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის მოხალისე წევრები ბავშვებს წიგნებს საავადმყოფოებში უკითხავენ. სპეციალურად ამ მისიისთვის შექმნილ ორგანიზაციას უკვე 8000-მდე წევრი ჰყავს. თბილისში კი რამდენიმე წიგნის მაღაზიაში ბავშვებისთვის ხმამაღალი კითხვის დღეები იმიტომ გააუქმეს, რომ ძალიან ცოტა მშობელი აღმოჩნდა ისეთი, ვინც ამ ღონისძიებაზე შვილს მიიყვანდა.

ფორუმი ლიბერალის პორტალზე

თქვენი მოსაზრება:

- » **როგორ გესმით ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წესები?**
- » **როგორ შეცვალა facebook- მა თქვენი ცხოვრება?**
- » **არის თუ არა „ქართული პარტია" ნაცმოძრაობის ალტერნატივა?**

ვინ ისარგებლებს ამით?

იმის გასაგებად, თუ ვის აქვს ძალაუფლება, ფულის მოძრაობას უნდა მიჰყვე. საქართველოს მთავრობა, სხვა მთავრობებისგან განსხვავებით, რეგიონულ ფინანსებზე მკაცრ ცენტრალურ კონტროლს ახორციელებს.

მარკ მალენი

ამასწინათ, ნაცნობ მაღალჩინოსნებთან დავიწუწუნე იმაზე, რომ თბილისში ძალიან ბევრი მანქანა დადის. დანარჩენი მსოფლიოს ნაწილი ზრდის მანქანებზე, საწვავსა და ყოველწლიურ დათვალიერებაზე გადასახადს, ერთი სიტყვით, იყენებს ყველა მეთოდს იმისათვის, რომ გზებზე მანქანების რიცხვი შეამციროს. თბილისში ტრანსპორტის მიმოსვლა მართლაც საშინელია და ჰაერის დაბინძურების ხარისხიც ერთ-ერთი ყველაზე უარესია მსოფლიოში. ამავე დროს, მანქანებსა და საწვავზე საქართველოში იმაზე ნაკლები გადასახადია, ვიდრე – ლამის დანარჩენ მსოფლიოში.

მაღალჩინოსნებმა მიპასუხეს ზუსტად ის, რასაც ჩვეულებრივ მთავრობასთან დაახლოებული ხალხი ამბობს ხოლმე – რომ ამგვარი ზომების გატარება კორუფციას გაუხსნის გზას. ამიტომ, სჯობს, არ ჩავერიოთ. ეს ფრაზა გამუდმებით გვესმის – რომ სახელმწიფო, თავისი ბუნებით, მთელ რიგ სფეროებში არაკომპეტენტურია. კერძო საწარმოები უფრო ეფექტურია, ვიდრე სახელმწიფო. სახელმწიფო ცუდია და ბიზნესი – კარგი. ამაში მე დარწმუნებული არ ვარ და მგონია, რომ რაზეც ვსაუბრობთ, მხოლოდ პრიორიტეტების საკითხია. იმ სფეროებში, რომლებსაც მთავრობა პრიორიტეტად მიიჩნევს, სახელმწიფო აპარატი ძლიერ ცენტრალიზებულია. იმ სფეროებში კი, რომლებიც მთავრობის პრიორიტეტების სიაში არ შედის, მათი აზრით, სახელმწიფოს ჩარევა არა მხოლოდ არაეფექტური, არამედ – ამორალური და კომუნისტურიც კია!

ჯანდაცვის სერვისი, იმათთვის, ვისაც მასზე ხელი არ მიუწვდება, საშინელია. ფაქტობრივად, ეს ისეთივე კერძო ჯანდაცვის სისტემაა, როგორიც შეერთებულ შტატებშია. სხვა პატარა, საშუალოშემოსავლიან ქვეყნებს

> **იმ სფეროებში, რომლებსაც მთავრობა პრიორიტეტად მიიჩნევს, სახელმწიფო აპარატი ძლიერ ცენტრალიზებულია.** იმ სფეროებში კი, რომლებიც მთავრობის პრიორიტეტების სიაში არ შედის, მათი აზრით, სახელმწიფოს ჩარევა არა მხოლოდ არაეფექტური, არამედ – ამორალური და კომუნისტურიც კია!

თუ შევადარებთ, საქართველოს ჯანდაცვის სერვისი არც ისე ცუდია იმ შემთხვევაში, თუ მასზე ხელი მიგიწვდება. მდიდარი ქვეყნებიდან კი, თუ მდიდარი ხარ, ჯანდაცვის საუკეთესო სერვისი ამერიკას აქვს. საქართველოშიც და ამერიკაშიც, თუ ჯანდაცვის სერვისის ღირებულების გადახდა არ შეგიძლია, მისით ვერ ისარგებლებ. საუკეთესო ჯანდაცვის სისტემის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო წამყვან როლს თამაშობს: საფრანგეთში, სკანდინავიაში და ა.შ. საქართველოში კი ჯანდაცვის სისტემა მთავრობისთვის პრიორიტეტი არ არის, ისევე, როგორც პრიორიტეტი არ არის მანქანების რიცხვის შემცირება ქალაქში.

პრიორიტეტი არც სოფლის მეურნეობაა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბევრს არაფერს აკეთებს. დღესდღეობით, ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის პოლიტიკა არ არსებობს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ გვპირდებიან, ამ სექტორზე მალე გაცილებით მეტი თანხები დაიხარჯებაო. არ არსებობს სახელმწიფო სუბსიდიები, როგორც ეს ამერიკასა და ევროკავშირშია. გლეხები საკუთარი თავის იმედად არიან დარჩენილნი. გარემოს დაცვის სამინისტროც ბევრს არაფერს აკეთებს. ხელისუფლებაში მტკიცედ სჯერათ, რომ თუ გარემოს დაცვის რეგულაციებს შემოიღებენ, ეს ეკონომიკურ განვითარებას საგრძნობლად შეაფერხებს.

მსგავსი პოლიტიკის გატარება სახელმწიფო თავდაცვის სფეროშიც შეიძლება. საქართველოს შეუძლია, არ ჰყავდეს ჯარი. მთავრობას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ამ დარგის ეფექტურად მართვა არ შეუძლია და მისგან უნდა გათავისუფლდეს, როგორც ეს 2004 წელს საგზაო პოლიციის შემთხვევაში მოხდა (სხვათა შორის, ძალიან წარმატებულადაც). საგზაო პოლიცია არავის ენატრება, იმათ გარდა, ვინც იქ მუშაობდა.

საბჭოთა პერიოდში მსგავსი რამ დაემართა სასამართლოს სისტემას. ყველა მოსამართლე კორუმპირებული იყო, ამიტომ, ხალხი სადავო

საკითხების გადასაჭრელად კანონიერ ქურდებს მიმართავდა. ისინი უფრო პატიოსანი და ნაკლებად ხარჯიანი იყვნენ. არ არსებობს მიზეზი, თუ რატომაც არ შეუძლია საქართველოს მთავრობას ამ სფეროს პრივატიზებაც და სასამართლო სისტემის იმათთვის მიყიდვა, ვისაც ამ სფეროში გამოცდილება აქვს. ისინი შესაძლოა, უფრო დამოუკიდებელნიც იყვნენ, თუმცა ამის ნაცვლად, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და მოსამართლეების დანიშვნებზე მკაცრი ცენტრალური კონტროლი ხორციელდება. რატომ?

რეგიონული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი კი არაბუნებრივად ცენტრალიზებულია. იმის გასაგებად, თუ ვის აქვს ძალაუფლება, ფულის მოძრაობას უნდა მიჰყვე. საქართველოს მთავრობა, სხვა მთავრობებისგან განსხვავებით, რეგიონულ ფინანსებზე მკაცრ ცენტრალურ კონტროლს ახორციელებს. მუნიციპალიტეტებს გადასახადების აკრეფის მწირი შესაძლებლობები აქვთ; თბილისის მერიას თუ არ ჩავთვლით, რომელიც ახლოსაა და მკაცრადაც აკვირდებიან. ფორმალური თანხების ტრანსფერის ფორმულაც კი არ არსებობს ცენტრსა და რეგიონულ მუნიციპალიტეტებს, რეგიონებსა თუ რაიონებს შორის, ამიტომ, ისინი ყოველთვის მორჩილნი არიან. ეს ნამდვილად არაორდინალური სახელმწიფო ცენტრალური კონტროლია. ესე იგი, სახელმწიფო თვლის, რომ მას შეუძლია საუკეთესო მერების დანიშვნა, იცის, თუ საით უნდა გადაისროლოს თანხები, მაგრამ სჯერა, რომ არ შეუძლია მანქანების შემოწმება, ან ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის პროგრამის ადმინისტრირება? ეს ყველაფერი მართლაც პრიორიტეტების საქმეა. როდესაც მთავრობა თვლის, რომ რაღაცის გაკეთება შეუძლია, ან არ შეუძლია, ჩვენ შეგვიძლია, ციცერონის ცნობილი კითხვით მივმართოთ: Cui Bono? – ვინ ისარგებლებს ამით?

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ცხადაიამ.

არჩევნები 2010 – სარეკლამო ომები

ჰობოჰ მოვიპაროთ დემოკრატია

ამერიკა კონგრესის შუალედური არჩევნებისთვის ემზადება. მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანია ბევრს „უოტერგეიტის“ დროინდელ ამბებს აგონებს.

სემ დევისი

დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის ოფისის სარდაფში დღემდე ინახება კარადა, რომელიც 1972 წელს უოტერგეიტის კომპლექსში „ქურდებმა“ გატეხეს.

ამ ერთი შეხედვით ბანალური შემთხვევების გამოძიების შემდეგ, ჟურნალისტების ბობ ვუდვორდისა და კარლ ბერნსტეინის სახელები საგამოძიებო ჟურნალისტიკის ისტორიაში სამუდამოდ დარჩა. სიტყვა „უოტერგეიტი“ კი პოლიტიკურ ლექსიკონში სკანდალის სინონიმად ჩაიწერა.

უოტერგეიტის საქმემ აჩვენა, როგორი დაუნდობელი და უსამართლო შეიძლება, იყოს პარტიებს შორის წინასაარჩევნო ბრძოლა.

მეორე მხრივ კი, ამ შემთხვევის შემდეგ ამერიკაში დაიწყო ბრძოლა საარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისთვის.

ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება.

2 ნოემბერს ამერიკაში კონგრესის შუალედური არჩევნები გაიმართება. ანალიტიკოსები „რესპუბლიკელებს“ დამაჯერებელ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მმართველი პარტიის – „დემოკრატების“ პოზიციებს საგრძნობლად შეასუსტებს და, შესაძლოა, ბარაკ ობამას მეორე ვადით არჩევასაც შეუშალოს ხელი.

ამ რეალობების გათვალისწინებით, წინასაარჩევნო კამპანია ამერიკაში ძალიან ცხელი გამოდგა. კანდიდატები ერთმანეთს დაუნდობელ ბრძოლას უცხადებენ და უკან არაფერზე იხევენ.

სექტემბრის ბოლოს დემოკრატიული კომიტეტის თავმჯდომარემ ტიმ კეინმა „რესპუბლიკელები“ უოტერგეიტის შემდეგ დაწერილი თუ დაუწერელი წინასაარჩევნო დაფინანსების წესების დარღვევაში დაადანაშულა და ახალი სკანდალით დაიმუქრა.

კეინის ბრალდებებისა და მუქარის სა-

ტელევიზიო ვერსია ასე გამოიყურება:

ეკრანზე ორი მამაკაცის მომღიმარი ფოტოა. მათი კმაყოფილი ღიმილი მაყურებლის უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს. კადრს მიღმა მამაკაცის სარკასტული ხმა გვეუბნება – თქვენ კარლ როუვის და ედ გილესპის, პრეზიდენტ ბუშის მრჩევლებსა და მეგობრებს უყურებთ.

კადრი იცვლება და ხმა უფრო დრამატული ხდება:

აშშ-ს სავაჭრო პალატა, მსხვილი ბიზნესის ემისრები... ისინი გვპარავენ დემოკრატიას. ამ დროს კადრში ახალგაზრდა ქალი ჩნდება ზურგიდან. ის მანქანების უკაცრიელ პარკინგზე მიდის, როდესაც მძარცველი ესხმის თავს და ხელიდან ჩანთას გლეჯს...

შემდეგი კადრი ფულის სათვლელი მანქანაა: მოწითალო, ჩინურ კუპიურებს ითვლის.

კადრს მიღმა ხმა კი გვეუბნება, რომ „დემოკრატების“ წინააღმდეგ მილიონობით საიდუმლო ფული იხარჯება. როგორც აღმოჩნდა, – განაგრძობს ხმა, – როუვიმ, გილესპიმ და სავაჭრო პალატამ უცხოური, საიდუმლო ფული აიღეს ამერიკულ არჩევნებზე გავლენის მოსახდენად.

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ასევე დაადასტურეს, რომ „რესპუბლიკელებმა“ მართლაც გამოიყენეს „მილიონობით უცხოური, საიდუმლო ფული“, თუმცა კონკრეტული დეტალები არც მათ დაუსახელებიათ.

„მილიონობით დოლარს ჩვენს წინააღმდეგ მილიონობით ხმა უნდა დავუპირისპიროთ არჩევნებზე!“ – განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ გასულ კვირას ამომრჩევლებთან შეხვედრებისას. ამავე გამოსვლაში მან სავაჭრო პალატა და უცხოური ფულიც ახსენა.

დონორების ანონიმურობა ამერიკული კანონმდებლობითაა დაცული. კარლ როუვმა ტელეარხ „ეი-ბი-სი“-სთან ინტერვიუში „დემოკრატებს“ სწორედ ეს შეახსენა. მან „დემოკრატების“ პოლიტიკურ ელიტას კონტრშეტევით უპასუხა და მიუთითა, რომ არც მათი მხარდამჭერი ორგანიზაციები ასახელებენ ანონიმი კონტრიბუტორების სახელებს. მათ შორის, ეს არც ბუნებრივი რესურსების დაცვის საბჭოს გაუკეთებია, რომელმაც 2008 წელს პრეზიდენტ ობამას მხარდასაჭერად 400 მილიონი დოლარი დახარჯა.

წინასაარჩევნო სატელევიზიო ბრძოლაში, რომელიც ხშირად სარეკლამო რგოლების მეშვეობით მიმდინარეობს, ერთი წესი არსებობს: ყველა გზავნილი სასურველია 30 წამში ჩაეტიოს. როგორც წესი, ამ 30 წამს კანდიდატები ოპონენტებზე თავდასხმისთვის იყენებენ.

წინასაარჩევნო რეკლამებს თუ ვენდობით, აშშ-ის კონგრესის შუალედურ არჩევნებში 2 ნოემბერს მხოლოდ მატყუარები, ოჯახის, ხალხისა და ქვეყნის მოღალატეები, რასისტები, აროგანტი მილიონერები ან ხელმოცარული იდიოტები იყრიან კენჭს.

არჩევნებამდე 3-4 კვირით ადრე სატელევიზიო რეკლამებში ოპონენტის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია ხვდება – ბიბლიოთეკის დავალიანების თავზარდამცემი ისტორიიდან დაწყებული, მეძავებთან ურთიერთობაში მხილებით დამთავრებული.

ზოგჯერ კანდიდატები 30 წამის წესსაც არღვევენ. მაგალითად, ლუიზიანას შტატის „რესპუბლიკელი“ კანდიდატის დეივიდ ვიტერის წინააღმდეგ დემოკრატ ჩარლი მელანსონის საარჩევნო შტაბმა 2-წუთიანი დოკუმენტური დრამა დაამზადა. ამ სარეკლამო რგოლში მოთხრობილია, რომ სულ ახლახან პატიოსანი ოჯახის მამამ – ვიტერმა ცოლს მეძავთან უღალატა. ვიტერმა მეძავთან კავშირი მართლაც აღიარა, და თან დასძინა – ეს საშინელი შეცდომა ჩემმა ცოლმა და ღმერთმა უკვე მაპატიესო. მიუხედავად ამ სკანდალისა, ბოლო წინასაარჩევნო რეიტინგების მიხედვით, იგი „დემოკრატ“ მელანსონს 2-ნულიანი ციფრით უსწრებს.

იმავე მეთოდს იყენებს კალიფორნიაში „რესპუბლიკელი“ კარლი ფიორინა „დემოკრატი“ ბარბარა ბოქსერის წინააღმდეგ: (http://www.youtube.com/watch?v=2j4RF6cx0SY) ბოქსერმა ერთხელ სენატში მოსმენისას გენერალს მიმართა: „გთხოვთ, სენატორი მიწოდოთ და არა – ქალბატონი. მე ბევრი ვიმუშავე ამ ტიტულის მოსაპოვებლად“. ამ საარქივო მასალის შემდეგ ფიორინა გვიყურებს და კამერაში ამბობს, „ბოქსერი 28 წელია, მუშაობს, წვალობს ვაშინგტონში ტიტულისთვის... მე პირადად ვაშინგტონში რეალური საქმის საკეთებლად მივდივარ“.

ნევადაში ერთმანეთს სენატის უმრავლესობის ლიდერი ჰარი რიდი და ჩაის მოძრაობის რჩეული შარონ ანგელი უპირისპირდებიან. რიდმა 1,5 მილიონი დახარჯა შარონის ექსტრემიზმში სამხილებლად. ანგელმა კი ისედაც არაპოპულარული უმრავლესობის ლიდერი, ჯერ პედოფილიისა და სექსუალური ძალადობისთვის დასჯილი პირებისთვის ვიაგრის დასარიგებლად თანხის გამოყოფაში დაადანაშაულა, შემდეგ კი არალეგალი უცხოელების მხარდაჭერაში ამხილა.

კონექტიკუტში, სენატორობის „რესპუბლიკელი“ კანდიდატი – ლინდა მაკმაჰონი „დემოკრატ“ რიჩარდ ბლუმენტალს ვიეტნამის ომში სამსახურის შესახებ ტყუილში ამხელს. „თქვენ მოიტყუებოდით ჯარში სამსახურის შესახებ?“ – ეკითხება ამომრჩეველს მაკმაჰონი და კადრში ლინდას მსხვილი ხედის შემდეგ ამერიკელ ჯარისკაცებს ვხედავთ ვიეტნამის ომში. შემდეგ ისმის ხმა: „დიკ ბლუმენტალი კი იტყუება“. ამ ფრაზას ბლუმენტალის სიტყვები მოსდევს: „ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ მას შემდეგ, რაც მე ვიეტნამში ვმსახურობდი...“

„ნიუ იორკ ტაიმსმა“ გამოიკვლია, რომ ბლუმენტალმა რამდენჯერმე გადაავადა სამხედრო სამსახური და რეალურად მართლაც არასდროს ყოფილა ვიეტნამში.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ სარეკლამო რგოლებისა, რომლითაც გავსებულია ამერიკული ტელე-ეთერი. არჩევნების წინ ამერიკელი ამომრჩეველი ბევრ ტყუილსა და მართალს იგებს, ბევრ ჭორსა და სენსაციას ისმენს. აქ ყოველთვის იქნებიან ადამიანები, ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც ამ ჭორსა და მართალში ბევრ ფულს გადაიხდიან. ამავე დროს, ამერიკაში ყოველთვის არიან ბობ ვუდვორდისა და კარლ ბერნსტეინის მსგავსი ადამიანებიც, რომლებიც რეკლამებში თუ საჯარო გამოსვლებში ნათქვამ სიტყვებს აუცილებლად გადაამოწმებენ.

ამ ქვეყანაში ხშირად გაიგონებთ, რომ ეს წესების გარეშე ბრძოლაც მათი დემოკრატიის ნაწილია.

კომენტარი

სინგაპურის "რბილი ავტორიტარიზმი"

სინგაპური ახალი ტიპის სახელმწიფოა, რომელიც დემოკრატიული რეფორმების იგნორირებით ეკონომიკურ სასწაულებს ახდენს.

გიორგი ცხადაია

ტერმინ „რბილ ავტორიტარიზმს“ ცნობილი გერმანელი პოლიტოლოგი, რალფ დარენდორფი შემდეგნაირად განმარტავდა: „კანონმორჩილ მოქალაქეებს, რომლებიც ზედმიწევნით ასრულებენ თავიანთ საქმეებს და უვნებელი პირადი ცხოვრება აქვთ, თავიანთი ლიდერების რისხვის არ უნდა ეშინოდეთ... აი, ისინი კი, ვინც ხელისუფლების არადემოკრატიულობას აკრიტიკებენ, ნეპოტიზმში ამხელენ და ხალხს ალტერნატიულ პოლიტიკურ კანდიდატებს სთავაზობენ, ნამდვილი საფრთხის ქვეშ არიან.“

ეს განმარტება განსაკუთრებით ისეთ მთავრობებს ეხება, რომლებიც ეკონომიკურად წარმატებულნი არიან და ხელისუფლების შესანარჩუნებლად განსაკუთრებული რეპრესიული ძალის დემონსტრირება აღარ სჭირდებათ.

როგორც წესი, ასეთ ქვეყნებში მოქალაქეები ისედაც იოლად ექცევიან ხელისუფლების პოლიტიკური გავლენის ქვეშ და გაბატონებულ იდეოლოგიას ეგუებიან. ამ შემთხვევაში, ეკონომიკური წარმატება დემოკრატიის შეზღუდვის მთავარი მიზეზი ხდება. კლასიკური შემთხვევა სინგაპურია.

მმართველი „ხალხის მოქმედების პარტია“ ქვეყანას 1959 წლიდან მოყოლებული უდგას სათავეში. სინგაპურის ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება კი დღესაც სუსტი და უუნაროა.

სინგაპური პატარა ქალაქ-სახელმწიფოა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რომელიც მალაიზიის სამხრეთ სანაპიროსთან მდებარე კუნძულზეა განლაგებული. მოსახლეობა ნახევარი მილიონით მეტია, ვიდრე საქართველოში – თითქმის 5 მილიონი. სინგაპური მოსახლეობის სიმჭიდროვესთან ერთად, იმითაც გამოირჩევა, რომ ამ ქვეყანაში, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეფარდებით, მსოფლიოში ყველაზე მეტი იმიგრანტი/უცხოელი ცხოვრობს. სინგაპურის სკოლებში სწავლების ენა ინგლისურია.

ამ და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლებით, სინგაპური მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გლობალიზებულ ქვეყნად ითვლება. მოსახლეობის ცხოვრების დონით პატარა ქალაქ-სახელმწიფო დასავლურ ქვეყნებს არაფრით ჩამოუვარდება.

სინგაპურის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება ერთმანეთს იმ დროიდან ასცდა, რაც ქვეყანამ მალაი-

ზიისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის (მალაკას სრუტეში) წყალობით, ქვეყანა დაუმსახურებელი ეკონომიკური უპირატესობით – სატრანსპორტო დერეფნით სარგებლობს. დღესდღეობით სინგაპურის პორტი მსოფლიოში ყველაზე დატვირთულ პორტად ითვლება.

სინგაპურის ყოველწლიური ეკონომიკური ზრდა 1970-იან და 1980-იან წლებში დაახლოებით 8-დან 10 პროცენტამდე მერყეობდა. უკვე 1994 წლისთვის ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი უფრო მეტი იყო, ვიდრე ავსტრალიაში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში. ქვეყანა აღმავლობის უწყვეტ გზაზე იდგა.

მიუხედავად ამისა, ყველაფერი ისე არ მომხდარა, როგორც ეკონომიკის სახელმძღვანელოებში ეწერა. სინგაპურის ეკონომიკაში სახელმწიფომ განსაკუთრებული როლი ითამაშა: წამყვანი ინდუსტრიების და მომსახურების სერვისის ნაციონალიზაციის, ასევე, კერძო ფირმებში წილების ფლობის მეშვეობით.

მმართველი „ხალხის მოქმედების პარტია“ ქვეყანას 1959 წლიდან მოყოლებული უდგას სათავეში. სინგაპურის ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება კი დღესაც სუსტი და უუნაროა.

სინგაპური, სამხრეთ აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებთან ერთად პოლიტიკის მკვლევარებისთვის გამოცანად დარჩა: მისი განვითარება კონვენციურ მოდელებში ვერ ჯდება. უფრო მეტიც, დღემდე აუხსნელია, თუ რატომ ვერ ახერხებს ქვეყანა თუნდაც ისეთი დონის, შედარებით ლიბერალური დემოკრატიის მიღწევას, როგორც იაპონიაში, ტაივანსა და სამხრეთ კორეაშია.

სინგაპურის პარადოქსის ასახსნელად რამდენიმე პოპულარული მიზეზის მოტანა შეიძლება: სახელმწიფოს მიერ მუდმივი საფრთხის კულტივირება, მოუქნელი საარჩევნო სისტემა და ერთპალატიანი პარლამენტი, ოპოზიციური პარტიების სისუსტე და ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე.

სახელმწიფო გამუდმებით ცდილობდა და ცდილობს საკუთარ რიტორიკაში ნაციონალური საფრთხეების ეფექტურად გამოყენებას. უმთავრესად, ეს შეეხებოდა ჩრდილოეთიდან მომავალ, „მალაიზიურ საფრთხეს“, რომლის შიშითაც სინგაპური, ტრადიციულად, ბევრს ხარჯავდა სამხედრო სფეროში.

პარადოქსულია ის, რომ სახელმწიფოს მრავალეთნიკური ხასიათი მისი ძლიერების დამატებით გარანტად იქცა: სინგაპურის მმართველ პარტიას ყოველთვის შეეძლო ეთნიკური მრავალფეროვნების პოტენციურ საფრთხედ გასაღება და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების აუცილებლობაზე საუბარი.

სინგაპურის კონსტიტუცია არა ერთხელ შეუცვლიათ, განსაკუთრებით პოპულარული კი საარჩევნო სისტემის ცვლილებები გამხდარა. მუდმივად ცვალებადი, ხელისუფლების ინტერესებზე მორგებული გარემო, ისედაც დაქსაქსული ოპოზიციისთვის დამატებით ბარიერად აღიმართებოდა ხოლმე.

ოპოზიციის სისუსტის მთავარი მიზეზი ისიც გახდა, რომ სახელმწიფო მუდმივად პრევენციულ ზომებს იღებს. ხელისუფლება იქამდე „ურტყამს“, ვიდრე ოპოზიცია მოქმედებას დაიწყებს. ამისთვის სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია ბიუროკრატიული რესურსების მობილიზება: პროსახელისუფლო „პოპულარული მოძრაობების“ შექმნა, პროფკავშირებისა და მასმედიის კონტროლი. ასეთ პირობებში, ოპოზიციას თითქმის ყველა გზა ეკეტება და არჩევნებში გამარჯვების ყველანაირი შანსი ესპობა.

საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, სინგაპურის მთავრობას თავის მართლება არ უჭირს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ თუ დემოკრატიის ოთხი მთავარი პრინციპის მიხედვით განვსჯით, სინგაპური ფორმალურად დემოკრატიული ქვეყანაა: არჩევნები ტარდება, წარმომადგენლებს ირჩევენ, პოლიტიკურად/ფორმალურად ყველა თანასწორია და შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობის ხმასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამასთან, ყველა თანხმდება, რომ სინგაპურულ დემოკრატიასა და დასავლურ დემოკრატიას შორის უდიდესი განსხვავებაა: სინგაპურში ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლის რეალური შანსი არ აქვს. სამოქალაქო საზოგადოება კი თითქმის არ არსებობს. ამის გათვალისწინებით, სინგაპურს „არალიბერალური დემოკრატია“ უწოდეს.

სინგაპურის მთავრობა თავს ე.წ. „აზიური ღირებულებებითაც“ იმართლებს. ამ არგუმენტის მიხედვით, აზიური ღირებულებები ევროპულისგან იმით განსხვავდება, რომ მოქალაქეებს პასუხისმგებლობის მქონე მთავრობაზე მეტად, ეფექტური მმართველობა სურთ. ანუ მთავრობა, რომელიც მენეჯერებით იქნება დაკომპლექტებული და არა – პოლიტიკოსებით.

სინგაპურის ეკონომიკა აღმოსავლეთ აზიის სხვა ეკონომიკათაგან იმით გამოირჩევა, რომ იგი ტრანსნაციონალური ეკონომიკის ნეოლიბერალურ მოდელს ყველაზე უკეთ მოერგო. მართალია, ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელის ერთ-ერთ მთავარ მაქსიმას დღემდე არაფრად აგდებს და დემოკრატიას სკეპტიკური თვალით უყურებს, მაგრამ სხვა მაჩვენებლები აქვს: უცხოური ინვესტიციებისა და თავისუფალი ვაჭრობის თვალსაზრისით, სინგაპურის ეკონომიკა ერთ-ერთი ყველაზე მეტად გახსნილი და თავისუფალია.

სინგაპურის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ დემოკრატიული რეფორმების იგნორირებით, ახალი ტიპის სახელმწიფოების წარმოშობის მომსწრენი ვხდებით: ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ინტენსიურად ჩართული „რბილი ავტორიტარული“ ქვეყნების, რომლებიც მოქალაქეებს უსაფრთხოების და ეკონომიკური განვითარების გარანტიებს სთავაზობენ, წარმატებას კი საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვითა და თავისუფალი ვაჭრობით (თუმცა, ზოგჯერ საბაზრო ეკონომიკაში უხეში ჩარევითაც) აღწევენ.

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, სინგაპურმა კიდევ ერთი სასწაული მოახდინა: 2010 წელს ქვეყანაში 17.9 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა.

ჩრდილოეთ კავკასია

ჩეჩნეთი: პასუხისმგებლობის ახალი ტენდენციები

ჩეჩნეთში ბოევიკების გახშირებული თავდასხმები პირდაპირ კადიროვის რეპუტაციას „ურტყამს“ და კონფლიქტის ახალ სტადიაში გადასვლას მოასწავებს.

ვალერი ძუცევი

დაცვის ოფიცერი გროზნოს პარლამენტის შენობაში, 19 ოქტომბერი 2010

ფოტო: ასლან ბაბაევი / Reuters

19 ოქტომბერს გროზნოში ჩეჩნეთის პარლამენტს ბოევიკები დაესხნენ თავს. ოფიციალური ინფორმაციით, დაიღუპა სამი პოლიციელი, 13 ადამიანი დაიჭრა.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კავკასიური საზომით საკმაოდ ტრივიალური დანაკარგია, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა პირადად დაურეკა ჩეჩნეთის ლიდერს რამზან კადიროვს, რათა მომხდარში გარკვეულიყო და ყოველი დაზარალებული ოჯახისთვის 30 ათასი დოლარის გადახდასაც დაჰპირდა.

აშკარაა, რაღაც შეიცვალა ჩეჩნეთის მოთვინიერების მექანიზმში. აქამდე რამზანი პრაქტიკულად შეუზღუდავად მართავდა რესპუბლიკას. ის არა მარტო მიმდინარე მოვლენებს აკონტროლებდა, არამედ რესპუბლიკიდან არასასურველი საინფორმაციო ნაკადის ჩახშობაც ხელეწიფებოდა.

2009 წლის შემდეგ როდესაც გროზნოში ცნობილი ადამიანის უფლებათა დამცველი და ჟურნალისტი ნატალია ესტემიროვა მოკლეს, ჩეჩნეთი, პრაქტიკულად, შავ საინფორმაციო ხვრელად იქცა.

რა თქმა უნდა, დრო და დრო ჩნდებოდა ინფორმაცია კადიროველებზე თავდასხმის, თვითმკვლელების აფეთქებების და კადიროველების მიერ მოჯაჰედების განადგურების შესახებ. თუმცა, ბრძოლის მოტივები სულ უფრო ბუნდოვანი ხდებოდა და ადამიანთა უფლებების დარღვევების შესახებ ინფორმაცია მინიმალური იყო. კადიროვი თითქოს წარმატებით უმკლავდებოდა „მთაში მორბენალ 70 შაითანს“, როგორც ის ბოევიკებს უწოდებს.

ჩეჩნური ყოფის სიმშვიდე 29 აგვისტოს, გამთენიისას, კადიროვის მშობლიურ სოფელ ცენტროროიზე თავდასხმამ დაარღვია. დღემდე უცნობია, რამდენი ადამიანი დაიღუპა ცენტროროიში ბოევიკებსა და ფედერალებს შორის სისხლიანი შეტაკებისას. რამდენიმე დღის განმავლობაში სოფლიდან მოსახლეობას არ უშვებდნენ, გადაკეტილი იყო შესასვლელი გზებიც. სავარაუდოდ, კადიროვმა ათობით მხარდამჭერი დაკარგა მაშინ, როდესაც თავდამსხმელების მხრიდან 5 ადამიანის დაღუპვის შესახებ განაცხადეს.

ეს ბოლო 6 წლის მანძილზე კადიროვების საგვარეულო სოფელზე პირველი თავდასხმა იყო, რამაც ჩეჩნეთის მმართველის იმიჯს სერიოზული ზიანი მიაყენა. და, აი, ახლა უკვე მეორე თავხედური თავდასხმა, ამჯერად – რესპუბლიკის პარლამენტზე. ეს პირადად კადიროვის იმიჯზე დარტყმა იყო.

რუსეთის ისლამური კომიტეტის თავმჯდომარის – გეიდარ ჯამალის – განცხადებით, მოსკოვში გარკვეული ძალები კადიროვის დისკრედიტირებას ცდილობენ, რათა მის მიერ ჩეჩნეთში სიტუაციის კონტროლის უუნარობა დაამტკიცონ.

ჯამალი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პარლამენტზე თავდასხმა გროზნოში რუსეთის შს მინისტრის რაშიდ ნურგალიევის ვიზიტს დაემთხვა, პარლამენტის შენობაში კი სვერდლოვსკის ოლქის დეპუტატები იმყოფებოდნენ.

ისლამური კომიტეტის თავმჯდომარის შეფასებით, როცა თავდასხმის ფაქტს ასეთი რანგის სტუმრები ესწრებოდნენ, კადიროვი ინფორმაციას ვეღარ დამალავდა.

„კადიროვი რუსი ძალოვნების ძლიერი რესურსი და კოზირია. ამასთან, მას რუსეთის ფედერაციის ბედზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ვიღაცას ძალიან უნდა, ეს რესურსი აღარ არსებობდეს და ცენტრალურ ხელისუფლებას პრობლემები შეექმნას“, – დასძინა ჯამალმა.

ჩეჩნეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თავდასხმაზე პასუხისმგებელია საველე მეთაური ჰუსეინ გაკაევი. თუ ეს ინფორმაცია სიმართლეა, მაშინ კიდევ ერთი მიზეზი არსებობს ვივარაუდოთ, რომ ჩეჩნეთში სერიოზული პროცესები დაიწყო.

საქმე ის არის, რომ საველე მეთაურებმა ჰუსეინ გაკაევმა, ასლანბეკ ვადალოვმა და ტარხან გაზიევმა 7 ოქტომბერს „ემირატ კავკაზის“ ლიდერის დოკუ უმაროვის დაქვემდებარებიდან გამოსვლის შესახებ განაცხადეს. 9 ოქტომბერს უმაროვმა ისინი დაკისრებული ვალდებულებებისგან გაათავისუფლა

და ჯიჰადისთვის გამოყოფილი თანხების დაბრუნება მოსთხოვა. ეს ჩრდილოეთ კავკასიის იატაკქვეშეთში ისლამურ დაჯგუფებებს შორის მომხდარი ბოლო შიდა კონფლიქტია.

ბევრი დამკვირვებელი აღნიშნავს, რომ ეს – არც მეტი, არც ნაკლები – ჩეჩენი ბოევიკების მხრიდან უმაროვისადმი უნდობლობაზე და მოჯაჰიდების ბანაკში სერიოზულ დაპირისპირებაზე მიუთითებს.

ბოევიკებს შორის განხეთქილება განსაკუთრებით გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც 2010 წლის ივნისში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დოკუ უმაროვი ტერორისტთა სიაში შეიყვანა. შესაძლოა, ეს ყველაფერი მხოლოდ დამთხვევაა, თუმცა სრულიად შესაძლებელია აშშ-ს მხრიდან უმაროვის განსჯამ მის მხარდამჭერებზე გავლენა იქონია.

უმაროვს ჯერ ისევ უჭერენ მხარს ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტერიტორიებზე მოქმედი ბოევიკები, თუმცა, როგორც ჩანს, მას ჩეჩნეთთან დიდი პრობლემები აქვს. უმაროვი დაუპირისპირდა ცნობილ არაბ ტერორისტს, ალქაედას წარმომადგენელს – მუჰანადს და იგი „ემირატ კავკაზში“ განხეთქილების შეტანაში დაადანაშაულა.

არ არის გამორიცხული, რომ ბოევი-

სპეცოპერაცია გროზნოში, ოქტომბერი 2010

კებს შორის დაპირისპირება რუსეთის სპეცსამსახურების დამსახურება იყოს. 18 ოქტომბერს ჩეჩენი ტერორისტების საიტზე – „კავკაზცენტრზე“ დოკუ უმაროვი ემოციური სიტყვით წარდგა. იგი აშკარად თავს იცავდა.

მან აღნიშნა, რომ ცალკეულ ბოევიკებს რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები სურდათ და ამისთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მსგავსი ინსტიტუტის შექმნას ითხოვდნენ. უმაროვმა ისინი გააფრთხილა, რომ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ყველა ლიდერი სწორედ მოსკოვთან მოლაპარაკებების მცდელობისას მოკლეს. ჩეჩნეთის ბოლო ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტი ასლან მასხადოვი მართლაც 2005 წლის მარტში მოკლეს, მას შემდეგ, რაც მან ფედერალურ ძალებთან შესაძლო მოლაპარაკებების შესახებ განაცხადა.

ლონდონში მცხოვრებმა ახმედ ზაკაევმა, რომელიც ჩეჩნური რესპუბლიკა იჩქერიის ლიდერად მიიჩნევდა თავს, ძალაუფლება ჩეჩნეთის ახალ იატაკქვეშა ხელმძღვანელობას მას შემდეგ გადასცა, რაც ჩეჩნეთის გავლენიანი საველე მეთაურები დოკუ უმაროვს განუდგნენ. უმაროვი და ზაკაევი მუდმივად ერთმანეთს ადანაშაულებენ რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში.

„კადიროვი რუსი ძალოვნების ძლიერი რესურსი და კოზირია. ამასთან, მას რუსეთის ფედერაციის ბედზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ვიღაცას ძალიან უნდა, ეს რესურსი აღარ არსებობდეს და ცენტრალურ ხელისუფლებას პრობლემები შეექმნას“.

ჩეჩნეთის პრო-მოსკოვური პრეზიდენტი რამზან კადიროვი ზაკაევს მუდმივად ადანაშაულებს სიტუაციის არევის მცდელობაში და ჩეჩნეთის პარლამენტზე თავდასხმაშიც კი დასდო ბრალი. ამ უკანასკნელმა 19 ოქტომბერს რადიო „ეხო მოსკვის“-თან ინტერვიუში ეს ბრალდება უარყო.

ახმედ ზაკაევი დაჟინებით მოითხოვს, რომ ჩეჩნურმა წინააღმდეგობამ უარი თქვას ტერორისტულ აქტივობაზე და აგრესიულ ისლამზე, რათა დასავლეთის მხარდაჭერა მოიპოვოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩრდილოეთ კავკასიელი ბოევიკები ფუნდამენტალისტი მუსლიმები არიან, ზაკაევს ბოევიკებზე გავლენა არ აქვს და არც მისი მოწოდებებია პოპულარული.

გარდა ჩეჩნეთის იატაკქვეშეთში მიმდინარე შიდა ბრძოლებისა, რესპუბლიკაში სიტუაციის გამწვავებაზე, სავარაუდოდ, ის პროცესებიც იმოქმედებს, რომლებიც ცენტრში – მოსკოვში ხდება. იქ კი, ფარული დაპირისპირება უკვე დაწყებულია და ამას მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს.

ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ზუსტი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ თავისუფალი ჟურნალისტებისთვის ამ ტერიტორიაზე შეღწევა ძალიან რთულია, იქაური მედიის წარმომადგენლები კი საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად მუშაობენ.

დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჩეჩნეთში სიტუაცია ხშირი ცვალებადობის ფორმატში გადავიდა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ის არც არასოდეს ყოფილა სტაბილური, თუმცა პარლამენტზე განხორციელებული თავხედური თავდასხმა ჩეჩნეთში და მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაში დიდ ცვლილებებს მოასწავებს.

ჩრდილოეთ კავკასია

ოსი ალანია

ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს შორის დღეს უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე – საერთო.

ვალერი ძუცევი

ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ოსები ცხოვრობენ, რომლებიც საუბრობენ ერთი ენის განსხვავებულ დიალექტებზე. მათ შორის ხშირია ნათესაური კავშირები.

ბოლო დროს გავრცელებული პრაქტიკაა საცხოვრებელი ბინის შეძენა როგორც სამხრეთში, ისე – ჩრდილოეთში. ამიტომ ხშირად ძნელია სამხრეთიდან ჩრდილოეთში მიგრაციის განსაზღვრა, რადგან ბევრი მოქალაქე ერთდროულად ორივე რესპუბლიკაში ცხოვრობს.

ერთნაირია ამ ორი რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკაც: დროშა და ღერბი. მხოლოდ ჰიმნები აქვთ განსხვავებული.

წინასაარჩევნო კამპანიების დროს, ორივე რესპუბლიკაში (განსაკუთრებით, სამხრეთში) პოლიტიკოსების საყვარელი თემაა ორი ოსეთის გაერთიანების იდეა.

მაგალითად, 2006 წლის ივნისში, საპრეზიდენტო არჩევნებამდე 5 თვით ადრე სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ „ჩვენი ბრძოლის საბოლოო მიზანია ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის გაერთიანება. და რუსეთის ფედერაციაში შესვლა“.

თუმცა, ამ პოპულისტური განცხადებების მიღმა, თითქმის არაფერი დგას, რადგან ორი რესპუბლიკის საზოგადოებებში მეტი განსხვავებაა, ვიდრე – საერთო.

მათ შორის არის სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს შორის საქართველოსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. თუ ჩრდილოელი ოსებისათვის საქართველო მეზობელია, რომელთანაც შეიძლება ურთიერთობების აწყობა, მუშაობა და, უმეტესწილად, სადავო საკითხებიც არ არსებობს, სამხრეთ ოსებისათვის საქართველოსთან ურთიერთობა, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის გამო, ნეგატიურად აღიქმება.

როკის გვირაბი

ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსები რუსეთთან ურთიერთობების თვალსაზრისითაც განსხვავდებიან.

მაგალითად, მნიშვნელოვან წყალგამყოფად იქცა ბესლანის ტრაგედია, როცა 2004 წელს მძევალთა გათავისუფლების მიზნით ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ჩრდილო ოსურ სკოლაში 330 მძევალზე მეტი დაიღუპა, უმეტესობა – ბავშვები.

ბესლანის ტერაქტის შემდეგ ჩრდილოეთ ოსეთის პოლიტიკურად აქტიური ნაწილი რუსეთის მმართველი კლასის და ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის – ვლადიმერ პუტინის – მიმართ საკმაოდ კრიტიკულად განეწყო.

მაგალითად, 2007 წლის ნოემბერში რესპუბლიკის ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა ჩრდილოეთ ოსეთის ცნობილი პოლიტიკოსის – ბესარიონ ასეევის მანიფესტი, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას სასტიკად აკრიტიკებდა. ოსი პოლიტიკოსის მიზნად „პოლიტიკურ-სამართლებრივი გზებით სუვერენული, აყვავებული, დემოკრატიული ოსური სახელმწიფოს შექმნა“ სახელდებოდა. ამასთანავე, ასეევმა ჩრდილოეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნებში ასობით ამომრჩევლის ხმა მოიპოვა.

იმ დროს, როცა ჩრდილოეთ ოსეთში ეს ტრაგედია დატრიალდა, სამხრეთ ოსეთში რუსეთის ან პუტინის გამკრიტიკებელი პოლიტიკოსის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. მეტიც, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება რუსეთის ფედერაციაში შესვლის სურვილს ღიად გამოთქვამდა.

ამ კონკრეტულ სიტუაციას სამხრეთ ოსეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში სრულიად განსხვავებული გამოძახილი ჰქონდა.

ჩრდილოეთ ოსეთისათვის სამხრეთ ოსეთის ომები უმეტესწილად „სხვის ომებად დარჩა". ისევე, როგორც ბესლანის ტრაგედია იქცა „სხვის ტრაგედიად" სამხრეთ ოსეთისათვის.

2008 წლის აგვისტომდე საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში ჩრდილო ოსების არსებითი მონაწილეობა არ დასტურდება.

90-იან წლებში ქართულ-ოსურ კონფლიქტში ჩრდილოეთიდან, უკიდურეს შემთხვევაში, ათობით მოხალისე თუ წავიდა.

ჩრდილო ოსები, ტრადიციულად, საკუთარ პოლიტიკურ კონსერვატიზმს და რუსეთის შემადგენლობიდან გასვლის სეპარატისტული ტენდენციების არქონას მომგებიანად და ბრძნულად მიიჩნევენ, რაც მათ სტაბილურობის გარკვეულ დონეს ანიჭებს. ამიტომ ისინი, არც თუ იშვიათად, გმობდნენ სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმს, ყოველ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომამდე, და ხშირად სამხრეთ ოსებს თავიანთ პრობლემებში ადანაშაულებდნენ.

ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჩრდილოეთ ოსეთიდან თავის ბლოგზე დაწერა: „დადგა დრო, ჩრდილოელმა ოსებმა აღიარონ, რომ სინამდვილეში სულ არ გვაინტერესებს, რა ხდება სამხრეთ ოსეთში. ჩვენ ისინი არ გვიყვარს. რუსეთში ვცხოვრობთ. თავადაც ბევრი პრომლემა გვაქვს, მათგან კი მხოლოდ ხმაური და თავის ტკივილია."

ჩრდილო ოსების მიერ საკუთარი სამხრეთელი თანამოძმეების ნეგატიურ აღქმზე სერიოზული გავლენა იქონია 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოდან დევნილთა ნაკადის შემოსვლამ. ამ მიგრაციამ რესპუბლიკას ეკონომიკური და სხვა სახის პრობლემები შეუქმნა.

კიდევ ერთი განსხვავება ამ ორ რესპუბლიკას შორის რელიგიური ხასიათისაა. ტრადიციულად, ოსები ღრმად მორწმუნეები არიან. თუმცა, ოსურ გარემოში და პოლიტიკურ კულტურაში ქრისტიანობა და ისლამი სულ უფრო გამოკვეთილ ხასიათს იღებს.

სამხრეთ ოსეთს ისლამური ტრადიციები თითქმის არ გააჩნია, მაშინ, როცა ჩრდილო ოსეთში ისლამი, როგორც წესი, საზოგადოების ნაღების რელიგიას წარმოადგენდა.

თუ გადავხედავთ ჩრდილოეთ ოსეთის ამჟამინდელ პოლიტიკურ ელიტას, ტრადიციულად, ოსური მუსლიმური კლანის წევრები რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებში ფართოდ არიან წარმოდგენილი.

თუ გავითვალისწინებთ ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული სახელმწიფოს პოლიტიკას, რელიგიური საკითხები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს, მათ შორის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს შორის ურთიერთობებშიც.

ორ რესპუბლიკას შორის გართულებულია ეკონომიკური კავშირიც. მაგალითად, დღეისათვის აკრძალულია სამხრეთიდან ჩრდილოეთში ხეტყის გატანა, არადა, სამხრეთ ოსეთს წიფლის დიდი მარაგი აქვს. სამხრეთ ოსეთს საქართველოსთან ეკონომიკური კავშირი ვერ ექნება, გამოდის, რომ ამ გადაწყვეტილებით რუსეთი სამხრეთი ოსეთის ეკონომიკურ ბლოკადას ეწევა. ჩრდილოეთ ოსეთს შესწევს ძალა, კრემლის ზოგიერთ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონიოს, მაგრამ ის ამას არ აკეთებს.

ექსპერტები ორივე რესპუბლიკაში აღიარებენ, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის კონსოლიდაციის ხარისხი ძალიან დაბალია.

„მაგალითად, სომხეთის თანამედროვე ნაციონალური იდეა მთლიანად მთიან ყარაბაღზეა ორიენტირებული. მთელი ნაციონალური მოძრაობა იყო ბრძოლა ყარაბაღის განთავისუფლებისთვის. ჩრდილოეთ ოსეთში ასე არ ყოფილა. აქ არა აქვთ იმის შეგრძნება, რომ სამხრეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა", – ამბობს ექსპერტი ჩრდილოეთ ოსეთიდან – იგორ დულაევი.

ამას ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი მამსუროვიც აღიარებს. რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში მან ერთხელ თქვა: „როცა მე და ჯაბეევიჩი (ედუარდ კოკოითი) ვსხედვართ და გულახდილად ვლაპარაკობთ, მე ვეუბნები – ვერ წარმომიდგენია, რომ სამხრეთ ოსეთი მართლა სახელმწიფოა".

ჩრდილოეთ ოსეთისათვის სამხრეთ ოსეთის ომები უმეტესწილად „სხვის ომებად დარჩა". ისევე, როგორც ბესლანის ტრაგედია იქცა „სხვის ტრაგედიად" სამხრეთ ოსეთისათვის. ჩრდილოეთ ოსეთში არა აქვთ იმის შეგრძნება, რომ სამხრეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

მედია სარეკლამო ბაზარი

ხელიამ - ჯანონს მილმა

„სტუდია მონიტორმა“ გამოიკვლია მედია სარეკლამო ბაზრის დაფარული მხარეები და ამ ბაზარზე მონოპოლისტი ფირმების კავშირები ხელისუფლებასთან.

გივი მგელაძე, „სტუდია მონიტორი“

„სტუდია მონიტორის“ ჯგუფი რამდენიმე თვის განმავლობაში მედია სარეკლამო ბაზარზე ორი მთავარი მოთამაშის „რუსთავი 2-“ისა და „იმედის“ მონიტორინგს აწარმოებდა.

ჯამში 50-მდე ჩანაწერი დაგროვდა – საინფორმაციო გამოშვებები, მხატვრული ფილმები და სხვა პროგრამები. საბოლოოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის დარღვევის რამდენიმე ათეული ფაქტი გამოიკვეთა.

ტელევიზიების შემოსავლები და სარეკლამო წილი

მაუწყებლების საერთო შემოსავლებმა, რომლებიც 2005 წლიდან იზრდება, 2008 წელს 100 მილიონ ლარს გადააჭარბა. აგვისტოს ომის და ეკონომიკური კრიზისის ფონზე 2009 წელს შემოსავლებმა 11 მილიონით დაიკლო.

ოფიციალური მონაცემები ტელევიზიების სარეკლამო შემოსავლების თაობაზე არ არსებობს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2008 წლის კვლევის მიხედვით, ტელევიზიების საერთო შემოსავლებიდან მხოლოდ რეკლამაზე 2008 წელს – 58, 2009-ში კი 35 38 მილიონი ლარი მოდის.

ორგანიზაცია „თვ-ემ-არ საქართველომ“ გასულ წელს 8 ქართული არხის მონიტორინგი განახორციელა. მათი მონაცემებით, 2009 წელს ეთერში ყველაზე მეტი კომერციული რეკლამა „იმედმა“ გაუშვა – დღეში 125 წუთი,

„რუსთავი 2“-მა – 111 წუთი, ტელეკომპანია „მიუზიკ ბოქსმა“ – 80 წუთი, „კავკასიამ“– 76 წუთი, „მაესტრომ“– 72 წუთი, „პირველმა სტერეომ“– 72 წუთი, „პირველმა არხმა“ – 52 წუთი და ტელეკომპანია „მზემ“– დღიური 32 წუთი.

კომერციული რეკლამის და ტელეშოპინგის ეთერში განთავსების წესებს მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-8 თავი ადგენს, ამ თავშივეა იმ პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა შეწყვეტაც და წყვეტაში რეკლამის განთავსებაც აკრძალულია.

მაგალითად, ახალი ამბების გამოშვება (რომლის ხანგრძლივობაც 30 წუთზე ნაკლებია) არ შეიძლება, რეკლამით შეწყდეს. თუმცა, ეთერზე დაკვირვება ცხადჰყოფს, რომ ხშირად კანონი ირღვევა.

წელს, ტელეკომპანია „იმედის“ 10 თებერვლის საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ 11 საათზე დაიწყო და სულ 23 წუთს გაგრძელდა, თუმცა, გადაცემა ორწუთნახევრიანი სარეკლამო გაჭრით შეწყდა. იგივე მოთხოვნა 5 იანვრის 11-საათიან „ქრონიკაშიც“ დაირღვა. გამოშვება სულ 19 წუთს გაგრძელდა და მასში სამწუთნახევრიანი სარეკლამო ბლოკი კანონდარღვევას წარმოადგენდა. დარღვევა დავაფიქსირეთ 23 იანვრის 18 საათიან „კურიერშიც“, 26 წუთიანი გადაცემა, ჩანაწერებში ჩანს, რომ 15-წუთიანი შუალედიც და 120-წამიანი ლიმიტიც ხშირად ირღვევა. მაგალითად, 21 იანვრის 21-საათიან „კურიერში“ სარეკლამო ჭრებს შორის შუალედი 9 წუთი იყო, 25 იანვრის 18-საათიან კურიერში კი სარეკლამო ჭრამ 5 წუთს გასტანა. ასევე, თითქმის 5 წუთს გაგრძელდა სარეკლამო ჭრა 11-საათიან „ქრონიკაში“. სარეკლამო ჭრების ხანგრძლივობის ლიმიტს ხშირად არღვევს „პოსტ სკრიპტუმი“, „ბიზნეს კურიერი“, „კურიერი“ და „ქრონიკა.“

კანონი უფრო მკაცრია, როცა განსაზღვრავს რეკლამის ადგილს და ხანგრძლივობას საბავშვო პროგრამებში. ასეთი ტიპის გადაცემები მხოლოდ 15 წუთში ერთხელ შეიძლება, შეწყდეს და ისიც – მაქსიმუმ 45 წამით.

გადაცემა „საბავშვო ამბები“ „რუსთავი 2“-ის ეთერით ყოველ კვირას გადის, დადგენილი ლიმიტი აქაც ირღვევა. 14 თებერვლის გადაცემაში სარეკლამო ჭრა დადგენილი 45 წამზე 3-ჯერ მეტი იყო. ჭრებს შორის შუალედი კი – მხოლოდ 7 წუთი.

მაუწყებლობის შესახებ კანონით დადგენილი კიდევ ერთი შეზღუდვა მხატვრულ ფილმებს ეხება. კანონით, თუ მხატვრული ფილმის ხანგრძლივობა 45 წუთს აღემატება, მისი შეწყვეტა მხოლოდ 45 წუთში ერთხელ შეიძლება და მაქსიმუმ – სამჯერ. ქართული მხატვრული ფილმი „მანანა“ „იმედის“ ეთერით 29 აგვისტოს გავიდა და ფილმი რეკლამისთვის 5-ჯერ შეწყვიტეს. წყვეტებს შორის შუალედი, ნაცვლად 45 წუთისა, 10 წუთს შეადგენდა. ჯამში, ფილმში, რომლის ხანგრძლივობაც 1 საათსა და 10 წუთს შეადგენს, დაახლოებით 40-წუთიანი რეკლამა განთავსდა.

ჩამოთვლილი მაგალითები რომ კანონის დარღვევის ნიმუშია, ეს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის იურისტმა კახი ყურაშვილმაც დაგვიდასტურა. თუმცა ყურაშვილი ამბობს, რომ კანონის ამოქმედებიდან, ანუ 2005 წლის იანვრიდან დღემდე, ამ ტიპის დარღვევები კომისიას არ დაუფიქსირება. „ჩვენ მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-8 თავის დარღვევისთვის არცერთი ტელეკომპანია არ დაგვიჯარიმებია, სამართლებრივ დეპარტამენტში მათ მიერ კანონის დარღვევის შესახებ შეტყობინება არ შემოსულა“,– აცხადებს ყურაშვილი.

არადა, კანონის ზემოთჩამოთვლილ წესებს მაუწყებლები თითქმის ყოველ დღე არღვევენ. კანონით, დარღვევის აღმოჩენა და რეაგირება თავად კომისიას ევალება და ვინმეს საჩივრით მიმართვა სავალდებულო არ არის.

დაფინანსებული ახალი ამბები

რეკლამის ლიმიტის დადგენის გარდა, კანონით აკრძალულია ახალი ამბების, პოლიტიკური ტოკ-შოუების და სოციალურ თემაზე მომზადებული რეპორტაჟების სპონსორობა. ეს მოთხოვნაც ირღვევა, მაგალითად „ბიზნეს კურიერს“ ჯერ „სოკარ ჯორჯია“ სპონსორობდა, შემდეგ „საქართველოს ბანკი,“ დღეს კი კომპანია „ავერსი“.

კანონი ირღვევა გადაცემა „პოსტ

კიდევ ერთი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონს არღვევს, შინაგან საქმეთა სამინისტროა, „ვანოს უწყება“ „რუსთავი 2“-ზე „ვანოს შოუ“-ს სპონსორია. სამინისტროსგან მოწოდებული ხელშეკრულების მიხედვით, დაცვის პოლიციის რეკლამირებაში 116 ათასი ლარია გადახდილი.

აკრძალვის მიუხედავად, 4-წუთიანი სარეკლამო ბლოკით შეწყდა.

მაუწყებლობის შესახებ კანონი მაუწყებელს საინფორმაციო გამოშვების რეკლამით შეწყვეტის ნებას იმ შემთხვევაში რთავს, თუ გამოშვება 30 წუთზე მეტ ხანს გრძელდება, ამ შემთხვევაში შესაძლებელია შეწყვეტა არაუმეტეს 15 წუთში ერთხელ და მთლიანი ეს წყვეტა არ უნდა იყოს 2 წუთზე მეტი. ჩვენ მიერ გაკეთებულ

სატელევიზიო რეკლამის სადისტრიბუციო კომპანია	„მედია ჰაუსი“	„ტაჩ მედია“
არხები, რომელსაც ემსახურება კომპანია	რუსთავი 2, პირველი არხი, პირველი სტერეო, მიუზიკ ბოქსი, საქართველო	ტელეკომპანია იმედი
2009 წელს ეთერში გასული რეკლამების წილი	56%	20%

როცა ახალ ამბებს ჰყავს სპონსორი, ეს ნიშნავს, რომ ახალი ამბები შეიძლება, მოხვდეს სპონსორის გავლენის ქვეშ და მაყურებელს დამახინჯებული ინფორმაცია მიეწოდოს“,– ამბობს მედია ექსპერტი ნინო დანელია.

„ნიჭიერი“-მერი და 2 ვანო

სპონსორობასთან დაკავშირებით კანონი ადმინისტრაციულ ორგანოს, სახელმწიფო მოხელეს, თანამდებობის პირსა და პოლიტიკურ პარტიას ტელე-გადაცემების სპონსორობას უკრძალავს. მიუხედავად აკრძალვისა, „რუსთავი 2“-ის პროექტს „ნიჭიერი“, რომელიც ეთერში 3 თვის განმავლობაში გადიოდა, მხარს თბილისის მერია უჭერდა. ამით ქალაქის მერი ამაყობდა კიდეც: „ზედგამოჭრილია გამოთქმა – „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“, ჩვენ ასეთ პროგრამებს მხარს ყოველთვის დავუჭერთ“,– უთხრა გიგი უგულავამ „პოსტ სკრიპტუმს.“

ჩვენ თბილისის მერს წერილობით ვკითხეთ, რა დაუჯდა ბიუჯეტს „ნიჭიერის“ მხარდაჭერა. 7 თვე გავიდა, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ. „რუსთავი 2“-ის მიერ მოწოდებული ფასებით თუ ვიმსჯელებთ, „ნიჭიერის“ სპონსორობა 60-დან 150 ათას დოლარამდე ჯდება.

კიდევ ერთი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონს არღვევს, შინაგან საქმეთა სამინისტროა, „ვანოს უწყება“ „რუსთავი 2“-ზე „ვანოს შოუ“-ს სპონსორია. სამინისტროსგან მოწოდებული ხელშეკრულების მიხედვით, დაცვის პოლიციის რეკლამირებაში 116 ათასი ლარია გადახდილი.

„თბილისის მერია და დაცვის პოლიცია ადმინისტრაციული ორგანოები არიან, აქედან გამომდინარე, მათ მიერ კონკრეტულ გადაცემაზე სპონსორობის გაწევა და მხარდაჭერა კანონდარღვევაა,“ –ამბობს იურისტი ირაკლი ცნობილაძე.

ვიდეოჩანაწერი, სადაც დარღვევაა დაფიქსირებული, ჩვენ მარეგულირებელი კომისიის იურისტს ვაჩვენეთ. იგი შეგვპირდა, რომ ამაზე რეაგირებას მოახდენს.

„სახელმწიფო უწყებებს არა აქვთ უფლება, ბიუჯეტის თანხები თავიანთი საქმიანობის რეკლამირებისთვის დახარჯონ, რეკლამაში გადახდილი ფული არამიზნობრივად გაწეული ხარჯია, რაც კანონით ისჯება. ამისთვის განსაზღვრულია ძალიან მძიმე სანქციები. სისხლის სამართლის კოდექსით, ეს სამსახურებრივი დანაშაულია,“ – ამბობს იურისტი ლია მუხაშავრია.

„სწრაფად ჩაჩავაში!“

კანონი გარკვეულ შეზღუდვებს ტელევიზიების ჟურნალისტებსაც უწესებს. მაგალითად, ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საარჩევნო გადაცემების წამყვანს ან ჟურნალისტს კომერციულ რეკლამაში მონაწილეობა ეკრძალება. მიუხედავად აკრძალვისა, „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი წამყვანი ნინო შუბლაძე მაყურებელს ჩაჩავას კლინიკაში ეპატიჟებოდა.

ჟურნალისტის კომერციულ რეკლამაში მონაწილეობას დაუშვებლად მიიჩნევს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს ხელმძღვანელი ეთერ თურაძე: „მე ვიცი ერთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი ფრანგული არხის ძალიან პოპულარულმა წამყვანმა სარეკლამო კლიპში მიიღო მონაწილეობა. არხმა ეს ჟურნალისტი დაითხოვა სამსახურიდან. ეს პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ ჟურნალისტი არ უნდა იყოს რომელიმე კომპანიის სახე“.

ი ყ ი დ ე ბ ა !

მაუწყებლობის შესახებ კანონის ზემოთ ჩამოთვლილ წესებს ტელეკომპანიები „იმედი“ და „რუსთავი 2“ ღიად არღვევენ, მაგრამ არის დარღვევები, რომლებიც მაყურებლისთვის ხშირ შემთხვევაში უცნობია. მაგალითად, სიუჟეტები რომლებშიც ფულია გადახდილი, სარეკლამო ხასიათს ატარებს, მაგრამ ჩვეულებრივ საინფორმაციო გამოშვებაში გადის და არა – სარეკლამო ბლოკში.

ჟურნალმა „ლიბერალმა“ შეკვეთილ სიუჟეტებს სტატია მიუძღვნა, სახელწოდებით – „იყიდება“.

„ლიბერალმა“ გამოიკვლია, რომ ძეხვების ხარისხის შესახებ მომზადებული რეპორტაჟი, რომელიც წესით მაყურებელს უსაფრთხო ხორცის პროდუქტების შერჩევაში უნდა დახმარებოდა, კომპანია „მითანამ“ დაუკვეთა.

„რუსთავი 2“-ის და „იმედის“ წარმომადგენლებს ჩვენ რეკლამის დამკვეთის სახელით ვესაუბრეთ. მათ დაგვიდასტურეს, რომ საინფორმაციო გამოშვებებში შეკვეთილი სიუჟეტების განთავსება შესაძლებელია. იმედის წარმომადგენელმა გვითხრა, რომ მათ საინფორმაციო გამოშვებაში შეკვეთილი სიუჟეტი 1500 დოლარი ღირს, „რუსთავი 2“-მა კი ე.წ. პრაის ლისტი გამოგვიგზავნა, სადაც შეკვეთილი სიუჟეტების ტარიფებია ჩამოთვლილი.

გადაცემაში
„დილა მშვიდობისა საქართველო“

1. კადრ-სინქრონი – $700 ღირს
2. სიუჟეტი – $800
3. სტუმრის მოწვევა სტუდიაში– $800
4. პირდაპირი ჩართვები (1 დღე) – $900
5. საიტის განხილვა ინტერნეტის მიმოხილვის ჩართვაში – $500

6. პრესის განხილვა ქირიას ჩართვაში – $500

გადაცემაში „ბიზნეს კურიერი“
1. სიუჟეტი და სტუმრის მოწვევა ჯამში – $1000* ღირს
2. პროდუქტის რეკლამირება – $1000
3. სიუჟეტი 2 წუთამდე – $800
4. სიუჟეტი 1 წუთამდე – $500

„პოსტ სკრიპტუმი“
1. სიუჟეტი (ქრონომეტრაჟი – თემატიკიდან გამომდინარე) – $3000

სარეკლამო სიუჟეტს რომ სათანადო მინიშნება უნდა ახლდეს, ამაზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის იურისტი კახი ყურაშვილიც გვეთანხმება.

უმოქმედო კომისია

ზემოთ ჩამოთვლილ დარღვევებზე რეაგირება და შესაბამისი სანქციების გატარება კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ევალება, მაგრამ მათ არც ერთი ტელეკომპანია არ დაუსჯიათ. არადა, კომისიას სოლიდური ადამიანური რესურსი და ფინანსური შემოსავალი აქვს. კომისიის წლიური ბიუჯეტი 4 მლნ 700 ათასი ლარია, აქედან 3 მლნ ლარი თანამშრომლების ხელფასებს და პრემიებს ხმარდება. კომისიას აქვს მონიტორინგის და მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტები, რომლებსაც უშუალოდ მაუწყებლების ეთერის მონიტორინგი ევალებათ. მიუხედავად ასეთი რესურსისა, ჩვენ მიერ აღმოჩენილი ფაქტები კომისიას არც ერთხელ არ დაუფიქსირებია.

კომისიის უმოქმედობის მიზეზი შესაძლოა ისაა, რომ ის თავად არის სარეკლამო ბაზრის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე.

არველაძე, ჩიქოვანი, დამენია

ეს სამი გვარი სარეკლამო ბაზრის მთავარი მაკონტროლებელია. სატელევიზიო რეკლამის ბაზარზე ორი მთავარი მოთამაშეა – „მედია ჰაუსი“ და „ტაჩ მედია.“ ბაზრის 70%-ზე მეტს ეს ორი ფირმა აკონტროლებს.

„მედია ჰაუსი“ ემსახურება შემდეგ ტელეკომპანიებს: „რუსთავი 2“, „პირველი არხი“, „I სტერეო“, „მიუზიკ ბოქსი“, ტელეკომპანია „საქართველო“.

„ტაჩ მედია“ კი – მხოლოდ ტელეკომპანია „იმედს“.

ორგანიზაცია „თვ-ემ-არ საქართველოს“ მონაცემებით, 2009 წელს ტელევიზიების ეთერში ჯამში 13 მლნ წამი რეკლამა გავიდა, აქედან 56 % „მედია ჰაუსის“ მომსახურე ტელეკომპანიებზე მოდის, 20% – „ტაჩ-მედიის“ დამკვეთ ტელეკომპანია „იმედზე“, დარჩენილი 24 % კი ტელეკომპანია „მაესტროსა“ და „კავკასიაზე“ განაწილდა.

საინტერესოა „მედია ჰაუსის“ და „ტაჩ-მედიის“ დამფუძნებლების ვინაობა.

„ტაჩ-მედიის“ დამფუძნებელი „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპია“, ამავე კომპანიას ეკუთვნის ტელეკომპანია „იმედი“. ამ კომპანიის დირექტორი გიორგი არველაძეა. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მიხედვით, გიორგი არველაძეს შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება როგორც „ტაჩ მედიაში“, ისე – ტელეკომპანია „იმედში“. აქედან გამომდინარე, რეკლამის მომძიებელიც და ეთერში გამშვებიც ერთ ხელშია.

ანალოგიური სიტუაცია იყო „მედია ჰაუსშიც“ – მისსა და „რუსთავი 2“-ის წილებს ერთდროულად ფლობდა ირაკლი ჩიქოვანი, უფრო მეტიც – ამ წლის 18 აგვისტომდე ჩიქოვანი, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეობის პარალელურად, „მედია ჰაუსის“ მეწილეც იყო. ამ შემთხვევაში, რეკლამის მომძიებელი, ეთერში განმთავსებელი და ამაზე კანონით კონტროლის განმხორციელებელიც – ერთი პირი ირაკლი ჩიქოვანი იყო.

დღეს უკვე „მედია ჰაუსის“ ასევე პროცენტს კახაბერ დამენია ფლობს, კახა დამენია 2005-08 წლებში ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, მისი ძმა ლაშა დამენია პარლამენტარია და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია.

კონტროლირებადი მედია ბაზარი

მედია ბაზარზე მომუშავე ადამიანების ნაწილი თვლის, რომ საქართველოში სარეკლამო ბაზარი ხელისუფლებისგან კონტროლდება და საბაზრო პრინციპებს არ ექვემდებარება.

„2008 წლის ივლისში, ერთ დღეს დაიბარეს ძალიან ბევრი ბიზნესმენი და პირდაპირ უთხრეს – არ მიიტანოთ რეკლამა „კავკასიაში“, თორემ შეგექმნებათ სერიოზული პრობლემები. ერთ კვირაში ათმა კომპანიამ კონტრაქტი შეგვიწყვიტა, მათ შორის „ბილაინმა“,

"ჯოჩჯიან მედია ჰოლდინგ ბიჭეჰი"

გიორგი არველაძე
დამფუძნებელი

ტელეკომპანია "იმედი" | "ტაჩ მედია"

კომუნიკაციების მაკონტროლებელი კომისია

ირაკლი ჩიქოვანი
თავმჯდომარე

ასევე „მედია ჰაუსის“ მფლობელი (2010 წლის 18 აგვისტომდე).

ამჟამად „მედია ჰაუსის“ 100%-ის მფლობელია კახაბერ დამენია, ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე (2005-2008 წწ.)

„ტაჩ-მედიის“ დამფუძნებელი „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპია“, ამავე კომპანიას ეკუთვნის ტელეკომპანია „იმედი“. ამ კომპანიის დირექტორი გიორგი არველაძეა. აქედან გამომდინარე, რეკლამის მომძიებელიც და ეთერში გამშვებიც ერთ ხელშია.

რომელსაც 1-წლიანი კონტრაქტი 1 კვირის დადებული ჰქონდა“, – იხსენებს ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი.

„კავკასიის“ ხელმძღვანელის მსგავს ისტორიებს ყვება „მაესტროს“ დამფუძნებელიც.

„კომპანიების ხელმძღვანელებთან მოვილაპარაკეთ, რეკლამა უკვე უნდა გავიდეს, ისმის ზარი, რომ იცით, რა არის, გადავიფიქრეთ. რატომ? მიზეზი მრავალია – ავად გახდა, ზოგს ასე ურჩიეს. ტელეკომპანიების მფლობელები პირდაპირ, უშუალოდ არიან სარეკლამო კომპანიების მფლობელები და მთელი რეკლამა მიდის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ ტელევიზიებში,“– ამბობს მამუკა ღლონტი.

„ფაქტობრივად, „ლიბერალს“ რეკლამა არ ეკარება, ჩვენ გვაქვს კიდევ ორი სხვა გამოცემა „ცხელი შოკოლადი“ და „ბიზნესი“, შევთავაზეთ ბიზნესმენებს, რომ თუ იყიდი რეკლამას „ცხელ შოკოლადში“ და „ბიზნესში“, „ლიბერალში“ მოგცემთ ძალიან დაბალ ფასად, ამაზე არ წამოვიდნენ, შემდეგ ვთავაზობდით, რომ „ლიბერალში“ რეკლამას უფასოდ განვუთავსებდით, ამით იმის გარკვევა გვინდოდა, იყო თუ არა ფასი დამაბრკოლებელი. აღმოჩნდა, რომ უფასოდაც არ უნდათ „ლიბერალში“ რეკლამა, მიუღებელი გამოცემაა,“ – ამბობს „ლიბერალის“ გამომცემელი შორენა შავერდაშვილი.

რეკლამის დამკვეთებისთვის ფასი რომ არ ყოფილიყო დამაბრკოლებელი, ამაზე მამუკა ღლონტმაც იზრუნა, მან კომპანიებს „მაესტროს“ ეთერში რეკლამის გაშვება სიმბოლურ ფასად მხოლოდ 1 ლარად შესთავაზა. იმ დროს მაესტროზე გადაცემა „საკანი №5“ გადიოდა.

„მაესტროს“ გვერდი იყო პირველ ადგილზე, ყველამ კარგად ვიცით რომ მთელი თბილისი ღამეებს ათენებდა „საკნის“ საყურებლად. ამ პერიოდში რეკლამა 1 ლარად! თუ შენ არავის გეშინია, ბიზნესი თავისუფალია, დემოკრატიაა, წარმოიდგინეთ – რამდენი რეკლამა უნდა შემოსულიყო, თუმცა საერთოდ არავინ გაგვკარებია,“ – ამბობს ღლონტი.

პირდაპირი მტკიცებულება, რომ კრიტიკულად განწყობილ მედია საშუალებებში რეკლამას ხელისუფლება ბლოკავს, არ არსებობს, თუმცა არის ამის ირიბი ნიშნები. მაგალითად, „მაესტროსა“ და „კავკასიის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათთან არასდროს მისულა სახელმწიფო უწყებების სარეკლამო რგოლები, რომლებიც ასე მრავლადაა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ არხებზე.

სარეკლამო ბაზრის სახელისუფლებო კონტროლზე მედია ექსპერტებიც საუბრობენ.

„ტელეკომპანია „კავკასია“ მთელ თბილისში მაუწყებლობს, მაგრამ ქალაქის მერია ამ კომპანიაში არანაირ რეკლამას არ ათავსებს,“–ამბობს მედია ექსპერტი ნინო დანელია.

„მაქვს არაოფიციალური ინფორმაცია, რომ არსებობს სისტემური მიდგომა, რომელიც კრძალავს რეკლამის ჩადებას ზოგიერთ მედია ორგანიზაციებში, როგორიც არის ტელეკომპანია „მაესტრო“, „კავკასია“ და ჟურნალი „ლიბერალი“,– ამბობს მედია-ექსპერტი ია ანთაძე

სარეკლამო ბაზრის სახელისუფლებო კონტროლზე საუბრობს მედია ანალიტიკოსი მათიას ჰუტერი, რომელიც მეორე წელია, ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ეგიდით ქართულ მედიას სწავლობს. „საქართველოში სარეკლამო ბაზარს ძალიან ვიწრო სექტორი აკონტროლებს და ამ ადამიანებს ან კომპანიებს შესაძლოა, ძალიან ახლო კავშირები ჰქონდეთ გავლენიან ადამიანებთან და პოლიტიკოსებთან. ძნელია იმის თქმა, ეს სიმართლეა თუ არა, მაგრამ საუბრები ამ კომპანიების მფლობელებსა და პოლიტიკურ ფიგურებს შორის არსებულ კავშირებზე ძალიან ხშირია“.

P.S. მხოლოდ პარლამენტის იმედად...

ტელეკომპანიები „რუსთავი 2“ და „იმედი“ კანონის დარღვევას განაგრძობენ, არ იცავენ წამობრივ ლიმიტს, არღვევენ სარეკლამო ჭრებს შორის ინტერვალს, არღვევენ სპონსორობასთან დაკავშირებით კანონით დადგენილ წესებს და ყველა ამ დარღვევის ხარჯზე ფლობენ სარეკლამო ბაზრის მნიშვნელოვან წილს. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამ ყველაფერს ხელს უწყობს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის უმოქმედობა. კომისიისადმი პასუხის მოთხოვნა კი მხოლოდ საქართველოს პარლამენტს შეუძლია. წესით, ტელევიზიები კომუნიკაციების კომისიის წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი; თავის მხრივ, კომისია – საქართველოს პარლამენტის, პარლამენტი კი – საზოგადოების წინაშე. თუმცა, ამ შემთხვევაში, კომისია თვალს ხუჭავს კანონის დარღვევაზე, ისევე როგორც – პარლამენტი. საზოგადოება კი დაზარალებულის როლშია...

ჟურნალისტური გამოძიება მომზადდა „ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს“, „ევროკავშირის“ და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

ადგილობრივი თვითმმართველობა

ოსი წელი უშუქოდ

ქარელში, ახალსოფლის თემის – ოქროსსოფელში ელექტროენერგია 1990 წლის შემდეგ არ ჰქონიათ.

გიორგი ჭეიშვილი

ვიქტორ ბოღიშვილი წყაროს ახალგაყვანილ „ნაგებობასთან“

20 წელი ელექტროენერგიის მოლოდინში

სოციალური დახმარების ზღვარს აცდენილი კომფორტი

ჯემალ ქარსაშვილის და ხბოების საზიარო საცხოვრებელი

ფოტოები გიორგი ჭეიშვილის

ოქროსსოფელში 13 კომლი ცხოვრობს. მოსახლეობის ნაწილი ეთნიკური ოსია, ნაწილი კი – ქართველი.

სოფელში არც გაზია და არც საავტომობილო გზაა კეთილმოწყობილი.

ინფრასტრუქტურა, რომელიც სოფლის ელექტროენერგიით მომარაგებას უზრუნველყოფდა, პირველი ქართულ –ოსური შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, მოშლილი და გაძარცვულია. იმ დროიდან მოყოლებული, ოქროსსოფელში სასმელი წყალიც არ ჰქონდათ, მხოლოდ წელს მოხერხდა სოფლამდე წყაროს მიყვანა.

„მეზობელი სოფლიდან ვეზიდებოდით. ზამთარში განსაკუთრებით გვიჭირდა. წელს თითქოს გააკეთეს, მაგრამ ისიც – ნახევრად“, – წუხს მანანა ბიჭიკაშვილი

ოქროსსოფლის წყლით უზრუნველყოფა 2000 ლარი დაჯდა.

ახალსოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის – მიხეილ ჩუტკერაშვილის თქმით, სასმელი წყალი სოფლამდე 600 მეტრის მოშორებით მდებარე წყაროდან გამოიყვანეს, მაგრამ პროექტი დასრულებული არ არის, რადგან წყლის მილი 30 მეტრი მიწით არის დასაფარავი. ამის გამო,ზამთარში წყარო შეიძლება, გაიყინოს.

მიუხედავად ამისა, ოქროსსოფლელებისთვის უშუქობა კიდევ უფრო დიდი პრობლემაა, რომელიც 20 წლის განმავლობაში ვერ გადაჭრეს.

„ლამფისთვის საწვავი გვჭირდება, ტრანსპორტი აქ არ არის, ამიტომ ახალსოფელში ფეხით გვიწევს ჩასვლა. ზამთარში ესეც შეუძლებელია. არადა, ერთბაშად იმდენ საწვავს ვერ ამოვიტანთ, მთელი სეზონი რომ გვეყოს,“– ამბობს ჯემალ ქარსაშვილი.

მიხეილ ჩუტკერაშვილის თქმით, სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხის არც ელექტროენერგიით უზრუნველყოფაზე და არც გაზიფიცირებაზე დახარჯვის უფლება არ აქვს: „რაიონის დეპუტატი – ემზარ გელაშვილი დაგვპირდა, ჩემ სახელზე განცხადება დაწერეთ და ამ საკითხს აუცილებლად მივხედავო. ამის შემდეგ „ენერგო პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ. ცენტრალური ოფისის დავალებით ხარჯთაღრიცხვა უნდა გაეკეთებინათ და რა ქნეს, აღარ ვიცი.“

როგორ შეძლებდა სოფლის მოსახლეობა ადგილობრივი ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაციის მიღებას, როდესაც 20 წლის განმავლობაში შუქი არ აქვს?!

„დევნილების დასახლებიდან ჩვენ სოფლამდე კილომეტრნახევარი იქნება. მათ წყალიც აქვთ, გაზიც და შუქიც. ელექტროენერგიის ჩვენამდე გამოყვანა რთული არაა. უბრალოდ, პატრონი არ გვყავს. ლტოლვილები ისინი კი არა, ჩვენ ვართ“! – ამბობს ვიქტორ ბოღიშვილი

„ლიბერალი“ შიდა ქართლის გუბერნატორ ზურაბ არსოშვილსაც დაუკავშირდა. მისი თქმით, გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, უშუქობის პრობლემას სისტემატურად ადევნებს თვალს.

„პრობლემის გადასაჭრელად გუბერნია ვერანაირ ღონისძიებას ვერ გაატარებს, რადგან ეს სამუშაო „ენერგო პრო ჯორჯიამ“ უნდა შეასრულოს. გუბერნიამ მკაცრად უნდა გააკონტროლოს, რომ ენერგოკომპანიამ, ოქროსსოფლის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯები ბიუჯეტში შეიტანოს“.

არსოშვილი ამბობს, რომ მისი ინფორმაციით, ოქროსსოფელში 8 ოჯახი ცხოვრობს, „ენერგო პროს ჯორჯიას“ კი არ უღირს დიდი ხარჯის გაწევა.

„ენერგო პრო“ შეგვპირდა, რომ გეგმაში აუცილებლად გაითვალისწინებს ამ საკითხს. ოქროსსოფლის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გეგმა, ალბათ მომავალი წლის ბიუჯეტში შევა“.

„ენერგო პრო ჯორჯიას“ სამხრეთ საქართველოს ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი – გიორგი ბალახაშვილი ამბობს, რომ ოქროსსოფლის მსგავსად, არსებობს სხვა მთიანი სოფლებიც, სადაც ომიანობის დროს დენის ხაზები მოიპარეს.

„ასეთ სოფლებს, ოც წელზე მეტია, შუქი არ აქვთ. ჩვენმა კომპანიამ დაადგინა, რა რაოდენობის მასალაა ამ სოფლების ელექტროენერგიით მომარაგებისათვის საჭირო. საყრდენი ბოძების, საჰაერო სადენების, ტრანსფორმატორების და სხვა ატრიბუტების შეძენა ეტაპობრივად მიმდინარეობს“.

„ლიბერალთან“ საუბრისას გიორგი ბალახაშვილმა აღნიშნა, რომ დღეს, მათი კომპანიისათვის პრიორიტეტი ქალაქებისა და სოფლების ინდივიდუალური გამრიცხველიანების 3 წლიანი პროგრამაა, რომელიც 2013 წელს დასრულდება.

ამის შემდეგ დაიწყება ოქროსსოფლის და მსგავსი სოფლების ელექტროენერგიით მომარაგებაზე მუშაობა. 2013 წლამდე, მუშა ხელისა და ტექნიკის სიმცირის გამო, ფიზიკურად შეუძლებელია ერთდროულად ორ პროექტზე მუშაობა.

ოქროსსოფელში ორ ოჯახს მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული პრობლემაც აქვს.

2009 წლის 3 სექტემბერს ეკონომიკის სამინისტრომ დახურული აუქციონი ჩაატარა, სადაც მონაწილეობის მიღება მხოლოდ ადგილობრივებს შეეძლოთ.

ვიქტორ ბოღიშვილი: „ჩემი სახლის წინ მდებარე 2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი იჯარით მქონდა აღებული. 2008 წლამდე, 5-6 წლის განმავლობაში, ჰექტარზე 30 ლარს ახალსოფლის გამგებელ – ზურაბ გოგალაძეს ვუხდიდი, მაგრამ გირავნობის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ მქონია. აუქციონი ისე ჩაატარეს, რომ ჩვენ საქმის კურსში არ ვიყავით. ჩემი მიწა, ახალსოფლის გამგეობის ყოფილმა თანამშრომელმა – გოჩა წვერიანაშვილმა აუქციონზე 72 ლარად იყიდა, მე კი მეუბნება, ჰექტარში 360 ლარი გადამიხადე და დაგიბრუნებო“.

ახალსოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის – მიხეილ ჩუტკერაშვილის თქმით, მოსახლეობას უნდა სცოდნოდა აუქციონის ჩატარების შესახებ. ინფორმაცია „იმ გაზეთშიც“ გამოქვეყნდა და ადგილობრივი ტელევიზიითაც გავრცელდა.

არადა, როგორ შეძლებდა სოფლის მოსახლეობა ადგილობრივი ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაციის მიღებას, როდესაც 20 წლის განმავლობაში შუქი არ აქვს?!

სოფელში სიღარიბის პრობლემაც მწვავედ დგას. 13 კომლიდან სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილ დახმარებას მხოლოდ ოთხი იღებს.

მანანა ბიჭიკაშვილი – „სოციალურ დახმარებაზე განცხადება გამგეობაში შარშან ოქტომბერში შევიტანეთ. მითხრეს, თვეში 600 ლარი გაქვს შემოსავალი და არ გეკუთვნითო. ორი ძროხა მყავს და რამდენად უნდა გავყიდო, რომ თვეში 600 ლარი შემომივიდეს?“.

ჯემალი ქარსაშვილი – „დახმარებაზე უარი ორჯერ მითხრეს. შემდეგ ჩემი მდგომარეობა შეამოწმეს და 30 ლარიანი დახმარება დამინიშნეს. პენსიას 84 ლარს ვიღებ, 6 ლარს არ მიმატებენ, სამუშაო სტაჟი არ გაქვსო. წლების მანძილზე ვმუშაობდი, არქივში კი მასალები დაკარგულია. მიდი და უმტკიცე, რომ მართალი ხარ.“

ფოტო: მაია წიკლაური

ფახრალის მეჩეთი საბოლოო სახეს გადახურვის შემდეგ მიიღებს, ოქტომბერი 2010

რელიგია

მეჩეთის წინააღმდეგ

სოფელ ტალავერში მეჩეთის აშენებას მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი აფერხებს.

მაია წიკლაური

ბოლნისიდან 20 კილომეტრში ტალახიან, დანგრეულ გზას სოფელ ტალავერამდე მივყავართ.

დაახლოებით 7 ათასი ქართველი აზერბაიჯანელი სწორედ ამ გზით უკავშირდება დანარჩენ საქართველოს. სოფლის ცენტრალური გზა მუსლიმების სალოცავთან ჩერდება. სალოცავს „ფახრალის მეჩეთს“ ეძახიან.

მეჩეთი სოფლის ცენტრში, საცხოვრებელი სახლების გვერდით აგურით შემოღობილ ეზოში დგას. ყოველ პარასკევს ადგილობრივი მორწმუნეები ხალიჩებს მიწაზე ფენენ და მუხლმოდრეკილები ხოჯა ადილ ნაბიევს ელოდებიან.

მას შემდეგ, რაც ხოჯა ნახევრადგადახურულ მინარეთზე ავა და ლოცვას დაიწყებს, სოფელში სიჩუმე დგება. მხოლოდ ადილ ნაბიევის არაბული ლოცვის ხმა ისმის.

სოფელ ტალავერის მორწმუნეთა ერთადერთი სალოცავი ნახევრად აშენებულია. მშენებლობის გაგრძელება, უკვე ერთი წელია, ფერხდება. სპეციალურ ნებართვას სოფლის მცხოვრებნი საქართველოს ხელისუფლებისა და კათოლიკოს-პატრიარქისგან ელოდებიან.

როგორც ადგილობრივები ჰყვებიან, „ფახრალის მეჩეთი“ 1902 წელს აშენებულა და საქართველოს გასაბჭოებამდე

აქტიურად მოქმედებდა. შემდეგ მას იგივე ბედი ეწია, რაც სალოცავების დიდ ნაწილს კომუნიზმის ეპოქაში. 70 წლის მანძილზე შენობას საწყობად იყენებდნენ.

მეჩეთის აღდგენა ადგილობრივებმა 2009 წლის 6 აპრილს დაიწყეს. მეჩეთის ძველი და დაზიანებული შენობა დაანგრიეს და უფრო დიდი შენობისთვის საძირკველი ჩაყარეს, კედლები ამოიყვანეს და მინარეთი ააშენეს. მეჩეთის დასრულებას ფანჯრების ჩასმა და გადახურვაღა აკლია.

„ვისაც რა გვქონდა, შევკრიბეთ და მშენებლობა საკუთარი ძალებით დავიწყეთ. თუმცა, ჩვენთვის უცნობი ხალხი მოვიდა და გაგვაჩერეს", – გვიყვება მშენებლობის ინიციატორი 66 წლის ქალბატონი ვალიდა ხალილოვა. ის ამბობს, რომ სალოცავის ასაშენებლად გარდაცვლილი შვილის ნიშნობისთვის გადანახული ოქროული გაყიდა.

2009 წლის 15 სექტემბერს ტალავერში 30-მდე ავტომანქანით „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" წევრები გამოჩნდნენ. ისინი 4 თვის განმავლობაში მეჩეთს ყარაულობდნენ და ადგილობრივებს მშენებლობის გაგრძელების უფლებას არ აძლევდნენ.

„არ აგაშენებინებთ მეჩეთს, თქვენ აქ სტუმრები ხართ", – იხსენებენ ადგილობრივები მართლმადიდებელი მღვდლის და მმკ-ს ლიდერის მამა დავით ისაკაძის სიტყვებს.

„გვეუბნებოდნენ – ჯერ საინგილოში ქართულ ეკლესიებს მიხედეთ და მერე უფლებას მოგცემთ, აქ მეჩეთი ააშენოთო", – ამბობენ ადგილობრივები.

4 თვის განმავლობაში მმკ-ს წევრები მეჩეთთან მორიგეობდნენ და მის სიახლოვეს არცერთ მუსლიმს არ უშვებდნენ. ამ სიტუაციას პოლიცია შორიდან აკვირდებოდა, რომ, დაპირისპირების შემთხვევაში, ჩარეულიყო.

როგორც მმკ-ს თავმჯდომარე ავთო უნგიაძე აცხადებს, მისი ორგანიზაცია მაშინ უკანონო მშენებლობას აპროტესტებდა.

მშენებლობის ნებართვა ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან სოფელს მართლაც არ გააჩნდა, თუმცა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს მათთვის ხელი არ შეუშლიათ.

ხოჯა ადილ ნაბიევმა და ვალიდა ხალილოვამ სოფლის სახელით მშენებლობის წერილობით ნებართვა სამ ეგზემპლარად დაწერეს და ადგილობრივ ხელისუფლებას, პრეზიდენტს და კულტურის სამინისტროს გაუგზავნეს. პასუხი მხოლოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან მოვიდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამ პრობლემას არ იცნობს. პრეზიდენტის მრჩეველი უმცირესობის საკითხებში – თამარ კინწურაშვილი – ამბობს, რომ პირადად მას წერილი არ მიუღია. მისი განცხადებით, მშენებლობის ნებართვა, ნებისმიერ შემთხვევაში, ადგილობრივ მთავრობას უნდა გაეცა. „პრეზიდენტის ადმინისტრაციას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. თუ

ფახრალის მეჩეთის მშენებლობის ინიციატორი ვალიდა ხალილოვა თანასოფლელებს სალოცავის დასამთავრებელ სამუშაოებზე ესაუბრება, ოქტომბერი 2010

მთავრობამ არ მისცა ნებართვა და აყოვნებს მშენებლობას, ამ ადამიანებს შეუძლიათ, პასუხი სასამართლოს მოთხოვონ“, – ამბობს კინწურაშვილი.

„ერთადერთი, რაც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ აქ მეჩეთის აშენების უფლება გვაქვს, პატრიარქის ნებართვა იყო. სხვაგვარად სამუშაოები ვერ გაგრძელდებოდა", – ამბობს ბოლნისის საკრებულოს წევრი კარა გულმამედოვი. რეგიონის ხელისუფლება მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებდა და პრობლემის მოგვარებას ჰპირდებოდა. გულმამედოვის თქმით, მეჩეთის ასაშენებლად, კანონის მხრივ, ყველაფერი წესრიგშია. მთავარი საპატრიარქოსთან შეთანხმების მიღწევა იყო.

„იმ ადამიანებმა, რომლებიც მშენებლობის შეჩერებას ითხოვდნენ, გვითხრეს, რომ პირდაპირ საპატრიარქოს უნდა დავლაპარაკებოდით. ეს გავაკეთეთ კიდეც,“, – ამბობს გულმამედოვი. ტალავერში ჰყვებიან, რომ თურმე ამ საკითხზე პატრიარქმა აზერბაიჯანის მუსლიმური სამყაროს ხელმძღვანელთან ალაქ შუქურ ფაშაზადესთანაც ისაუბრა ბაქოში. ამ ინფორმაციას საპატრიარქოში არ ადასტურებენ.

„ნებისმიერმა, ვინც საკულტო ნაგებობას აგებს იმ ქვეყანაში, სადაც კონკორდატია, ეს საკითხი დომინანტ რელიგიურ ჯგუფს უნდა აცნობოს და შეუთანხმოს. მუსლიმებმაც საპატრიარქოს უნდა შეუთანხმონ მეჩეთის მშენებლობა. თუ ამის საჭიროება არსებობს, თანხმობას მიიღებენ! – ეს კანონი არ არის, არსად არ წერია კონკრეტულად, მაგრამ ასეთი წესია ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში“, – აცხადებს ავთო უნგიაძე.

რეალურად, კონკორდატი ამ წესს არ ითვალისწინებს. თუმცა, საქართველოში არსებული ამ „დაუწერელი კანონის“ გამო მუსლიმებმა პატრიარქს მართლაც მიმართეს და მშენებლობის ნებართვა სთხოვეს. მათი თქმით, საპატრიარქოში 2010 წლის 4 თებერვალს გაგზავნილ წერილზე პასუხი 12 ოქტომბერს მიიღეს.

„მისი უწმინდესობის და უნეტარესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა კურთხევით მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ საქართველოს საპატრიარქო არასოდეს ერევა მსგავს ქმედებებში და არ გააჩნია არანაირი პრეტენზია, თქვენს სოფელში აღადგინოთ თქვენი სარწმუნოების სალოცავი. ნებისმიერი ქმედება სალოცავის აღდგენის წინააღმდეგობისა არ იქნება მოწონებული საპატრიარქოს მხრიდან. იგი ჩაითვლება პიროვნების თვითნებობად“, – წერილის ავტორი კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მამა მიქაელ ბოტკოველია.

„ლიბერალთან“ საუბარში მამა მიქაელ ბოტკოველმა ასეთი წერილის არსებობა უარყო. მისი თქმით, მას მსგავსი არაფერი დაუწერია. საპატრიარქოში არც ტალავერიდან მიღებული წერილის არსებობას ადასტურებენ.

სოფელ ტალავერის მაცხოვრებლები დაუმთავრებელ მეჩეთშიც ლოცულობენ, ოქტომბერი 2010

ფოტოები მაია წიკლაურის

„რა შუაშია საპატრიარქო? მათ თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რას ააშენებენ. ვიღაც არანორმალურის მოგონილია ეს ყველაფერი. ეს არის ჩვენი ერის რელიგიურობაში გაუთვითცნობიერებლობის მინუსი“, – ამბობს მამა მიქაელ ბოტკოველი.

მიუხედავად საპატრიარქოს ასეთი დამოკიდებულებისა, სოფელ ტალავერის შემთხვევა პირველი არ არის, როდესაც მმკ, მართლმადიდებლობისა და საპატრიარქოს სახელით, სხვა კონფესიების სალოცავების აშენების საკითხში ერევა და ამ მშენებლობის კანონიერებას ხელისუფლების ნაცვლად წყვეტს.

როგორც მართლმადიდებელ მშობელთა კავშირში აცხადებენ, საპატრიარქოსგან ოფიციალური საყვედური ამ ორგანიზაციას არასდროს მიუღია. მეტიც, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი მამა დავით ისაკაძე პატრიარქმა რამდენიმე თვის წინ დააჯილდოვა კიდეც.

„ნებისმიერმა, ვინც საკულტო ნაგებობას აგებს იმ ქვეყანაში, სადაც კონკორდატია, ეს საკითხი დომინანტ რელიგიურ ჯგუფს უნდა აცნობოს და შეუთანხმოს. მუსლიმებმაც საპატრიარქოს უნდა შეუთანხმონ მეჩეთის მშენებლობა.“

სახალხო დამცველის წარმომადგენელი უმცირესობების საკითხებში – ბექა მინდიაშვილი – იმ შემთხვევებს იხსენებს, როდესაც მეჩეთის მშენებლობის შეჩერება „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრებმა სხვა დროს სცადეს. 2007-დან 2009 წლამდე ისინი გარდაბნის რაიონს, დმანისს და აჭარელი მიგრანტებით დასახლებულ სოფელ ფლატეს სტუმრობდნენ მოთხოვნით, რომ შეჩერებულიყო მუსლიმური მეჩეთების მშენებლობა.

„ისინი შეურაცხყოფას აყენებდნენ მუსლიმებს და უვარდებოდნენ მეჩეთში. ეს იყო დიდი კამპანიის ნაწილი მუსლიმების წინააღმდეგ. ისინი ამ პერიოდში აზერბაიჯანული კომპანია „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურებთან მძღოლებს მოუწოდებდნენ, რომ არ ჩაესხათ ამ კომპანიის საწვავი, რადგან „სოკარი“ მეჩეთების მშენებლობას აფინანსებდა“, – ამბობს მინდიაშვილი.

მმკ-ს თავმჯდომარე ავთო უნგიაძე საკუთარი ორგანიზაციის აქტივობას ერონულ საქმეს უწოდებს და ასე ხსნის: „ფაქტია, რომ ცდილობენ ჩამოგვაშორონ ეს ტერიტორია. თითქმის ჩამოშორებულია უკვე. აფხაზეთის და ოსეთის მსგავსად, ჩვენ ვკარგავთ ქვემო ქართლსაც. ამათ სალოცავები ყველა სოფელში აქვთ. ამ ტალავერში კი, ხალხს არ უნდა და ძალით უშენებენ მეჩეთს ბაქოდან. ეს ყველაფერი თავსმოხვეული პოლიტიკაა“, – ამბობს უნგიაძე.

ბექა მინდიაშვილი ამბობს, რომ ქართველი მუსლიმების მხრიდან სეპარატიზმის არანაირი საფრთხე არ არსებობს, თუმცა ხშირად მუსლიმური და არა მხოლოდ მუსლიმურ რელიგიურ ორგანიზაციებს ელემენტარული უფლებები არ აქვთ, მაგალითად, დარეგისტრირებას ვერ ახერხებენ.

„აჭარაში არ დაარეგისტრირეს მუსლიმური ორგანიზაცია მისი რელიგიური მიზნების გამო და მან დარეგისტრირება მოგვიანებით მხოლოდ თბილისში მოახერხა. ასეთი დისკრიმინაციული მაგალითები ბევრია“, – ამბობს მინდიაშვილი.

კიდევ ერთი პრობლემა მუსლიმებისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაა. მათი სალოცავების ნაწილი 90-იან წლებში სახელმწიფოს გადაეცა, რომელთა დაბრუნება დღემდე ვერ ხერხდება. ადიღენში, აბასთუმანში, აჭარაში 10-ზე მეტი მეჩეთია, რომლებშიც უმეტესად საქონლის სადგომებია მოწყობილი.

მართლმადიდებლობა საქართველოში სახელმწიფო რელიგია არ არის, თუმცა მის პრივილეგირებულ მდგომარეობას კონსტიტუციური ხელშეკრულება – კონკორდატი უზრუნველყოფს.

კონკორდატში აღნიშნულია, რომ:

- სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა მართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტერს, ასევე მიწის ნაკვეთებს.
- ეკლესიას შეიძლება ეკუთვნოდეს ნებისმიერი ქონება, რომელიც საქართველოს კანონით არ არის აკრძალული.
- ეკლესიის მიერ ნაწარმოები პროდუქცია, შემოწირულობები, ასევე ქონება, რომელიც არ გამოიყენება ეკონომიკური მიზეზით, თავისუფლდება გადასახადებისაგან.
- მართლმადიდებელი სასულიერო პირები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისგან.
- სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს ციხეებსა და საჯარო ფორმირებებში მოძღვართა ინსტიტუტის შექმნას.
- სახელმწიფო ცნობს ეკლესიის მიერ ჩატარებულ ჯვრისწერას.

არც ერთი ზემოჩამოთვლილი უფლებით საქართველოში სხვა რომელიმე კონფესია არ სარგებლობს.

სოფელ ტალავერის მოსახლეობა ამბობს, რომ რელიგიური მრწამსის მიუხედავად, ისინი თავს საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნევენ და საკუთარ სამშობლოში – საქართველოში სურთ ცხოვრება.

„იესოს და წმინდა მარიამს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს მუჰამედს. რა დაშავდება, თუ ჩვენს სოფელს საკუთარი სალოცავი ექნება?“, – ამბობს ვალიდა ხალილოვა.

მისთვის „საპატრიარქოდან მიღებული წერილი“, რომლის არსებობასაც საპატრიარქოში უარყოფენ, ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც ადგილობრივ მუსლიმებს აღმსარებლობის გამოხატვის უფლებას აძლევს.

არადა, ასეთი უფლება მათ კონსტიტუციითაც აქვთ გარანტირებული: „კანონის წინაშე ყველა თანასწორია და რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად, ყველას აქვს თანაბრად გამოხატვის უფლება.“

ალკოჰოლის ეპოქა

ალკოჰოლიზმი 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი მანია ხდება.

დიანა ჩაჩუა

„გამარჯობა, მე მქვია გურამი. მე „ალკოჰოლიკი“ ვარ“, – ასე წარუდგენდა თავს 32 წლის გურამი ალკოჰოლზე დამოკიდებული ანონიმური საზოგადოების წევრებს, ასეთი საზოგადოება საქართველოში რომ არსებობდეს.

სამი თვის წინ ქალაქის ერთ-ერთ კლინიკაში იგი ალკოჰოლური ინტოქსიკაციით მოხვდა და მას შემდეგ სასმელს არ გაჰკარებია.

„მუდმივად იმის შიშის ქვეშ ვცხოვრობ, რომ ერთხელაც ნებისყოფა არ მეყოფა და ისევ სმას დავიწყებ“, – ამბობს იგი.

ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის თანახმად, საქართველოში ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება „მხოლოდ ზომიერი პრობლემაა“ და დიდი რაოდენობით სპირტიან სასმელებს მოსახლეობის მხოლოდ 0.6 პროცენტი მოიხმარს.

თუმცა, სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ საქართველოში ალკოჰოლიზმის კლინიკური მკურნალობის პრეცედენტების ნაკლებობა სტიგმასთან, პრობლემის არაღიარებასთან და ეკონომიკურ მხარეებთან არის დაკავშირებული.

კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც ქართველები იშვიათად მიიჩნევენ თავს ალკოჰოლზე დამოკიდებულად, ტრადიციაა.

მეტიც, ხშირად ქართველებს ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღება და თრობა ვაჟკაცობად მიაჩნიათ. შესაბამისად, უზომოდ სმის დაავადებად აღქმა უჭირთ.

ზურაბ ბარდაველიძე 53 წლისაა. როგორც თავად აღწერს საკუთარ თავს, „ქართული გარეგნობა აქვს“, – მთავარი მახასიათებელი კი, მისივე თქმით, „ჯანმრთელი ღიპია.“

„ნამდვილ ქართველ კაცს ღიპი ექნება, აბა, რა. ჩვენ ღვინის მსმელი ხალხი ვართ“, – ამბობს ის. ზურაბის თქმით, „კვირაში სამი-ოთხჯერ მაინც უწევს ალკოჰოლური სასმელის დალევა.“ თუმცა, თავს ალკოჰოლზე დამოკიდებულად არ მიიჩნევს.

„ერთი თვე გადაბმულადაც დამილევია. ორლიტრიან ყანწს ვცლიდი ახალგაზრდობაში. ახლა გული მაწუხებს, ჩემმა ცოლმა სასწრაფოსაც გამოუძახა რამდენჯერმე, როცა მთვრალი ვიყავი, მაგრამ დალევა რომ გიწევს, რა უნდა ქნა კაცმა!“ – ამბობს ის.

ალკოჰოლი დღეს ყველაზე ფართოდ გავრცელებული სოციალური ნარკოტიკია და მიუხედავად იმისა, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანს ამხიარულებს და სტიმულს მატებს, სინამდვილეში ის დეპრესანტია.

ალკოჰოლიზმი ისეთივე ქრონიკული დაავადებაა, როგორც დიაბეტი, კუჭის წყლული ან ჰიპერტონია. შესაბამისად, ისევე, როგორც ნებისმიერი ქრონიკული დაავადებისათვის, ალკოჰოლიზმისათვის არ არსებობს ცნება „სრული განკურნება.“

ალკოჰოლიზმსაც აქვს გამწვავებისა და რემისიის პერიოდები. სწორი მკურნალობის შემთხვევაში, რემისია შეიძლება, წლობით გაგრძელდეს, თუნდაც – მთელი სიცოცხლის განმავლობაში, თუმცა გამწვავების საფრთხე ყოველთვის არსებობს.

სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები ალკოჰოლიზმს სხვადასხვა პრიზმიდან ხედავენ. ექიმისთვის ალკოჰოლიზმი ავადმყოფობაა, რომელიც ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ფსიქოლოგების თქმით, ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანის ნება და სურვილი სუსტდება და ლოგიკას აღარ ექვემდებარება. სასულიერო პირებისთვის ღოთობა სენია, რომელიც ადამიანის ზნეობას რყვნის. სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ

ალკოჰოლიზმი ჩესეთში

მეზობელი რუსეთისთვის ალკოჰოლიზმთან ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის რაგნშია აყვანილი, რადგან მნიშვნელოვნად აფერხებს ამ ქვეყნის დემოგრაფიულ სურათს. იქ ალკოჰოლის მოხმარება 15 წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით სამჯერ არის გაზრდილი. რუსეთში ეს მაჩვენებელი 18 ლიტრია. რუსეთის საჯარო პალატის 2009 წლის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ყოველწლიურად ალკოჰოლთან დაკავშირებული დაავადებებისგან 500 ათასი ადამიანი იღუპება.

ალკოჰოლიზმს საზოგადოებრივ ცხოვრებაში პიროვნების ჩართულობა მინიმუმამდე დაჰყავს.

საერთაშორისო კვლევებსა თუ მედიაში, ალკოჰოლის მოხმარების თვალსაზრისით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის საქართველოს ხშირად განცალკევებით, იტალიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების რიგებში განიხილავენ.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ამ ქვეყნებში, მათ შორის – საქართველოშიც, ალკოჰოლის უზომოდ მოხმარებისგან მოსახლეობას ნაციონალური კულტურა იცავს.

ამას გარდა, ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ არსებობენ ერები, რომლებიც ალკოჰოლიზმით დაავადებისადმი პოტენციურად მიდრეკილნი არიან. ამას ორგანიზმში ალკოჰოლის გადამამუშავებელი ნივთიერებების ნაკლებობა იწვევს. ერთ-ერთი ასეთი ნივთიერებაა ალკოჰოლდეჰიდროგენაზი, რომელიც, უფრო ჭარბად აქვთ შავგვრემნებს და, პრაქტიკულად, საერთოდ არ აქვს ღია ფერის რასას.

თუმცა, ალკოჰოლის ზომიერად მოხმარების კულტურის მქონე ქვეყნებშიც კი, სურათი იმის მიხედვით იცვლება, თუ როგორია სოციალური და ეკონომიკური პირობები. სტრესული მდგომარეობა ალკოჰოლიზმის განვითარებისთვის საუკეთესო პირობაა. ექიმის შეფასებით, ალკოჰოლიზმს ხშირად სულიერი სიცარიელე, ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობა, მუდმივი წარუმატებლობა, ყოფიერების აზრის დაკარგვა და სხვა მსგავსი ფაქტორები იწვევენ.

ბოლო ათწლეულების მანძილზე საქართველოში კლინიკური ალკოჰოლიზმი არა მარტო გაიზარდა, არამედ, როგორც ექიმები ამბობენ, გაახალგაზრდავდა კიდეც.

მაგალითად, 23 წლის ლაშა „ლიბერალთან“ საუბარში ამბობს, რომ მისი ყოველი დილა იმაზე ფიქრით იწყება, დღეს სად დალიოს. მან ორი წელია, რაც პოლიტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა და ჯერ არსად მუშაობს. “სამი ლარი რომ გაქვს ჯიბეში, სხვანაირად როგორ უნდა გაერთო?“ – ამბობს ის.

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ ალკოჰოლიზმის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა გენეტიკურ ფაქტორებსაც აქვს. თუმცა, თუ შენი მამა ან ბაბუა ალკოჰოლზე დამოკიდებული იყო, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შენც ამისთვის ხარ განწირული. ამ დაავადების განვითარებისთვის შესაბამისი გარეშე ფაქტორების ზემოქმედებაა საჭირო.

სპირტიანი სასმელების მიმართ პათოლოგიური ლტოლვის – ალკოჰოლიზმის სამიზნე, პირველ რიგში, ცენტრალური ნერვული სისტემაა. თუ ღვინის მცირე დოზით მიღება კარდიო-დაცვით ფუნქციას აძლიერებს, ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მოხმარება უკვე კარდიო-ტოქსიკურ ეფექტს ატარებს.

ქვეყნების ჰიტინგი ალკოჰოლის მოხმაჰების მიხედვით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, ალკოჰოლზე დამოკიდებულებისგან მსოფლიოში 200 მილიონამდე ადამიანი იტანჯება. ალკოჰოლი ევროპის ახალგაზრდა მოსახლეობისთვის სიკვდილისა და უნარშეზღუდულობის გამომწვევი მეორე, ყველაზე დიდი რისკ-ფაქტორია. ალკოჰოლის მოხმარების რეკორდული მაჩვენებელი სწორედ ევროპაში აღინიშნება. WHO-ს ექსპერტების შეფასებით, ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 8 ლიტრზე მეტი სასმელის მოხმარება ერის ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. არის ევროპული ქვეყნები, სადაც ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ მეტია.

#	ქვეყანა	ლიტრი ნეიტრალში
1	უგანდა	17.6
2	ლუქსემბურგი	15.6
3	ირლანდია	13.7
4	უნგრეთი	13.6
5	მოლდოვა	13.2
6	ჩეხეთი	13.0
7	ხორვატია	12.3
8	გერმანია	12.0
9	დიდი ბრიტანეთი	11.8
10	დანია	11.7
...		
22	რუსეთი	10.2
35	აშშ	8.6
61	უკრაინა	6.1
...		
81	აზერბაიჯანი	4,5
124	სომხეთი	1,5
127	საქართველო	1,5
...		
174	ირანი	0.0

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები, 2003 წელი.

საჭმლის მომნელებელი სისტემიდან ალკოჰოლი ყველაზე მეტად კუჭის ლორწოვან გარსს აზიანებს, რაც კუჭის წყლულს იწვევს. თუმცა ორგანო, რომელსაც ალკოჰოლის ბოროტად და ინტენსიურად მიღება ყველაზე მეტად ვნებს, ღვიძლია.

ამას გარდა, ალკოჰოლის ქრონიკული მოხმარება მავნებელია ორივე სქესის რეპროდუქციული სისტემისთვის. სექსუალური აღმგზნების რეპუტაცია ალკოჰოლმა მხოლოდ იმის წყალობით მოიპოვა, რომ ალკოჰოლს აქვს უნარი, მოხსნას ადამიანის ქცევებში დამამუხრუჭებელი ბერკეტები. სინამდვილეში, მას არანაირი კავშირი არ აქვს სექსუალური ლტოლვის სტიმულაციასთან. პირიქით, მისი ქრონიკული ან პერიოდული მოხმარება დამლუპველად მოქმედებს ადამიანის სექსუალურ ფუნქციაზე.

დასავლეთში ალკოჰოლიზმთან ბრძოლის სარეაბილიტაციო პროგრამების არსი ისაა, რომ პაციენტები თავიდან სწავლობენ ურთიერთობების აგებას, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღებას და ა.შ.

როგორც ქართველი ექიმები ამბობენ, დასავლეთში მეტად გავრცელებული ჯგუფური თერაპიის მეთოდი ჩვენთან ნაკლებად ეფექტურია, რადგან ქართველებს მსგავსი პრობლემების სხვებისთვის გაზიარების ტრადიცია არ აქვთ. საქართველოში ალკოჰოლიზმით დაავადებულთათვის სპეციფიკური სარეაბილიტაციო ცენტრები, პრაქტიკულად, არ არსებობს. მკურნალობა და რეაბილიტაცია მხოლოდ სამედიცინო კლინიკებშია შესაძლებელი.

ექსპერტები ამბობენ, რომ ბოლო წლებში ალკოჰოლიზმის ახალი ტიპი – კოქტეილური ალკოჰოლიზმი ჩამოყალიბდა, რომლის ნიშნები უკვე საქართველოშიც არის. სპირტიანი სასმელების სულ უფრო მეტ რაოდენობას საღამოს წვეულებებზე და ღამის კლუბებში თვალისმომჭრელი კოქტეილების სახით მოიხმარენ. სახიფათო ტენდენციაა ისიც, რომ ალკოჰოლი მოდური ურთიერთობების და დინამიკური, მხიარული ცხოვრების სიმბოლო ხდება.

მესამე ათასწლეულს უკვე უწოდეს დამოკიდებულებების ეპოქა, სადაც ყველას შეუძლია, თავისი გემოვნებით შეარჩიოს მანია. ალკოჰოლი მათ შორის ერთ-ერთი პირველია.

PRIME TIME

შელახული ღირსება – ანუ როგორ ჩნდება ძალადობა და სადამდე მიდის იგი.

ნინია კაკაბაძე

დიდი ხნის წინ, თითქმის ბავშვობაში ვნახე ფოლკერ შლიონდორფის და მარგარეტ ფონ ტროტას ფილმი „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“. შემდეგ კიდევ ერთხელ გოგი გვახარიას „წითელ ზონაში“. 4 ნოემბერს ფილმს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, ფრონტლაინ კაფეში აჩვენებენ, რასაც დისკუსია მოჰყვება. ყველას ვურჩევ ნახოს, ჰაინრიჰ ბიოლის მოთხრობის მიხედვით შექმნილი ეს შესანიშნავი ფილმი.

შლონდორფის ფილმი იმაზეა, თუ რა იწვევს ძალადობას და სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს მან.

მთავარი გმირი ახალგაზრდა ქალია, რომელსაც მემარცხენე იდეოლოგიის, ორგანიზაცია „წითელი არმიის“ წევრი შეუყვარდება. „ტერორისტს“ პოლიცია ეძებს. ერთ-ერთი ტაბლოიდის თანამშრომელი კატარინა ბლუმზე დაუნდობელ ნადირობას იწყებს. ამ ფილმშიც ისევე, როგორც ბიოლის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, მსჯელობის თემა ყვითელი პრესაა. ვიდრე კატარინა ბლუმის შელახულ ღირსებაზე მოგახსენებდეთ, მანამდე ქართული ყვითელი პრესის შესახებ...

ტაბლოიდურ პრესას საქართველოში არცთუ ისე დიდი ისტორია აქვს. თუმცა, ეს ის სფეროა, რომელიც სწრაფად ვითარდება და ხანგრძლივი ტრადიციების მქონე, საერთაშორისო ყვითელი პრესის სტანდარტებს უახლოვდება.

საგაზეთო ჯიხურებში ამ ჟურნალ-გაზეთების ჰედლაინებისათვის თვალის მოკვრაც საკმარისია, რომ ვიცოდეთ ყველაფერი ქართული „ვარსკვლავური ცხოვრების“ შესახებ.

ვის ვინ უყვარს, ვინ ვისთან დადის

ღამის საათებში სტუმრად, ვის როგორი გარდერობი აქვს, ფეხის ზომა, წელის გარშემოწერილობა, ვინ ვის გაშორდა და ა.შ.

ხშირად არის ინტერვიუები „ვარსკვლავების“ ახლობელ-მეზობლებთან, ბიძაშვილებთან, მულებთან თუ დედამთილებთან.

ექსჰიბიოციონიზმის მოთხოვნილება მეტნაკლებად ყველას აქვს. საკუთარი თავის წარმოჩენას, რეპრეზენტირებას ყველა თავისებურად ცდილობს. ჩემთვის (და არა მხოლოდ ჩემთვის), მაგალითად, სოციალური ქსელი facebook ამის საუკეთესო საშუალება გახდა.

ყვითელი ტაბლოიდური ჟურნალი თუ სატელევიზიო გადაცემა გაცილებით დიდ აუდიტორიაზე მუშაობს. საქართველოს ყველაზე მიყრუებულ რეწელიწადზე მეტია, რაც ჯიხურებში ახალი ქართული ტაბლოიდი PRIME TIME იყიდება. ეს გაზეთი პირდაპირ ნადირობს ადამიანთა ისტორიებზე, როგორც Bild-Zeitung-ის პროტოტიპი კატარინა ბლუმის ცხოვრებაზე.

ამ გაზეთს სპეციალური განყოფილება აქვს, რომელსაც „პაპარაცი“ ჰქვია. აქ არა მხოლოდ რესპონდენტების თანხმობით მოპოვებული ისტორიები თუ ფოტო მასალა ხვდება, არამედ ჟურნალისტების მიერ ნანადირევი თუ მოპარული ინფორმაცია. ფოტოები, რომლებიც ამ რუბრიკაში ქვეყნდება, შეურაცხმყოფელია. როგორც წესი, ხაზგასმულია ადამიანის ნაკლოვანება ან შემთხვევით შექმნილი უხერხული სიტუაცია. რაც მთავარია, მათი უმრავლესობა მალულად არის გადაღებული. ადამიანის პირად სივრცეში შეჭრა და ალებით, გერმანიის პოლიცია მალვაში მყოფ საყვარელს მიაგნებს და დააკავებს. ნაწარმოების ფინალში კატარინა ბლუმი კლავს ჟურნალისტს, რომელმაც მისი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია. „ყვითელი პრესის წარმომადგენლებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ნებისმიერ დღეს ისინი შესაძლებელია, მკვლელები გახდნენ“, – მითხრა გოგი გვახარიამ ჩემს რადიო გადაცემაში „თავისუფალი აზრი“, როცა ყვითელ პრესაზე ვსაუბრობდით. დააკვირდით ამ ციტატის შინაარსს. გვახარიას აზრით, კატარინა კი არაა მკვლელი, არამედ ჟურნალისტი, რომელმაც ის მკვლელად აქცია.

ადამიანის ცხოვრებაში, პირად სივრცეში შეჭრა ძალიან ხშირად იწვევს ძალადობას, რომელიც შეიძლება, ამ ადამიანის პირადი ტრაგედიით დასრულდეს, ან საერთოდაც, ფატალური შედეგით. სწორედ ამის გაცნობიერება მართებს გაზეთ „პრაიმ ტაიმს“, რომლის თითოეული ახალი ნომერი ადამიანების პირადი ცხოვრების ხელყოფა და ძალადობაა.

ზემოხსნებული გაზეთი როცა ე.წ. ვარსკვლავების ე.წ. ინტიმურ ისტორიებს ბეჭდავს, ქართული სინამდვილეც ავიწყდება. ამ სინამდვილეში დედმამიშვილობის, ძმაკაცობის, დედაშვილობის თუ ოჯახისშვილობის ანაქრონისტული ინსტიტუტები ჯერ ისევ ფუნქციონირებს და შესაბამისად, ამ ჟურნალის პუბლიკაციები მხოლოდ მიზანში ამოღებული ობიექტის ღირსებას როდი ეხება.

ყვითელი პრესის „აბეზარებმა“ და მათი ნანადირევი ისტორიების მკითხველებმა თუ მაყურებლებმაც უნდა გააცნობიერონ, რომ საკუთარი და სხვა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ.

ადამიანის ცხოვრებაში, პირად სივრცეში შეჭრა ძალიან ხშირად იწვევს ძალადობას, რომელიც შეიძლება, ამ ადამიანის პირადი ტრაგედიით დასრულდეს, ან საერთოდაც, ფატალური შედეგით. სწორედ ამის გაცნობიერება მართებს გაზეთ „პრაიმ ტაიმს“.

გიონშიც მიდის ინფორმაცია რომელიმე „ვარსკვლავის“ მიერ შეძენილ ახალ კაბაზე ან იმაზე, რომ მას ქმარმა უღალატა.

„როდესაც ჩემი მამინაცვალი გარდაიცვალა, დედაჩემს 2 წლის განმავლობაში მისი საცვალი (ნიფხავი) ეცვა,“ – ეს ჩემი საყვარელი ისტორიაა, რომელიც დიდი ხნის წინ გადაცემა „პროფილში“ მოვისმინე. ისტორიები პირველ და უკანასკნელ სიყვარულზე, განშორებაზე, ტკივილზე და სიხარულზე ამ გადაცემას არასოდეს ელევა.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც „ვარსკვლავის“ ინტერვიუს მოპოვება ყვითელი პრესისთვის დიდი გარჯის საგანია, საქართველოში ამ ისტორიებს ნებით ჰყვებიან. მოსახლეობასთან ასეთი დიალოგი ქართველ „ვარსკვლავებს“ სიამოვნებთ. შესაძლოა, ეს პატარა ქვეყნისთვის დამახასიათებელი პროვინციალიზმის მაჩვენებელია.

ამგვარად მოპოვებული ინფორმაციის თანხმობის გარეშე ტირაჟირება კლასიკური ძალადობაა.

„ინფორმაციის გადასამოწმებლად მათ დავუკავშირდით, მაგრამ საკუთარ გრძნობებზე ხმამაღლა ლაპარაკისგან წყვილმა თავი შეიკავა. თუმცა პირად საუბრებში დაადასტურეს, რომ ერთად არიან და ერთმანეთი უყვართ“ – ეს ერთი პატარა ამონარიდია გაზეთი PRIME TIME-დან, რომელიც შეყვარებული წყვილის გასაიდუმლოებულ ურთიერთობაზე გვიამბობს.

ფელინის აბეზარა, ამაზრზენი გმირი, რომელსაც იტალიელი რეჟისორი თავდაუზოგავად დასცინის, „პრაიმ ტაიმში“ დაფასებული იქნებოდა.

ფილმში „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“ სიუჟეტი ასე ვითარდება: კატარინას შესახებ გაზეთში მისი ცხოვრების ყველა დეტალი იბეჭდება, ფოტო მასალის თანხლებით. სწორედ მასზე ჩასაფრებული ტაბლოიდის საშუ-

წერილი გერმანიის დასაცავად

რალფ ჯორდანოს პრესაში გამოქვეყნებულმა წერილმა, გერმანიის პრეზიდენტ კრისტიან ვულფისადმი, უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

დავით ბუხრიკიძე

რალფ ჯორდანო

2010 წლის აგვისტოში ბერლინში გამოცემულმა წიგნმა „გერმანია – თვითლიკვიდაცია“, რომლის ავტორია ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი ტილო სარაცინი, დიდი ვნებათაღელა გამოიწვია. გერმანიის მუსლიმთა ორგანიზაციებმა „მზარდი ნაციონალისტური ტენდენციის“ წინააღმდეგ „გლობალური ისლამური მედია ფრონტი“ გახსნეს. დაძაბულობის განეიტრალების მიზნით ოქტომბერში, გერმანიის გაერთიანების 20 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე ქვეყნის პრეზიდენტმა, კრისტიან ვულფმა განაცხადა: „ქრისტიანობა და იუდაიზმი გერმანული ისტორიისა და კულტურის ნაწილია. თუმცა ისლამი, ასევე, გერმანული სახელმწიფოს ნაწილია“. კანცლერ ანგელა მერკელის მკაცრი შეფასებით კი, „მულტიკულტურული საზოგადოების მოდელმა გერმანიაში კრახი განიცადა“.

გერმანიის მოსახლეობა 82 მილიონს შეადგენს. აქედან დახლოებით 10-11 მილიონი მუსლიმია, რაც მოსახლეობის დაახლოებით 13%-ია. ისინი, ძირითადად, ყოფილი დასავლური ფედერალური მიწების მოქალაქეები არიან. ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში მათი რაოდენობა ძალიან მცირეა. შესაძლოა იმიტომაც, რომ ნაციონალისტური განწყობა ყოფილ გდრ-ში უფრო მკვეთრადაა გამოხატული. მუსლიმთა ინტეგრაციის პრობლემა გერმანიისათვის სულ უფრო აქტუალური ხდება. ამასთან დაკავშირებით, ვაქვეყნებთ ცნობილი სოციოლოგისა და პუბლიცისტის რალფ ჯორდანოს წერილის შემოკლებულ ვერსიას, რომელიც მან დაახლოებით ორი კვირის წინ ქვეყნის პრეზიდენტს, კრისტიან ვულფს მისწერა. წერილმა სახელწოდებით „გერმანიის დასაცავად“ პრესაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენ განაცხადეთ, რომ ისლამი, ქრისტიანობასა და იუდაიზმთან ერთად, გერმანული სახელმწიფოს ნაწილია. სიტყვა, რომელიც 3 ოქტომბერს, გერმანიის გაერთიანების 20 წლისთავთან დაკავშირებით წარმოთქვით, ისტორიის ზედაპირულ და გაუაზრებელ ცოდნას გულისხმობს. ისევე როგორც, შეუთავსებელი კულტურებისა და რელიგიების ერთ სისტემაში მოქცევის მცდელობას.

ცხადია, ვერ ვიქნები თქვენი რეპეტიტორი ისტორიაში, მაგრამ ისლამური რელიგიის უპასუხისმგებლო გათანაბრება ევროპულ, დემოკრატიულ ღირებულებებთან, ნამდვილად იწვევს პროტესტის გრძნობას. პირველ რიგში იმიტომ, რომ პოლიტიზებული და აგრესიულად განწყობილი ისლამის ინტეგრირება ევროპულ ღირებულებებთან შეუძლებელია. ნუთუ თქვენთვის გაუგებარია, რატომ ვერ შეძლეს აქამდე ისლამის (თუნდაც – შეძლებისდაგვარი) შეთავსება თავისუფალ სიტყვასთან, სინდისის თავისუფლებასთან, პლურალიზმთან, ქალთა უფლებების დაცვასთან[...]

მოკლედ, დემოკრატიულ ღირებულებებთან? ისლამი შავი ღრუბელივით აწევს გერმანიას, რომელიც დღემდე

სრულიად გაუაზრებელ და მცდარ საემიგრაციო პოლიტიკას ატარებს.

სინამდვილეში, ჩვენ ორი განსხვავებული კულტურული პარადიგმის შეჯახების მოწმენი ვართ. ერთი მხრივ, ჯოჯოხეთგამოვლილი ქრისტიანობა, რომელმაც აღორძინების ეპოქის, განმანათლებლობის, სამოქალაქო ომებისა და რევოლუციების შემდეგ ლიბერალური ღირებულებები, სამოქალაქო საზოგადოება და ადამიანის უფლებები დაიცვა და მეორე მხრივ – პატრიარქალური ისლამი, რომელიც აყვავების მცირე პერიოდის შემდეგ სტაგნაციასა და უსიტყვო პატერნალიზმში ჩარჩა; ისლამი, სადაც რელიგიური ავტორიტეტების გავლენა ყოველთვის გაცილებით დიდია, ვიდრე საზოგადოებაში მოაზროვნეების არსებობა ან თავისუფალი სიტყვის მოთხოვნილება.

ამ განსხვავებული საზოგადოებრივი მოდელების დაპირისპირებაში, რეალურად, გიგანტური პრობლემები იმალება, რაზეც თავად მუსლიმი მოაზროვნეები მიუთითებენ. მაგალითად, ცნობილი თურქი მწერალი ზაფერ შენოჩაკი ამბობს: „არა მგონია, რომელიმე ცნობილ რელიგიურ მოღვაწეს თუ ბრძენს, რომ არაფერი ვთქვათ, საზოგადოებაზე, ეჭვი შეეპაროს საკუთარ ჭეშმარიტებაში, ან რწმენაში. ისინი მზად არ არიან, კრიტიკულად გააანალიზონ რელიგიური ტრადიცია და უფრო ფხიზლად შეხედონ თანამედროვე საზოგადოებისათვის საშიშ გამოწვევებს“.

უშიშარი აბას ბაიდუნი, რომელიც წლების განმავლობაში ფელეტონებს წერდა ცნობილ ლიბანურ გაზეთ „ასაფირში“, თვითკრიტიკულობის საშიშ ზღვრამდე მიდის: „მრავალი ჩვენგანი ცდილობს, თავი აარიდოს სახეს, რომელსაც მრუდე სარკეში ყოველდღე ხედავს. ისლამი კი, რომელიც სინამდვილეში აშკარა ფარისევლობასა და შენიღბულ ძალადობას ქადაგებს, ამ სახეს სულ უფრო მეტად ამახინჯებს“ [...]

და განა, სალმან რუშდის „სატანური ლექსები“ სხვა რამეს გვეუბნება, ბატონო პრეზიდენტო? ამ შესანიშნავ ნაწარმოებში ხომ მუსლიმი საკუთარ ეგზისტენციურ პრობლემებთან მარტო რჩება და ბრალეულობა სხვაზე კი არ გადააქვს („გარყვნილ ევროპაზე“, „დიდ სატანაზე – ამერიკაზე“ ან „პატარა სატანა ისრაელზე“), არამედ – საკუთარ გახევებულ რელიგიაზე. და რაც მთავარია, პირველად ხმამაღლა ითქვა, რომ პრობლემაა არა მიგრაცია და ევროპულ კულტურაში ინტეგრაცია, არამედ – თავად ისლამი!

ცნობილი ირანელი თეოლოგი ჰამიდ მოხაჯენი გვაფრთხილებს: „თავად შიდაისლამური წინააღმდეგობანი და განმანათლებლური ტენდენციები საჭიროებს გარკვეულ დროს, ინტერნეტის ეპოქაში, ალბათ, 30-40 წელს, რომ ისლამი ევროპიზებული გახდეს. ამავე დროს, არ არსებობს გარანტია, რომ ასეთი ტენდენცია კრახით არ დასრულდება და რეფორმირებულ ისლამს ფუნდამენტალიზმი არ გადასანსლავს”.

ბატონო პრეზიდენტო, არა მგონია, არ გესმოდეთ იმ მუსლიმთა ხმებიც, რომლებიც სულ უფრო სკეპტიკურად უყურებენ ისლამის ინტეგრაციას ქრისტიანულ ცივილიზაციაში [...]

ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობაა მიგრანტების, უმცირესობებისა თუ დევნილების დაცვა. თუმცა არაბული თუ თურქული უმცირესობებისა და ორგანიზაციების ხშირად გაუგებარი, არამეგობრული განწყობა, საფრთხეს უქმნის თავად დემოკრატიულ ღირებულებებს და სხვა ადამიანის თავისუფლებას. ამგვარ წინააღმდეგობასა თუ დუალიზმში იმალება თავისუფალი ევროპული საზოგადოების ფარისევლობაც, რომელიც ხშირად გადაულახავ ქსენოფობიურ და კონსტიტუციურ წინააღმდეგობებს აწყდება.

ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრაციას, პირველ რიგში, თავად მუსლიმთა დამოკიდებულება და ფსიქოლოგიური სტერეოტიპები ართულებს. თუ მუსლიმს ვინმე შეურაცხყოფას აყენებს, ის შემაშფოთებელ აგრესიას ამჟღავნებს, ხოლო მუსლიმური ორგანიზაციები განგაშს ტეხენ. მაგრამ, როცა მალათეაში (თურქეთი) ბიბლიის გამომცემლებს სასტიკად უსწორდებიან, სომალიში მონაზონებს ხვრეტენ და პაკისტანში ქრისტიანებს ცოცხლად წვავენ, სამარისებული სიჩუმეა. თითქოს ასეც უნდა იყოს.

წარმოიდგინეთ, სად აღმოვჩნდებით, თუ ქსენოფობიის იარლიყის შიშით ჩვენს ღირებულებებს დავთმობთ? თუ შეგვრცხვება, ვაღიაროთ, რომ პატერნალისტური მუსლიმური კულტურისთვის

■ განსხვავებული საზოგადოებრივი მოდელების დაპირისპირებაში, რეალურად, გიგანტური პრობლემები იმალება, რაზეც თავად მუსლიმი მოაზროვნეები მიუთითებენ.

პიროვნების თავისუფლება არაფერს ნიშნავს, ხოლო ერთმორწმუნე თემი ყველაფერია? ან რა არის უსამართლო იმაში, თუ ვაღიარებთ, რომ გერმანიაში ემიგრანტებისთვის სამუშაოს ძებნა კი არ არის მთავარი, არამედ სოციალური დახმარების სისტემით სარგებლობა?

ბატონო პრეზიდენტო, ნაცისტურ ბანაკებში განცდილი შიშისა და შეურაცხყოფის შემდეგ, კარგად ვანსხვავებ ჰიტლერულ და თანამედროვე გერმანიას. განვლილი ტრაგიკული დროის შემდეგ, დემოკრატია და ადამიანის უფლებათა დაცვა ჩემთვის უმთავრესია. ამიტომ ვინც ამ უფლების მტერია – ქრისტიანი, ათეისტი, მუსლიმი თუ იუდეველი, ჩემი მტერიცაა.

ღრმა პატივისცემით,
რალფ ჯორდანო

პასპორტი

ტექნიკური პროგრესის უმაღლეს მწვერვალზე გავედით და მხოლოდ ე.წ. ბიომეტრული პასპორტები რჩება ძალაში და მე და ათიათასობით ჩემნაირმა, ვისაც ძველი პასპორტები გვაქვს, კეთილი უნდა ვინებოთ და ახალში უნდა გადავცვალოთ ჩვენი პასპორტები, რომლებსაც ჯერ ვადა არ გასვლია..

დავით ქართველიშვილი

1

დავიწყებ სულ სხვა პასპორტით. ჩემს ბავშვობაში პატარა ბიჭებს უფროსები შესვამდნენ ხოლმე სკამზე, ჯერ მქუხარე პატრიოტულ ლექსს ათქმევინებდნენ ზეპირად (ეს იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება და ბავშვი ოდნავ ინტელექტუალური მაინც იყო), შემდეგ კი პასპორტის ჩვენებას სთხოვდნენ, პატარა ბიჭი იწევდა შარვალს და უფროსებს პასპორტს აჩვენებდა, უფროსები იცინოდნენ...

ასე რომ, საქართველოში ბიჭი პასპორტით იბადებოდა, რაც შეეხება გოგოებს, ისინი თექვსმეტი წლის ასაკში იღებდენ პასპორტს (სხვათა შორის, ბიჭებიც). მუდმივად იმას ვამტკიცებ, რომ ქალების დისკრიმინაციის საფუძველი მათდამი რომანტიკულ დამოკიდებულებაშია, თუმცა ეს სულ სხვა საკითხია. დავუბრუნდეთ პასპორტს..

2

მე რომ თექვსმეტი წლის გავხდი, საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა. აქედან გამომდინარე, ავიღე საბჭოთა პასპორტი, რომლითაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიდევ დიდხანს ვსარგებლობდი. ასე რომ, საბჭოთა კავშირთან დამშვიდობება დოკუმენტურადაც არ იყო იოლი, აღარაფერს ვამბობ იდეურ დაშორებაზე. სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენი რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი (სული, გონება, გული... შეიძლება, სამივე ერთად) იქ არის, რეალურად საშინელ, მაგრამ მოსაგონებლად საკმაოდ კარგ ქვეყანაში. თითოეული სხვა მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იმდენად მტკივნეულია ამ საბჭოეთში ჩარჩენილი მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, რომ გვგონია, საშინელება ხდება, იკარგება ძალიან მნიშვნელოვანი რამ, მაგრამ ვერ ვბედავთ და ვერ ვარქმევთ ამ მნიშვნელოვანს საბჭოთა კავშირს და ვიგონებთ, რომ ტრადიციებს და რწმენას გვართმევენ, ქართველობას გვართმევენ. სხვამ შეიძლება, წაგვართვას ხილული საგნები, ძალიან ძვირფასი ადამიანები, მაგრამ შინაგან თვისებებს მხოლოდ ჩვენ ვართმევთ საკუთარ თავს, ჩვენ ვართმევთ საკუთარ თავს რწმენას და ქართველობას, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია.. დავუბრუნდეთ პასპორტს.

3

შარშან წარუმატებელად ვცადე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გამგზავრება, ეჭვიანი ადამიანი რომ ვიყო, ვიტყოდი: მომიწყვეს, დამბლოკეს, მებრძვიან და ა.შ, მაგრამ არ გამომდის შეთქმულების თეორიაში ცხოვრება. ამიტომ ვამბობ, რომ კურიოზული გაუგებრობა მოხდა და ვერ წავედი, მაგრამ წასვლამდე ვადაგასული პასპორტი გადავცვალე ახალ პასპორტზე, რომელსაც გარდა იმისა, რომ აწერია „საქართველო, პასპორტი, პირადი ნომერი“ ... მასში ასევე გარკვეულად არის მითითებული, რომ ამ პასპორტის მოქმედების ვადა იწურება 2018 წელს, მაგრამ რამდენიმე დღის წინ გაირკვა, რომ ტექნიკური პროგრესის უმაღლეს მწვერვალზე გავედით და მხოლოდ ე.წ. ბიომეტრული პასპორტები რჩება ძალაში და მე და ათიათასობით ჩემნაირმა, ვისაც ძველი პასპორტები გვაქვს, კეთილი უნდა ვინებოთ და ახალში უნდა გადავცვალოთ ჩვენი პასპორტები, რომლებსაც ჯერ ვადა არ გასვლია.. და რაც მთავარია, ამაში უნდა გადავიხადოთ ფული, თან სახელმწიფო პატივს გვდებს და გვიკეთებს ფასდაკლებას... ეს არის უსამართლობა და ჩემს ბავშვობის დროინდელ პასპორტზე დავიკიდებდი, რომ არა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი: პასპორტის გამოუცვლელობის შემთხვევაში, საქართველოდან ვერ გავალ. ტექნიკური პროგრესი კარგია, მაგრამ ჩემს პასპორტს ხომ აწერია „ძალაშია (თუ მოქმედებაშია) 2018 წლამდე“, ლოგიკური იქნებოდა, პასპორტი უფასოდ გამოეცვალათ, მაგრამ სად ვცხოვრობთ, ხომ ყველამ ვიცით! ბრძოლაც რომ არ გამოგვდის?! რაღაც გვაკლია, მგონი კონკრეტულობა, სიცხადე, იმის აღიარება, რომ ცხოვრება ძირითადად წვრილმანებისგან შედგება და ამ წვრილმანებისთვის ბრძოლა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ მხოლოდ აბსტრაქტული და ამაღლებული საქმეებისთვის ვიბრძვით, ვიბრძვით აბსტრაქტულად და ამაღლებულად... ამიტომაც ამ სტატიაში აღებული ჰონორარით წავალ, პასპორტს გადავცვლი და კვლავ დიად აბსტრაქტულ საქმეებს დავუბრუნდები..

საბჭოური ტრაგედია: ბრძოლა სიმბოლოებთან

კონსტიტუცია იცვლება.
რაც თავი მახსოვს, სულ იცვლებოდა.
19 წელია, იცვლება და ერთი ისე ველარ შეიცვალა, რომ მეტი აღარასდროს შეიცვალოს.

ლაშა ბუღაძე, მწერალი

ეს კი, იცით, რატომ ხდება? ქართველი კაცი რომ ვერ შეიცვალა, იმიტომ. ჩვენ ვერ ვიცვლებით – ხალხი, პოლიტიკოსები, მთავრობები, ჩვენში ვერ ვცვლით, ჩვენში ვერ ველევით უწესრიგობებს, ამბიციებს, უპასუხისმგებლობებს, ეგოცენტრიზმსა და ინფანტილიზმს, თორემ კონსტიტუცია რაა, ათჯერ შეგვიცვლია და კიდევ ასჯერ გამოვცვლით. მთავარი ცვლილებები არ შეგვაქვს – ცვლილებები ჩვენში.

ხალხი, ზოგადად, ისეთსავე გულგრილობას იჩენს ამ რეფორმის მიმართ, როგორსაც მთელი 19 წლის განმავლობაში იჩენდა. თუმცა მერე აუცილებლად ახმაურდება, პოსტ ფაქტუმ, როცა მოვლენებს უფრო მკაფიოდ დაერქმევა სახელი.

პოლიტიკოსები ისევ ჯიუტობენ (დამოუკიდებლობის 19 წლის ისტორია ქართველი პოლიტიკოსის სიჯიუტის ისტორიაა), – რაც თავი მახსოვს, ასეთ დროს სულ ერთსა და იმავეს გვეხვეწებიან უცხოელები, კონსტიტუციას დაჩქარებულად ნუ გამოცვლითო და ჩვენ კი მაინც ფართხა-ფურთხით, დაუჩქარებლად კი არა, ამაჩქარებლებით შეგვაქვს ცვლილებები – ჰოპ-ჰოპ-ჰოპ...

რაც თავი მახსოვს, მუდმივად იმას გაიძახიან, უპირველესი უფროსები საკუთარ ტყავზე ირგებენ კონსტიტუციასო და მართლაც ყოველთვის ასე გამოდის.

ახლაც თითქოს ეგრე ჩანს.

ამის ეჭვიც მაქვს: ისევ ტყუილად მოგვიწევს პარლამენტარებისთვის ხელფასების გადახდა – ხალხის რჩეულებს კვლავაც უსაქმოდ მოუწევთ აქეთ-იქით ყიალი.

ხოლო, როცა პარლამენტარი უსაქმოდაა, მას ათასი სისულელე მოსდის თავში და მერე, რაკი რჩეული ჰქვია, ხმამაღლაც ამბობს ამ სისულელეს.

ძალიან მომწონს ხოლმე მავან პარლამენტართა უეცარი ინიციატივები.

თუ გახსოვთ, ერთმა აიჩემა ცოტა ხნის წინ, თავისუფლების მოედნიდან პოეტ პუშკინის ბიუსტი უნდა განვდევნოთო. რუს გენერლებზე გახლდათ გაბრაზებული და რაკი იმათ ვერაფერი დააკლო, ორასი წლის წინ მკვდარ ოკუპანტ-მელექსეზე იყარა ჯავრი. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ბიუსტი „გალახა“.

თუმცა, რა იცი, იქნებ სწორედ ამ მუქარის გამო დატოვეს რუსებმა სოფელი პერევი? რუსებს, მოგეხსენებათ, მეტისმეტად უყვართ თავიანთი მწერლები – არ არის გამორიცხული, რომ იმერული სოფელი დაეთმოთ პუშკინის სანაცვლოდ.

ჰოდა, თუ ასეა, იქნებ, ლერმონტოვის გაგდებაზეც დაგვეწყო ფიქრი? ხომ გახსოვთ, სადაც დგას?

ახლა კი სხვა პარლამენტარმა გვამცნო მორიგი სიბრძნე: იმისათვის რომ საბჭოეთი და საბჭოთა დანაშაულები დავივიწყოთ, საბჭოური სიმბოლიკა უნდა ავკრძალოთო.

რა ყოჩაღური და ჰუმანური იდეაა! ამ აზრს, დარწმუნებული ვარ, ყველაზე მეტად სტალინი მოიწონებდა: განა სწორედ მან არ გვასწავლა ისტორიის გადაწერა? დიქტატორი რომ არ ყოფილიყო, დისერტაციასაც დაიცავდა ამ თემაზე.

ჩადენილი დანაშაული რომ დაგავიწყდეს, მისი კვალის გაქრობაა საჭირო...

არ არის კვალი? ესე იგი, აღარც დანაშაული ყოფილა.

ამ დროს, თითქოს სწორედ ამას შიშობს ეს დეპუტატიც: საბჭოთა სიმბოლიკა იმიტომ უნდა მოვსპოთ და ავკრძალოთ, რომ ვინმეს საბჭოთა ბელადების სახელების დარქმევა არ მოუნდეს ქუჩებისთვის და პარტიებისთვისო. ანდა საბჭოთა სტილის ბარელიეფების გაკეთება არ გადაწყვიტოსო.

რა კარგად სცნობია ჩვენს დეპუტატს ქართველი ადამიანის ბუნება... ბარელიეფების ჩამოფხეკითა და ნამგალ-უროს აკრძალვით რომ იყოს შესაძლებელი ჩვენში პატარა თუ დიდი სტალინუკებისა და საბჭოურობის ჩაკვლა, ახლა კონსტიტუციის მორიგ ცვლილებაზე კი არ ვილაპარაკებდით – ბარელიეფი რა შუაშია? ფასადებთან და სიმბოლოებთან ბრძოლას რა უნდა! თან რაღაც ეჭვი მეპარება, რომ ვინმეს ჩებრიკოვის, კოსიგინის ან გრომიკოს სახელების დარქმევა მოუნდეს რომელიმე ქუჩისთვის, მაგრამ აი, ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩის არსებობა კი სუფთა საბჭოური სტილია. მიზეზს რა მნიშვნელობა აქვს, საქციელია კლასიკურ-ქართულ-საბჭოური.

საბჭოურ სიმბოლოებთან ბრძოლა არც ესთეტიკური თვალსაზრისით მიმაჩნია გამართლებულად – სოცრეალიზმი ხელოვნებაა, კიჩია და ქალაქს (ან რაიმე კონკრეტულ ნაგებობას) დამატებით საინტერესო და ორიგინალურ ელფერს სძენს. ამ შემთხვევაში, მარტო ისტორიის გაქრობა-გადაწერისადმი შიში არ მალაპარაკებს,

საბჭოური ესთეტიკის შენარჩუნება პრაქტიკული მიზეზითაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია – მოგვწონს ეს თუ არა, ტურისტები სტალინის სახლ-მუზეუმითა და საბჭოური პლანეტის სხვა ეგზოტიკური ელემენტებით უფრო ინტერესდებიან, ვიდრე თუნდაც მეტეხთან გაჩხერილი შუშის ხიდით.

ასე რომ, შევეშვათ სიმბოლოებთან ბრძოლას და შინაარსობრივ ცვლილებებზე დავფიქრდეთ. ყველაზე რთული ხომ საკუთარ თავთან ბრძოლაა.

ბარელიეფების ჩამოფხეკითა და ნამგალ-უროს აკრძალვით რომ იყოს შესაძლებელი ჩვენში პატარა თუ დიდი სტალინუკებისა და საბჭოურობის ჩაკვლა, ახლა კონსტიტუციის მორიგ ცვლილებაზე კი არ ვილაპარაკებდით.

საბჭოთა სიმბოლოები თბილისში ჯერ კიდევ მრავლად არის შემორჩენილი, 2010

ფოტო თემურ ბარიშვილისა

"ქართული ფეხბურთის განვითარებას 300 მილიონი სჭირდება"

ინტერვიუ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტთან
ილია კოკაიასთან

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია იმ იშვიათ ბიზნესმენთაგანია, რომელიც ქართულ ფეხბურთში ფულს აბანდებს და მომავალსაც იმედიანად უყურებს.

რა პერსპექტივები აქვს და რა პრობლემები ელობება ფინანსურად მომგებიანი სპორტის სახეობის კომერციალიზაციას საქართველოში, ამის თაობაზე ილია კოკაია „ლიბერალს“ ესაუბრა.

ბატონო ილია, რატომ ახარჯავთ „ზესტაფონს“ 7,1 მილიონ ლარს?

ასე არ ვთვლი. საბოლოოდ ეს კაპიტალდაბანდებები მომგებიანი უნდა გახდეს. მთელ მსოფლიოში ფეხბურთი სოციალურ მოვლენას გაცდა და უაღრესად მომგებიან ბიზნესად გადაიქცა. ასეა არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში, არამედ სამხრეთ ამერიკაში, არგენტინაში და ა.შ. საფეხბურთო ბიზნესს წარმატებით ავითარებენ და საკმაოდ დიდი შემოსავლებიც გააჩნიათ.

ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ – საქმე ისე უნდა ავაწყოთ, რომ ფეხბურთი საქართველოშიც ბიზნესი გახდეს. ქართულ ფეხბურთს ამის პოტენციალი გააჩნია. მიმართულება უნდა ავიღოთ იქით, სადაც ფული იშოვება, ასეთი კი ჩემპიონთა და ევროპის ლიგებია. თუკი რომელიმე ქართული კლუბი ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე გააღწევს, უეფასგან 8 მილიონ ევროს მიიღებს. სატელევიზიო და სასპონსორო კონტრაქტებიც სოლიდურ შემოსავლებს ითვალისწინებს. დანარჩენი მარკეტინგის ჯგუფის მუშაობაზეა დამოკიდებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს უკვე სერიოზული პროგრესის საწინდარი გახდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სატრანსფერო ბაზარზე ჩვენი ფეხბურთელების ფასი გაიზრდება.

ჩემპიონთა ლიგაში ქართული გუნდის მოხვედრა ოცნებას ჰგავს.

ჩემპიონთა ლიგაზე მოსახვედრად, რუსეთისა და უკრაინის გუნდებმა 50-დან 70 მილიონამდე ევრო უნდა დახარჯონ, რადგან ამ ქვეყნებში საკმაოდ მაღალბიუჯეტიანი კლუბებია და ზოგიერთი წელიწადში 100 მილიონ ევროზე მეტსაც ხარჯავს – მაგალითად, მოსკოვის „დინამო“. „ზენიტს“ ბიუჯეტი მეტიც აქვს. კონკურენტს მეტი ფულითა და უკეთესი მენეჯმენტით უნდა აჯობო.

ქართულ კლუბს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა გაცილებით ნაკლები დანახარჯით შეუძლია. „ზეტსაფონის“ ბიუჯეტი 7 მილიონ ლარზე მეტია. აქედან სახელფასო ფონდზე მხოლოდ 10 პროცენტი თუ იხარჯება, დანარჩენი ინფრასტრუქტურაზე, შეკრებებზე, სამედიცინო მომსახურებაზე და ა.შ.

ჯგუფურ ეტაპზე გასვლით, ბევრი ხარჯი მოგვაკლდება და პროცესები ჯადოქვურ რეაქციას გამოიწვევს: სპონსორები გამოჩნდებიან და კვების, ფორმის, შეკრებების, ტრანსპორტირების, სამედიცინო მომსახურების და სხვა ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებენ. ამასთან, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ხელფასებზე უფრო მეტს დავხარჯავთ. მაღალი ხელფასი ძლიერი მოთამაშეების ჩამოყვანაში დაგვეხმარება, რაც მაყურებლის მოზიდვის ეფექტური საშუალებაა, მეტი მაყურებელი კი ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალია. მოკლედ, ეს სერიოზული ბიზნესია. თუკი ამ ასპარეზზე ხანგრძლივად ყოფნას შეძლებ, კლუბი მომგებიან ორგანიზაციად გადაიქცევა. ეს არაა „გოროდ ვასიუკი“, ეს რეალურად შეიძლება, გაკეთდეს საქართველოში.

ახლა „ზესტაფონის“ შემოსავლები ხარჯების რამდენ პროცენტს ფარავს?

გარკვეული შემოსავლები გაგვაჩნია. ევროპის ლიგაზე გამოსვლით, წელს 270 ათასი ევრო დაგვერიცხება. წინა სეზონში ჩვენი ფეხბურთელი, უჩა ლობჟანიძე დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ 2 მილიონ ევროდ გავყიდეთ, მანამდე კი ბექა გოცირიძე – მილიონ ევროდ. მცირე ხნის წინ ვთქვი, რომ ორი არჩევანი გაგვაჩნია: ფეხბურთელების გაყიდვით შემოსავალი გავზარდოთ და 2-3 მილიონი ევრო ავიღოთ, ან ფეხბურთელები შევინარჩუნოთ და ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრით, 8 მილიონი ევროსთვის ვითამაშოთ.

ფეხბურთის განვითარება კანონმდებლობაზეცაა დამოკიდებული. უმთავრეს პრობლემად რას დაასახელებდით?

პრაქტიკაში ბევრ პრობლემას წავაწყდით. მაგალითად, ჩვენივე სტადიონში, მიწისა და ქონების გადასახადის სახით, წელიწადში 92 ათასი დოლარს ვიხდით. დიდია წყლის გადასახადი. ჩვენს სტადიონზე საკუთარი წყალი გვაქვს, მაგრამ დანარჩენ კლუბებში ეს დიდი პრობლემაა, მაგალითად, თბილისში ეროვნულ სტადიონზე არტეზიული ჭის წყალი არ ვარგა, გოგირდს შეიცავს და მოედნის საფარს აფუჭებს. ჩვენ საწვრთნელი ბაზის სამ მოედანზე წელიწადში 1500 ტონა წყალი გვჭირდება, რაც თვეში 45 ათას ლარის გადასახადია, ანუ წელიწადში 540 ათასი ლარი, უზარმაზარი ხარჯია!

ჩვენ თუ ფეხბურთის და ზოგადად სპორტის განვითარება გვსურს, სპორტულ ობიექტებზე უნდა შემცირდეს მიწის, ქონების და წყლის გადასახადი. მინდვრის მოსარწყავად იგივე გადასახადი იხადო, რასაც რესტორნებს უწესებენ, არასწორია.

სახელმწიფოს სათავეში მყოფ ხალხს საქართველოს წარმოჩენა და უკეთესი მომავალი სურთ, მაგრამ სპორტულ საკითხებზე შეთანხმება და სწორად შერჩეული პროგრამა გვჭირდება და არა – შელამაზებული პროგრამები. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ფედერაციის პრეზიდენტმა მინიმუმ 300 მილიონიანი პროექტი უნდა შექმნას! ზუსტად ამდენი სჭირდება გუნდების განვითარებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საპრიზო ფონდის შექმნას, სამსაჯო განაკვეთის გაზრდასა და ა.შ.

ზღაპრული ციფრებია... ამხელა თანხას ვინ დააბანდებს?!

ეს უნდა იყოს სახელმწიფოს, უეფასა და კერძო სექტორის ინვესტიციები. ჩვენ თუ მხოლოდ 15 მილიონ ლარს დავხარჯავთ, ეს ინვესტიცია წყალში გადაყრილი იქნება.

2008 წელს ესპანეთის ბიუჯეტი ფეხბურთმა 8 მილიარდი ევროთი შეავსო. თქვენი აზრით, ეს 300 მილიონი საქართველოს რამდენს მოუტანს?

300 მილიონიანი ინვესტიციით ავაშენებთ რამდენიმე სტრუქტურას, რომლის გამართული მუშაობა მენეჯერებზე იქნება დამოკიდებული. ზოგიერთი საწარმო მომგებიანი იქნება, ზოგიც წამგებიანი, მაგრამ მთლიანობაში 300 მილიონსაც ამოიღებს და მეტსაც. დიდ ინვესტიციას შემოსავალი მოაქვს.

ესაუბრა გიორგი ნოზაძე.

ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ – საქმე ისე უნდა ავაწყოთ, რომ ფეხბურთი საქართველოშიც ბიზნესი გახდეს. ქართულ ფეხბურთს ამის პოტენციალი გააჩნია.

ანდეიძი

კახა თოლორდავა

მე უკვე იმ ასაკში ვარ, როდესაც სიკვდილის ცელიანი ფიგურისათვის თვალის შევლება, იქნება ეს რომელიმე ადრეული პერიოდის მხატვრის ალბომი, სულელური ამერიკული კომედია, ან რაიმე სხვა წყარო, მსუბუქად შეშფოთებულს მტოვებს. მაშინაც კი, როდესაც სიკვდილი დედის მოსანახულებლად მისულ კაპიუშონიან რეპერს ჰგავს ხოლმე. ამ დროს სულ ერთი და იგივე აზრი ჩამომიდგება თავში, – რაღა დარჩა? გაწიე-გამოწიე და, რაღაც კინკილა ოცი წელი? ,ჰა, ჰა, ოცდახუთი? ღმერთო, რა მოკლეა ეს წუთისოფელი! ეს ნამდვილად ასეა და ამიტომაც ნუ გაიკვირვებთ, თუ გეტყვით, რომ ნელ-ნელა უკვე დავიწყე იმაზე სერიოზულად ფიქრი, სად შეიძლება რომ დავიკრძალო. ადრე, ბავშვობაში, მინდოდა, რომ ჩემი კრემირება მოეხდინათ და ფერფლი საჩურჩხელე თათარაში შეერიათ. მადლობა ღმერთს, დროზე მივხვდი, რომ ეს არც თუ ისე კარგი იდეაა. ამას მოჰყვა ევერესტზე ჩემი ფერფლის მიმოფანტვის იდეა, ანდა ინდოეთის ოკეანეში, „დინამოს“ სტადიონზე, ბარნოვის ქუჩაზე, და ვინ მოთვლის, კიდევ სად არა. ერთ მშვენიერ დღეს კი, ტვინი გამინათდა: არ მინდა, ქარ-ნიავს რომ მივანდო ფერფლადქცეული ჩემი სხეული! კუბო მინდა, კარგად შეკრული კუბო! და, რა თქმა უნდა, საფლავიც მინდა, ოღონდ კარგ ადგილზე. საკმაოდ მალე მივხვდი, რომ თბილისის არცერთი სასაფლაო არ მაკმაყოფილებს (მამადავითზე არ მიფიქრია, ვერ მოვასწრებ), ან ადგილი არ მომწონს, ან გარემო, ან სასაფლაოს ადმინისტრატორები. დიდხანს ვფიქრობდი, დიდხანს ვეძებდი და აჰა, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ, როგორც იქნა, გადავაწყდი ადგილს, სადაც მთელი გულით მსურს, რომ დავიკრძალო. რა თქმა უნდა, ვხვდები, რომ დავასახელებ თუ არა იმ ადგილს, იმავე წამს გაისმება პროტესტის შეძახილები, მაგრამ მომწონს ის ადგილი და, რა ვქნა?! მერე რა, რომ ქალაქის შუაგულში გაშენებული ბაღია? პირველი ხომ არ ვიქნები, ვისაც ქალაქის ბაღში დაკრძალავთ?

მოკლედ, ვიბარებ: კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ბაღში (ადრე გეგეშიძის ბაღად რომ იყო ცნობილი) დამკრძალეთ. რომ იცოდეთ, როგორი ბედნიერი ვარ, ამ ბაღის თავიდან გაშენება რომ გადაწყვიტეს! ადრე ის ბაღი, უბრალოდ, კიდევ ერთი ბაღი იყო ქალაქში. სხვათა შორის, მე რომ დავიბადე იმ წელს გააშენეს. ჩემი ტოლა ბაღია და დედასაც ხშირად დავყავდი იქ სასეირნოდ. სკამები, ბალახი, ქვიშა, ხეები... ცუდი არ იყო, მაგრამ ადრე თავშიც კი არ გავივლებდი, იქ საფლავის ქონას თუ მოვისურვებდი. ახლა კი, როდესაც მის ჩაბეტონ-ჩაცემენტებულ ტერიტორიას ვავლებ ხოლმე თვალს, ჟრუანტელი მივლის. სიამოვნების ჟრუანტელი. გუმანით ვგრძნობ, რომ მისი ჩამცემენტებელი ჩემსავით სიკვდილის ხატით იყო მონუსხული, მთელი ცხოვრება ოცნებობდა ერთი კარგი სასაფლაოს დაპროექტებაზე, ამის მაგივრად შეკვეთა ბაღზე მიიღო და იფიქრა, – ჯანი გავარდეს, სასაფლაოს ხომ ვერ ვაკეთებ, ამიტომაც მოდი, ოცნებას ავისრულებ და შევქმნი შეუდარებელ ჰიბრიდს, რომლის დანახვაც ნებისმიერ საზრიან ადამიანს სიკვდილ-სიცოცხლეზე ჩააფიქრებსო. კარგად გათვალა და მკვიდრად ააშენა, ამიტომაც არაფერი მოხდება, თუ საერთო განწყობას ერთი კინკილა საფლავიც დაემატება. არავითარ შემთხვევაში, თვალში საცემ ადგილას, სადმე უკან, მოფარებულში. ჰო, და კიდევ, ერთი სურვილიც ამისრულეთ, მინდა, რომ საფლავის ქვის ნაცვლად რბილი რეზინის ფილები გამოიყენოთ და თუ კურთხევა იქნა, იქნებ ჯვარიც რეზინის დამადგათ?! ახლავე გეტყვით, რატომაც: ბაღია მაინც და პატარა ბავშვები დაყავთ ხოლმე იქ. ბავშვი ბავშვია, დარბის, დახტუნავს, იქნებ წაიქცეს ხოლმე და ცუდი არ იქნება, მთელ იმ ჩაბეტონ-ჩაცემენტებულ სივრცეში ერთი რბილად წასაქცევი ალაგი რომ გაჩნდეს. წარმოიდგინეთ: ბავშვები ჩაბეტონებულ ალაგს დასდევენ ერთმანეთს. ისმის დედების კივილი: „მოცილდით მაქაურობას, ეხლავე კახას საფლავზე გადადით და იქ ითამაშეთ!“ ან კიდევ: წაიქცა ბავშვი, წამოხტა შეშფოთებული დედამისი ფეხზე, მაგრამ მეორე დედა აწყნარებს: „არაფერია, ციცინო, დაწყნარდი, თოლორდავას საფლავზე ჯვარს მიარტყა თავიიი!“

გეგეშიძის ბაღი, თბილისი, ოქტომბერი 2010

ფოტო: ბარბარა ქორბაშვილი

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE